

მასიფ და ყველგან
საქართველ
მე ვასი შენტანს

საქართველი



ქვეყნაი

1

2014 noember i

რა საოცარი გასრულდა წლები,
მეფეთა წყება გაქრა ვით ლანდი,
მოშორდნენ ტახტებს...

მაგრამ მწუხარედ მათზე კი არა,
სხვაზე იფიქრებს...
იმ საშინელ წელს პოეტი მეფე
გარდაიცვალა...

ეკლიან გზაზე დაეცა ბევრი,
მხოლოდ მე ერთი გადავრჩი მგზავრი...
რომ გამომეგლო ჯერ არსმენილი
ქარტეხილები ცეცხლთა ფენისა
და მომეტანა საქართველოში
სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა.



რედაქტორი და გამომცემელი:
ფიროზ დიასოიანი

მხატვარი:
დავით ჭაბუკაშვილი

იურიდიული მისამართი:
ქუთაისი ტ.ტაბიძის 28/10

სტამბა:
შპს “პოლიგრაფმაქსი“
თბილისი ბ. ობაძის №7

საკონტაქტო:
ტელ. 574999671
ელ.ფოსტა: piruzi_99@mail.ru;
Facebook: პოლიტიკა-ძღვევა

სარჩევი

*** წინაპართა ხმა**
იოანე-ზოსიმე _ ქება და ღ’ბე ქარ’ულისა ენისა 6
ილია ჭავჭავაძე _ რა გითხრათ? რით აგახართო? 7
პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საინაგურაციო სიტყვა 1991 წლის 7 ივნისს. 10

*** მამული, ენა, სარწმუნოება!**
მიმართვა ყოფილ თანამებრძოლებს 13
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრთა ჯგუფის მიმართვა საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობას! 14
ხელისუფლება და ხალხი 15
ქართული ენის გაყვეთილება ქართველი ტელეჟურნალისტებისათვის 17
ნუ განიკითხავ და არ განიკითხები 19
ბერი მერკვილი ამხელს 20
მიტროპოლიტ შიო ავალიშვილის წერილი პატრიარქს 24
ბერი გაბრიელის გახსენება 28

*** მეცნიერება**
ალეკო ცინცაძე _ როგორ გაიშიფრა იოანე-ზოსიმეს ხელნაწერი (და რატომ ამახინჯებდნენ მას?) 32
ჰამლეტ წულაია _ ზოდიაქოს “ბედუკუღმართობა” 57
ანზორ ფეიქრიშვილი _ მზის კალენდრები ქართულში და მისი სარწმუნოებრივი ასპექტები 63

*** ჩვენ და მსოფლიო**
ზურაბ ნიქარიძე _ წერილი რუს მეგობარს. 69
ალეკო ცინცაძე _ გლობალიზაცია და ეროვნულობა 114

*** დიდება ხალხისთვის
წამებულ რაინდებს!**
ზვიად გამსახურდია _ ძე ქარიშხლისა 121
მერაბ კოსტავა _ ძმას ქრისტესმიერს (ზვიად გამსახურდიას) 124

ISSN 1987-7102



„ხმლით მოსეუღმა ვერა დაბვაკლო-რა - შრომით და ბარჯით, ცოდ-
ნით და ხერხით მოსული კი თან გაბვიტანს“— გვაფრთხილებდა დიდი
ილია! მაგრამ ვაი რომ ვერ გავითავისეთ. ილიამ იცოდა რომ დამკჷ-
რობელი (მაგ. შაჰ აბასი) წაიყვანდა ჩვენს კატარა ბავშვს (მაგ. კონ-
სტანტინეს), თავის ჯგუჯე ალზრდიდა, შემდეგ უკან გამოუშვებდა და
მამას მოაკვლევინებდა! ჩვენში უცხო ტომელებს ჩამოასახლებდა და
მათ მოვლას დაბვაკისრებდა! ასეც მოხდა დამკჷრობელმა ალზარდა
ჩვენი მომავალი თაობა, შემდეგ იზრუნა იმაზე რომ ეს ხალხი დაე-
საქმებინა ჩვენში ისე რომ „მეხუთე კოლონა“ კი არა პირველებად
წარმოჩენილიყვნენ!!! ამგვარად აღმოჩნდა ჩვენი ეკლესია, ქვეყნის
მართვა, მცენიერება, ბანათელების სისტემა, ეკონომიკა სხვის ხელ-
ში. ჩვენ კი გვიქადაგებენ რომ ჩამორჩენილები ვართ, არ შეგვიძლია
უკატრონოდ ცხოვრება და პრობლემა თითქოს მხოლოდ ისაა რომელი
პატრონი („მეგობარი“) ჯოგია ჩრდილოელი (რუსეთი), სამხრეთელი
(თურქეთი), დასავლელი (აშშ) თუ აღმოსავლელი (ჩინეთი)!!! ამას გვეუ-
ბნებიან იმ ერს, რომელიც დბას მსოფლიო ცივილიზაციის (მეღვინე-
ობის, მეტალურგიის, მედიცინის, ანბანური დამწერლობის და სხვა)
სათავეებთან!

ჩვენი შურნალის ამოცანა სწორედ ის იქნება გავაცნობიეროთ ვისი
ბორისანი ვართ, დავუბრუნოთ ქართველი ხალხი რწმენას (ეკლესიებ-
ში სიარული არაა საკმარისი), დავადგეთ სიყვარულის ბზას და ვამხ-
ილოთ ჩვენში მაღულად ჩაბუდებული, დაქრთამული თუ დაწინებული
„მეხუთე კოლონა“, რომ ქართველმა კაცმა ამაყად ასწიოს თავი მაღ-
ლა და ბანაცხადოს: „საქართველო, როგორც დედამიწის ნაწილი, არის
ქართველი ერის, როგორც კაცობრიობის ნაწილის, სამშობლო!“

წიგნის პირველი ხედი



იოანე-ზოსიმე ქებად და ღ'ბე ქარ'ულისა ენისად



დამარხულ არს ენად ქართული
დღედმდე მეორედ მოსვლისა მისისა
საწამებელად რ'ა ყ'ლსა ენასა ღ'თმნ
ამხილოს ამით ენითა და ესე ენად
მძინარე არს დღესამომდე და სახარე
ბასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვან
და ახალმან ნინო მოაქცია და ჰველწ
ნე დედოფალმან ესე არიან ორნი დანი
ვ'ა მარიამ და მართად და მეგობრო
ბად ამისთვის თქ'ა ვ'დ ყ'ლი საიდუმლოდ
ამას ენასა შინა დამარხულ არს:

და ოთხისა დღისა მკ'დარი ამისთვის
თქ'ა დავით წწ'ყლმნ რ' წელი ათასი
ვ'ა ერთი დღწ და სახ'რბასა შინა ქარ
თულსა თავსა ხ' მათწსსა წერილი ზის
რ'ლ ასოდ არს და იტყვს ყ'ლად ოთხ

ათასსა

მარაგსა: და ესე არს ოთხი დღწ და ოთ
ხისა დღისა მკ'დარი ამისთვის მის თანავე
დაფლული სიკ'დილითა ნათლისღებისა

მისისადთა

და ესე ენად შემკული და კურთხ'ლი
სახელითა ო'ისადთა მდაბალი და დაწუ
ნებული მოელის დღესა მას მეორედ მოს

ლვასა

ო'ისასა და სასწაულად ესე აქუს

ოთხმეოც

და ათოთხმეტი წელი უმეტწს სხუათა ენა
თა ქ'ეს მოსლვითგან ვ'ე დღესამომდე
და ესე ყ'ლი რ'ლი წერილ არს მოწამედ

წარ

მოგითხარ ასი ესე წელი ანბანისად

ილია ჭავჭავაძე რა გითხრათ? რით გაგახაროთ?



აჰა, ერთი კიდევ ახალი წელიწადი... რა მოვულოცოთ ჩვენს თავს, ქართველნო? რა გვაქვს დღეს სასურველი, რომ დავიკვებოთ და შევირჩინოთ, რა გვაქვს ხვალ სანატრელი, რომ ვინატროთ და მოვილოდინოთ? უკან მივიხედავთ ამ ახლო ხანებში და ისეთი არა გვრჩება რა, რომ თავი მოვიწონოთ ან ნანვითა ვთქვათ: „ჰოი, წამო სიხარულისაგ, ესე სწრაფად სად წახვედი!“ წინ ვიყურებით და ხვალინდელის ნისლში იმისთანა არა მოსჩანს რა, რომ გული გულის ადგილსავე დაგვრჩეს, ან ნატვრით ვთქვათ: „მოვიდინ, დღეო სიხარულისაო!“ რა გითხრათ, რით გაგახაროთ?

ნუთუ ისევე ძველებურადვე თავი უნდა დავიკრათ და მოგახსენოთ: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი...“ სულ წყალობა ღვთისა და წყალობა ღვთისა, ერთხელ ჩვენ თვითონაც თითი გავძრათ. ერთხელ ჩვენ თითონაც მივდგეთ-მოვდგეთ. წყალობა ღვთისა კარგია, მაგრამ რა ქმნას

მარტო წყალობამ, თუ ღვთის მიერ ნაწყალობებს თითონ ადამიანი არა ჰრწყავს, არა სხლავს, არა ჰფურჩქნის, არ უვლის, არ ჰპატრონობს. ღმერთმა, რაც წყალობა იყო, უკვე მოიღო ჩვენზე. დანარჩენი თქვენ იცით და თქვენმა კაცობამაო. რა კაცობა გამოვიჩინეთ? რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ჩვენთვის ღმერთს არა დაუშავებია რა, არა დაუზოგვია რა, არა დაუკლია რა; თუ ქვეყანაზე ერთი-ორი კუთხეა იმისთანა, რომ კაცს ეთქმოდეს - ქრისტე ღმერთმა თავისი კალთა უხვევისა აქ დაიბერტყაო, იმათში უკანასკნელი საქართველო არ არის. რაც ღვთის შემძლეობით არის და არა კაცისათი, ის ყველაფერი უკვე მოგვმადლა ღმერთმა. ხელთ გვიჭირავს ეს მშვენიერი ქვეყანა, რომლის მნახავთ შეუძლიათ სამართლიანად სთქვან: „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა“. ამ სამოთხე ქვეყანაში მარტო ქართველს უგუბდება სული, გული ელევა, ხორცი აღნება... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ტყე-მინდორი, მთა-ბარი, მიწა-წყალი, ჰავა-ჰაერი იმისთანა გვაქვს, რომ რა გინდა სულო და გულო არ მოიხვეჭო, არ იშოვო, არ გამოიყენო. აქ, ჩიტის რძეს რომ იტყვიან, ისიც იშოვება. ოღონდ ხელი გასძარ, გაისარჯე, იმხნევე, მუცელსა და გულის-თქმას ბატონად ნუ გაიხდი. იცოდე, დღეს მძლეუთა მძლეა გარჯა, შრომა და ნაშრომის გაფრთხილება, შენახვა, პატრონობა, გამოზოგვა საჭიროებისამებრ და არა გაუმაძღარ სურვილისამებრ. ვართ კი ასეთნი? რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

რა არ გადაგვხდენია თავს, რა მტრები არ მოგვსევნიან, რა ვაი-ვაგლახი, რა სისხლის ღვრა, რა ღრჭენა კბილთა არ გა-

მოგვივლია, რა წისკვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზე და ყველას გავუძელოთ, ყველას გავუმაგრდით. შევინახეთ ჩვენი თავი, შევინარჩუნეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი. ღანგ-თემურებმა ჩვენს საკუთარ სისხლში გვბანეს და მაინც დავრჩით და გამოვცოცხლდით. შაჰ-აბაზებმა ჩვენის კბილით გვაგლეჯინეს ჩვენი წვრილშვილნი და მაინც გამოვბრუნდით, მოვსულიერდით. ალა-მაჰმად-ხანებმა პირქვე დაგვამხეს, ქვა-ქვაზედ არ დაგვიყენეს, მოგვსრნეს, მოგვჟლიტეს და მაინც ფეხზედ წამოვდექით. მოვშენდით, წელში გავსწორდით. გავუძელოთ საბერძნეთს, რომსა, მონღოლებს, არაბებს, ოსმალ-თურქებს, სპარსელებს, რჯულიანსა და ურჯულს და დროშა ქართველებისა, შუბის წვერით, ისრით და ტყვიით დაფლეთილი, ჩვენს სისხლში ამოვლებული, ხელში შევირჩინეთ, არავის წავადებინეთ. ცოდვა არ არის, ეს დროშა ახლა ჩრჩილმა შესჭამოს, თავგმა დაგვიჭამოს. დროშაში ამას გვიქადის... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ქრისტე-ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადავუდღეეთ მკერდი და ამ მკერდზედ, როგორც კლდეზედ, დავუდგით ქრისტეანობას საყდარი, ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი. და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემეუსრეს იგი. გავეწყდით, გავიჟლიტენით, თავი გავიწირეთ, ცოლ-შვილნი გავწირეთ, უსწორო ომები ვასწორეთ, ხორცი მივეცით სული-სათვის და ერთმა მუჭა ერმა ქრისტეანობა შევინახეთ, არ გავაქრეთ ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც ჩვენს სამშობლოს, ჩვენს მამულს - სამართლიანის თავმოწონებით ვეძახით. ცოდვა არ არის, ეს ერი მოსწყდეს; ცოდვა არ არის, ეს ლომი კოლომ საბუდრად გაიხადოს, ცოდვა არ არის, მელა-ტურამ გამოღრღნას, როგორც მძოვარი, როგორც ლეში. რათ? რისთვის? ვის რა ვირი მოვპარეთ? რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ყველა ეს შევძელით და საკითხავად საჭიროა - რამ შეგვაძლებინა? რამ გვიხსნა? ჯვარცმულნი ქრისტესთვის როგორ გადავრჩით? წამებულნი და სისხლმთხევლნი მამულისათვის რამდა გვაცოცხლა, რამ გვასულიერა? მან, რომ ვიცოდით - იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხე-სიმაგრე. მისი ფარ-ხმალი, ვაჟკაცობა უნდოდა, ვაჟკაცი ვიყავით, ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით, ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით. აი, რამ შეგვაძლებინა, რამ გვიხსნა, რამ შევინახა... იმ დროთა ჩარხზე გაჩარხულნი ვიყავით, იმ დროთა ქარ-ცეცხლში გამოფოლადებულნი, იმ დროთა სამჭედურში ნაჭედნი. „სილბო გეკონდა ნაქსოვისა“ - ვით ქრისტიანებს „და სიმტკიცე ნაჭედისა“ - ვით მეომრებსა და მამულიშვილებს. ამით გავიტანეთ თავი. დროთა შესაფერი ღონე ვიცოდით, დროთა შესაფერი ხერხი, დროთა შესაფერი ცოდნა გეკონდა, დროთა შესაფერი მხნეობდა და გამრჯელობა. წავიდა ის დრო: დაჩლუნგდა ხმალი, გაუქმდა ვაჟკაცობა, ეხლა ხმალი თაროზე უნდა შევდვათ, აღარაფრის მაქნისია; ეხლა ან ადლი უნდა გვეჭიროს ხელში, ან გუთანი, ან ჩარხი ქარხნისა, ან მართულები მანქანისა. ეხლა ვაჟკაცობა ომისა კი არ უნდა, რომ სისხლსა ჰღვრიდეს, ვაჟკაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი ჰღვაროს. კიდევ ვიტყვით, ქვეყანა ეხლა იმისია, ვინც ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა, ვინც უფრო უფრო ხილდება ნაშრომს, ვინც იზოგავს ნაღვაწს. დღეს მძლეუთა მძლეა მარტო ის, ვინც მცველია და ბეჯითი სულით და ხორციითა, ცოდნითა და მარჯვენითა. გეჭირს-კი დღეს რომელიმე ეს დროთა შესაფერი სიკეთე? რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ხმლიანმა მტერმა ვერ დაგმათმობინა, ვერ წავგართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა. ხმლიანს მტერს გავუძელოთ, გადავრჩით, ქვეყანა და სახელი შევინახეთ, სახსენებელი არ ამოვიკვეთეთ, შევირჩინეთ, საქოლავი არავის ავაგებინეთ. ხმლით მოსეულმა ვერა დაგვაკლო-რა -

შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსული კი თან გაგვიტანს, ფეხ-ქვეშიდან მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვწყვეტს. სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან. შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს ვერავინ-ღა გაუძლებს, თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დაგუყვნეთ. ვართ კი ყოველ ამისთვის მზად? ან გვეტყობა რაშიმე, რომ ყოველივე ეს ვიცით და ვემზადებით?.. რა გითხრათ? რით გაგახაროთ?


ეხლაც ომია, ხოლო სისხლის ღვრისა კი არა, ოფლის ღვრისა, ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი. ამ ომმა არც ბუკი იცის, არც ნადარა. უბუკ-ნადაროდ სთესავს, უბუკ-ნადაროდ მკის. კოკისებურ შხაპუნა ნიაღვარს კი არ ჰგავს, რომ მთა და ბარი თან წაიღოს, მოარღვიოს, მოღაროს და მოგრაგნოს, „მღუმარე წვიმისაებრ ნაყოფის გამომცემელია“. არც რბევა იცის, არც ძარცვა. ეს მის ბუნებაში არა სწერია, თუ თვითონ ადამიანმა გესლი უღმობელის სიხარბისა შიგ არ ჩააწვეთა, ბუნება არ მოუწამლა, არ მოუშხამა. ეს ომი შრომისაა, და ვითარცა შრომა - პატიოსანია, ნამუსიანია და ისეთივე თავმოსაწონებელი, თავ-გამოსაჩენი, როგორც უწინ თოფისა და ხმლის ომი იყო. ვაჟკაცობა ამისთანა ომში ბევრით წინ არის სისხლის ომის ვაჟკაცობაზე. ვაჟკაც გუ-

ლადზე მშრომელი სამის გაფრენით მეტიო, - იტყოდა გლეხკაცი თავისებურად ზედგამოჭრით, თუ მართალს ათქმევინებო. რა გლეხკაცი, თითონ დღევანდელი დღე ამას გვეუბნება, ამას ჰკლადებს და ჩვენ გვესმის კი ეს ღაღადი? ვაი რომ არა. მაშ რა გითხრათ, რით გაგახაროთ?

არ ვიცით - რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ - რანი ვართ, ვერ გამოგვისახია - რანი ვიქნებით. ყურებში ბამბა გვაქვს დაცული და თვალეზე ხელი აგვიფარებია. არც არაფერს ვხედავთ, არც არაფერი გვესმის. უზარმაზარი თხრილია ჩვენ, ქართველების წინ და აინუშიაც არ მოგვდის. ამ თხრილის პირას ვდგევართ და საკმაოა ხელი გვეკრან - და შინ გადავიჩეხებით დედაბუდიანად. ორბი, არწივიც კი ვეღარ გვიპოვის, ვეღარ დასწვდება ჩვენს ძვლებს, რომ გამოსხრან, გამოსწიწკნონ, ისეთი ღრმაა ეს თხრილი, ისეთი უძირო. ვდგევართ და უღონოდა ვბზუით „მე ვარ და ჩემი ნაბადიო“ და ამ ბზუილიდან არა გამოდის-რა. იქნება იმიტომ, რომ ყველა ბუზი კი ბზუის, ფუტკართან კი ყველა ტყუის.

ახალო წელიწადო, თუ რამ შეგიძლიან, თვალი აგვიხილეთ, ყურებიდან ბამბა გამოგვაცალეთ, ფუტკრისგან გვასწავლეთ დროთა შესაფერი სამამაცო ზნენია, რომ ჩვენმა შემდეგმა მაინც აღარა სთქვს: რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

1887 წ. 31 დეკემბერი



პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საინაბურაციო სიტყვა 1991 წლის 7 ივნისს



28 ოქტომბრის შემდეგ განვლილი პერიოდი გახლდათ ურთულესი გამოცდა როგორც ხალხის ისევე მის მიერ არჩეული ხელისუფლების და მთავრობისათვის. ვინაიდან მძიმე და ეკლიანია თვისუფლებისაკენ მიმავალი გზა. მითუმეტეს ძნელია ამ გზაზე ყოველდღიური სიარული — როდესაც გაივლის პირველადი ენთუზიაზმი, გამოჩნდებიან პირველი, და სამწუხაროდ არა უკანასკნელი შეცთომილნი და გზაბნეულნი, როდესაც — ფიზიკური შეზღუდულობა ადამიანისა, ამქვეყნიური ხორცისმიერი პრობლემები თითქოს- და შურს იძიებენ შინაგანად უკვე თავისუფალ ერზე. უნდა ვაღიაროთ, რომ ოცნება თავისუფლებაზე, სტიქიური მოქმედება მისი სახელით შეუდარებლად უფრო იოლი იყო, ვიდრე სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანილი, რეალურ სამუშაოდ ქცეული ეროვნული აღორძინება.

დღეს უკვე გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ურყევია ქართველი ერის ნება დაღწიოს თავი იმპერიულ ბორკილებს. იგი თანმიმდევრულად და მტკიცედ ადგას ამ გზას. ეს არ გახლავთ მოულოდნელი: ჩვენ ვდგავართ საქართველოს ისტორიის დიდ გზის გასაყარზე, სადაც ქართველი კაცი კიდევ ერთხელ ამბობს უარს ამქვეყნიურ, ფიზიკურ კეთილდღეობაზე, სულისმიერი ეროვნული აღორძინების სახელით. აღორძინება კი განახლებისა და საკუთარი ჭეშმარიტი მეობისაკენ დაბრუნებას ნიშნავს. მხოლოდ დვთის შეწვევითა და თითოეული ჩვენგანის თავდაუზოგავი საქმიანობით შეიძლება მივაღწიოთ მას. ქართველი ერის ისტორია, საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორია, ქართული კულტურა და ტრადიციული ღირებულებანი ეს არის ჩვენი წარსული, ეს არის ჩვენი სიამაყე. თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის მებრძოლი ხალხი, რელიგიური მსოფლმხედველობისა და ეროვნული ცნობიერების აღორძინების საზოგადოება — ეს არის ჩვენი აწმყო, ჩვენი ბრძოლის შედეგი. - საქართველოში, როგორც მართლმადიდებელ ქრისტიანულ ქვეყანაში, ტრადიციული იყო კავშირი ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის; - ქართველთა ცხოველი მორწმუნეობა განსაზღვრავდა მტრულ გარემოცვაში საქართველოს სახელმწიფოს მრავალსაუკუნოვან არსებობას. სახელმწიფო კი თავის მხრივ ხელს უწყობდა ეკლესიის სამოციქულო მოღვაწეობას; საქართველოს სახელმწიფოებრივი აღორძინება, მისი დამოუკიდებლობის აღდგენა ვერ მოხერხდება ქართველთათვის ნიშნეული ცხოველი მორწმუნეობის აღორძინების გარეშე, ზნეობრივი აღორძინების გარეშე — ამას ადასტურებს საქართველოს წარსულიცა და აწმყოც; - სწორედ

ამიტომ ჭეშმარიტად ქართული ეროვნული მოძრაობა მჭიდროდ იყო და არის დაკავშირებული რელიგიურ ცნობიერებასთან, ეკლესიის წიაღთან; - დღევანდელი (საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი) მოძრაობაც თა ვისი შინაგანი არსით ეროვნულ-რელიგიური მოძრაობა, რამდენადაც იგი არ გულისხმობს მხოლოდ ეროვნულ-პოლიტიკური მიზნების განხორციელებას, არამედ უპირველეს ყოვლისა ითვალისწინებს ზნეობრივ აღორძინებას ქრისტიანულ რწმენასა და ცნობიერებაზე დამყარებით; - ეროვნული ხელისუფლება იღვაწებს ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ტრადიციული ერთობის აღსადგენად. ამ ერთობის არსი შემდგომში მდგომარეობს – ეროვნული სახელმწიფოს ავტორიტეტი უნდა დაემყაროს არა მარტო ხელისუფლების სოციალურ-პოლიტიკურ განსაზღვრულობას, არამედ უმეტესწილად ქრისტიანულ ზნეობრივ საწყისებს; - სახელმწიფოს დამოკიდებულება ეკლესიასადმი უნდა დაეფუძნოს ეკლესიის რელიგიურ-ზნეობრივი ავტორიტეტის უზენაესობისა და ეკლესიის განსაკუთრებული სოციალური ფუნქციის აღიარებას; - ეკლესიის სამოციქულო მოღვაწეობის სულიერი ბუნება თავისთავად გამორიცხავს მის უშუალო მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში, მაგრამ პოლიტიკური სისტემიდან ეკლესიის გამოყოფა არ უნდა ნიშნავდეს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთგათიშვას;

- სახელმწიფო და ეკლესია არ უნდა ერეოდნენ ურთიერთის საქმიანობაში, მათ ერთობლივად უნდა უზრუნველყონ საერო და საეკლესიო ცხოვრების მთლიანობა. ჩვენ მომხრენი ვართ არა სახელმწიფოსა და ეკლესიის, ეკლესიისა და სკოლის ურთიერთგამიჯვნისა, არამედ მათი ბუნებრივი კავშირისა, რომელიც იმავდროულად პოლიტიკური სისტემისა და ეკლესიის ურთიერთდამოკიდებულებასაც დაემყარება;

- სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენასთან ერთად მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად უნდა იქცეს; - ამ პრინციპებიდან გამომდინარე, ქართულმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს

ეკლესიის უფლება იყოს საერო ცხოვრების აქტიური მონაწილე. სახელმწიფომ უნდა დაიცვას საეკლესიო ქონება, ხელი შეუწყოს ეკლესიას ტრადიციულ სამონასტრო მოღვაწეობაში. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, რათა ეკლესიამ მიღოს საჭირო მატერიალური დახმარება – საგანმანათლებლო საქმიანობის, ტაძრების მშენებლობისა და შეკეთებისათვის. უნდა აღდგეს საეკლესიო საკუთრება მიწაზე; - მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება არ ხელყოფს სხვა რელიგიების აღმსარებელთა, აგრეთვე ათეისტთა მოქალაქეობრივ უფლებებს. სახელმწიფოს მიერ გარანტირებული იქნება სინდისის თავისუფლება და თითოეულ პიროვნებას მიეცემა შესაძლებლობა იყოს აღმსარებელი იმ სარწმუნოებისა, რომელსაც თავად აღიარებს. მოქალაქეთა უფლებები არ შეიზღუდება რელიგიური ნიშნით. საქართველოს სახელმწიფო კვლავაც ერთგული დარჩება ტრადიციული რელიგიური შემწყნარებლობისა.

ქალბატონებო და ბატონებო, ქართველი ერი გამოირჩევა თანასწორობა შორის თავისი ყოფით, ადგილით და ენით. საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. - ჩვენი ისტორია, ცხოვრების წესი, ბრძოლა სარწმუნოებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის – ეს არის მოწამოებრივი გზა, ქრისტემიერი გზა სიკეთისა, სიქველისა და სიყვარულისა. - ისტორია გვაძლევს შესაძლებლობას, რათა დავუბრუნდეთ მამაპაპეულ გზას, ავაღორძინოთ თავისუფალი საქართველო. დგება უკვე როდესაც უკლებლივ ყველას სიცოცხლე მამულს ეკუთვნის. - ერი უეჭველად მზად არის გადამწყვეტი ბრძოლისათვის – ეს ეროვნული ხელისუფლების ვალია იყოს ღირსი უდიდესი მისის – შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა – საქართველოს დაუბრუნოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს ერთა თანამეგობრობაში. დიდი მიზნები მხოლოდ ღვთაებრივი სიყვარულით აღსრულდებიან. დაე აღსრულდეს ნება ღვთისა, ნება ერისა. გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

ენა მამული სარ ღმუნობა



მიმართვა ყოფილ თანამებრძოლებს

XX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეა განხორციელდა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას პიროვნებებში. ამიტომ, თუ ვინმე იჩემებს ეროვნულობას, მან უწინარეს ყოვლისა უნდა გამოაშკარავოს თავისი დამოკიდებულება ამ პიროვნებათა მიმართ.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, როგორც კი მოახერხა სახელმწიფოს მართვის სადავეებთან მისვლა, ქვეყანა დააყენა რეალური დამოუკიდებლობის გზას. იმპერიალისტურმა ძალებმა 1991-93 წლების ომის შედეგად კვლავ მოახერხეს ქვეყნის დაპყრობა და მადლიერების ნიშნად ხელისუფლება ფორმალურად მეხუთე კოლონას გაუნაწილეს. ასე გაჩნდა სოხუმის, ცხინვალის და თბილისის სამი დე-ფაქტო რეჟიმი. თბილისში თავის მხრივ გაიყვნენ პოზიცია-ოპოზიციად და დაიწყო დემოკრატიის მშენებლობა. ასე აშენდა იმგვარი დემოკრატია, როგორი კომუნისტიც ავგიშენეს თავის დროზე კომუნისტებმა.

სამწუხაროდ, ზოგიერთი ჩვენი თანამებრძოლიც ვერ გაერკვა სიტუაციაში და დღესაც დიდი მონდომებით ამშვენებს მეხუთე კოლონის ნამსხვრევებზე აღმოცენებული პარტიების დემოკრატიულ ფასადს.

დღიდან არჩევისა, უზენაესი საბჭო იყო მოწინავე რაზმი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ასეთად უნდა დარჩეს იგი მიზნის მიღწევამდე, საქართველოს სრულ დამოუკიდებლობამდე თუნდაც მის შემადგენლობაში დარჩეს მხოლოდ ერთი წევრი. ფაქტია, რომ უზენაეს საბჭოს ფაქტობრივად შეუწყდა უფლება-მოსილება, მაგრამ ვერავინ გაანთავისუფლებს მის წევრებს პირადი ვალდებულებებისაგან, რომელიც მათ დაეკ-

ისრათ 20 წლის წინ. უზენაესი საბჭო და მისი წევრები ვერ მოიხსნიან ნაკისრ ვალდებულებებს ქვეყნის წინაშე, მათ გააჩნიათ საკუთარი იურიდიული ბერკეტებიც და ვალდებულნიც არიან კვლავაც განაგრძონ მოღვაწეობა იმ გადაცდომების გასასწორებლად, რომლებსაც ნებით თუ უნებლიეთ ჩადის არალეგიტიმური დე-ფაქტო ხელისუფლება.

ფაქტობრივ ხელისუფლებას ჩვენ არ ვაფასებთ როგორც ცუდს ან კარგს, არ გვაქვს პირადი მტრობა მასში მყოფ ადამიანებთან. ისინი უბრალოდ არ წარმოადგენენ ქართველი ერის ნების გამომხატველ ხელისუფლებას და ამიტომაც შეფასებას იმათგან ვლიან ვის დავალებასაც ასრულებენ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩვენ მოვუწოდებთ სრულიად საქართველოს გაერთიანდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში რათა ვიხსნათ ქართველი ერი სულიერი და ფიზიკური გენოციდისაგან.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

ღმერთი იყოს სრულიად საქართველოს მფარველი!

ფირუზ დიაკონიძე
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი



საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრთა ჯგუფის მიმართვა საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობას!



ჩვენო ძვირფასო “ფურთხის ღირსო” და “ბედნიერო ერო!” შეგახსენებთ, რომ თქვენს ადგილას ცხოვრობდა “გულადი” და “პურადი” ქართველი ერი, რომელმაც თავის დროზე ჩვენ აგვირჩია ხელისუფლებად! ჩვენც დანაპირები შევასრულეთ და ქვეყანა დავაყენეთ ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის გზას! გლობალისტებმა ეს ვერ აიტანეს და რუსული იარაღითა და დასავლური “დემოკრატიული” მხარდაჭერით კვლავ დაიპყრეს საქართველო. ქართველთა ნახევარზე მეტი “გაძევებული” იქნა ქვეყნიდან, დარჩენილებს კი “ხელისუფლებად” დაგისვეს მათთვის სასურველი პირები. თქვენც მრავალგზის თავს იტყუებთ თითქოსდა ირჩევდეთ ხელისუფლებას და შემდეგ წუწუნებთ, რომ ცუდი ხელისუფალი გყავთ! ვერ ხვდებით რომ “ფაქტობრივი ხელისუფლება” თქვენს წინაშე ანგარიშვალდებული არაა, ხოლო დამპყრობელთა შეკვეთას ის პირნათლად ასრულებს: ხელმძღვანელობს ქართველი ერის გენოციდს! ამიტომაც ყოველი ვითომ არჩევნების დროს გამოგიჩენენ ახალ სატყუარას, რათა მიგიყვანონ ურნასთან და ამით გააფორმონ “დემოკრატია”...ისინი გთხოვენ მხარდაჭერას რათა უკეთ ძარცვონ საქართველო! ჩვენ საპირისპიროდ გთხო-

ვთ მოვიპოვოთ ქართველებმა ჭეშმარიტი არჩევნები და ჩვენ გაგვათავისუფლოთ პასუხისმგებლობისაგან, რომელიც დაგვეკისრა 1990 წელს!

დევნილობაში მყოფი ლეგიტიმური ხელისუფლება კი თქვენი მხარდაჭერის გარეშე უძღურია! ჩვენთან აღარ არის ჩვენი პრეზიდენტი, თუმცა თავის ადგილზეა ზვიადის მიერ ხელდასმული პრემიერ მინისტრი, რომელსაც უარი არ უთქვამს თავის კონსტიტუციურ მოვალეობაზე!

ჩვენ, როგორც ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენლები, მოგიწოდებთ და უმორჩილესად გთხოვთ ნუ გამოაყენებინებთ საკუთარ თავს სამშობლოს საწინააღმდეგოდ, ნუ მოიტყუებთ თავს თითქოს რაიმეს შეცვლით “არჩევნებზე”!

დაე ნებისმიერმა ჩვენთაგანმა იკისროს პასუხისმგებლობა საკუთარ გადაწყვეტილებაზე!

**უზენაესი საბჭოს წევრთა
ჯგუფი სახელით:
ფირუზ დიაკონიძე
ზაური კოსტავა
გურამ ისაკაძე
2012 წლის სექტემბერი**

ხელისუფლება და ხალხი

როგორც მოგეხსენებათ, დღეს სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების საკითხი საქართველოში. ამ მოთხოვნით გამოდიან არა მარტო ცალკეული პოლიტიკური პარტიები, არამედ ამგვარი ცვლილების აუცილებლობას მძაფრად გრძნობს ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილიც.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ დღევანდელი ოპოზიციური პარტიების ლიდერები ვადამდელი არჩევნების ჩატარების აუცილებლობას ხელისუფლების საქმიანობის კრიტიკულ შეფასებაზე აფუძნებენ. მათ მოთხოვნას არ გააჩნია სამართლებრივი არგუმენტაცია და ხელისუფლებას რჩება საფუძველი მისი იგნორირებისა. ამასთან დაკავშირებით გვინდა მოგახსენოთ შემდეგი:

მიმდინარე წლის 7 მაისს, ჩვენი მოქალაქეების ერთმა ჯგუფმა (სულ 135 ხელმოწერა) საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე შეიტანეს განცხადება სწორედ ახალი არჩევნების ჩატარების აუცილებლობის დასაბუთებითა და ამასთან დაკავშირებით უონსულტაციების დაწყების მოთხოვნით. ამ განცხადებას ხელს აწერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 6 წევრი, რამდენიმე პოლიტიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელი, სხვადასხვა პროფესიისა და პოლიტიკური წარსულის მქონე პიროვნებები, რომლებიც ერთიანი პარტიული ინტერესებით არ არიან შეზღუდულნი.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე 5 თვეზე მეტი გავიდა ამ განცხადების ჩაბარებიდან, დღევანდელი ხელისუფლების სამივე ხელმძღვანელი პირი ჯიუტად დუმს. ჩვენ ისტა დაგვრჩენია, საკუთარი საშუალებებით გავაცნოთ მისი შინაარსი საზოგადოებას და ვამხილოთ ხელისუფლების სრული უნარობა სამართლებრივი

ბრივი ენით ესაუბროს საკუთარ მოქალაქეებს.

ვფიქრობთ, 135 სრულიად სხვადასხვა ასაკის, პროფესიისა და პოლიტიკური მრწამსის ადამიანის მოსაზრება, ანგარიშგასაწევი თუ არა, ყურადსაღები მაინც უნდა იყოს, როგორც ხელისუფლების, ასევე ჟურნალისტებისათვის.

ჩვენთვის უკვე გასაგებია მათი განწყობა ამ მოთხოვნებისადმი, მაგრამ თქვენი ყურადღება გვინდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ მათ ამ მოთხოვნის უარსაყოფად დასაბუთებული და არგუმენტირებული პასუხი არ აქვთ.

საქმის არსში უკეთ გასარკვევად წარმოგიდგინთ ამ განცხადებაის სრულ ტექსტს (ხელმოწერების გარეშე):

“1991-93 წლებში საქართველოში მოხდა შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება, კანონიერი ხელისუფლების დამხობა და კონსტიტუციის გაუქმება. რასაც შედეგად მოჰყვა პრეზიდენტის დაღუპვა, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის რღვევა, სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძვლების სრული მოშლა და საქართველოს კვლავ დაბრუნება უცხო ქვეყნის () გავლენის სივრცეში. ამ მოვლენებს თან ახლდა ქვეყნის მატერიალური და კულტურული ფასეულობების დატაცება, მოსახლეობის უმაგალითო ძარცვა და დიდძალი ადამიანური მსხვერპლი.

ჩადენილი დანაშაული უპრეცედენტოა თავისი სიმძიმითა და მასშტაბებით და იგი ასეთად ითვლება ნებისმიერი ქვეყნის ს.ს. კოდექსში. საქართველოში კი ამ დანაშაულისათვის არათუ არავინ დასჯილა, პირიქით - ამ ბრალდებით იქნა გასამართლებული დამხობილი კანონიერი ხელისუფლების არაერთი მხარდამჭერი და წარმომადგენელი.

ამ ფაქტს დუმილით გვერდს უვლის დღემდე მოსული ყველა ხელისუფლება.

არადა ყველასთვის ცხადია, რომ სახელმწიფო, რომელსაც საფუძველშივე ამგვარი ცოტალური უსამართლობა უდევს სამართლებრივ სახელმწიფოდ ვერ ჩამოყალიბდება. დღევანდელ ვითარებაში, როცა მსოფლიო პოლიტიკას განსაზღვრავს მაკრო- ეკონომიკური ინტერესები და ძალმომრეობა, ისეთ პატარა ქვეყანას, როგორც საქართველოა, მყარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მომავალი არა აქვს.

არსებობს უამრავი ფაქტობრივი მასალა იმის თაობაზე, რომ ზემოხსენებული სახელმწიფო გადატრიალება განხორციელდა მსოფლიოს იმდროინდელი მმართველი ელიტის მდუმარე დასტურით, ხოლო პრაქტიკულად შესრულებული იქნა რუსეთის რეგულარული არმიის ნაწილების მიერ. ყოველივე ეს სრულ საფუძველს გვაძლევს 1991-93 წლების მოვლენები მივიჩნიოთ საქართველოს ხელახალ ანექსიად, ხოლო შევარდნაძისა და მისი სამართალმემკვიდრე ყველა მომდევნო ხელისუფლება არალეგიტიმურად. ეს გარემოება არაპირდაპირ დადასტურებულია საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 11 მარტის დადგენილებითაც (1991-92 წლების მოვლენების სამართლებრივი

და პოლიტიკური შეფასების შესახებ).

მიუხედავად ამისა, იმის გამო, რომ „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდა საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის ნდობით, მიგვაჩნია, რომ ქვეყანას გაუჩნდა შანსი ჭეშმარიტი აღმშენებლობითი პროცესების დაწყებისა, რაც პირველ რიგში უნდა გამოიხატოს 1991 წელს მოქმედი კონსტიტუციის, როგორც უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი ბაზისის თუნდაც სიმბოლურ აღდგენაში ჩვენი ტერიტორიული პრობლემების გადასაჭრელად და ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებაში 1990 წლის საარჩევნო კანონის მიხედვით. ლოზუნგი „სამართლიანობის აღდგენისა“ შინაარსობრივად სწორედ ამას ნიშნავს და სწორედ ამგვარმა მოლოდინმა განაპირობა ამომრჩეველთა დიდი ნაწილის აქტივობა 2012 წლის ოქტომბერში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე აუცილებლად მიგვაჩნია: დაიწყოს კონსულტაციები ფაქტობრივ ხელისუფლებასა და კანონიერი ხელისუფლების უფლებამოსილ პირებს შორის 1992 წელს უკანონოდ გაუქმებული კონსტიტუციის აღდგენისა და ახალი საპარლამენტო არჩევნების მომზადების თაობაზე.”



ქართული ენის გახვეთილება ქართველი ბავშვი ჟურნალისტებისათვის

ჩვენ გული შეგვტყივა ქართული ენის მდგომარეობაზე. ხარდახან გვეჩვენება რომ მას განგებ ამახინჯებენ, რადგან ვერ წარმოგვიდგენია უნივერსიტეტ დამთავრებული ადამიანი ასე ამახინჯებდეს დედა ენას! თუმცა იმასაც ვუშვებთ რომ შეიძლება მართლაც ბუნებრივად ეშლებოდეთ. ისინიც ხომ ადამიანები არიან! ამიტომ გადავწყვიტეთ მცირე ოდენობით გაგიზიაროთ ის ცოდნა რაც ჩვენ გაგვაჩნია! თუ ამანაც არ გიშველათ და ყვლავაც განაგრძობთ ქართული ენის შეურაცყოფას მაშინ იძულებული ვიქნებით სამართლის ენაზე გელაპარაკოთ, რადგან ენის, მამულის და რწმენის ხელყოფა განიხილება სახელმწიფოს ტალატად!!!

თქვენებურ - ქართული ტექსიკონი

- კიპური - მეჯარე
- ლაინსმენი - გვერდითი მსაჯი
- რეფერი - მსაჯი
- პერფომანსი - წარმოდგენა
- პრეზენტაცია - წარდგენა
- საგიჟეთი - საგიჟე
- სასომხეთი - სომხეთი
- შარმი - ხიბლი
- ბოიფრენდი - მეგობარს სქესის მიხედვით არ ვასხვავებთ

ამათ ქალაქ თბილისის მერია მოგვითარგმნის

- ელსი ვაიკიკი - ???
- მაზერქეარი - ???
- რივერსაიდი - ???
- რივერ აილენდი - ???
- ჰოლიდეი ინნ - ???
- კოლცენტრი - ???
- მონიტორინგის (სამსახური) - ???
- თიბისი - ???
- ტიბერთი (ბანკი) - ???
- ილიას უნივერსიტეტი - ვითომ ილიას ეკუთვნის?

სამწუხაროდ ფონეტიკაში ჯერჯერობით ვერ გეხმარებით! არადა ფონეტიკაში ცოდავთ უფრო!



ՏԾՈՒՄԵՆ ԵՂԵՄՏՈՏ

ნუ ბანიკითხავ და არ ბანიკითხები

ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართველისას ამბობს, ჩვენს ცუდს არ მაღაავს, ეგ ხომ ცხადი სიძულვილია?“ ბრიყენი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს — ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია!

ილია ჭავჭავაძე

რა კარგად მოთარგვნეთ! თქვენ გენაცვალეთ! თქვენი აზრით მე უნდა გაგჩუმდე თქვენს ცოდვებზე და ჩემსაზეც არაფერს იტყვიო. რა კარგია! სამოთხისკენ გზა თავისუფალია! აბა უნდა ამხილო მოყვასი უარეს ცოდვაში რომ არ ჩავარდესო?

პირდაპირ გეტყვით! მე შემძლია არ დავცინო მათხოვარს, მაგრამ სხვა გზისკენ უნდა მივუთითო! მე შემძლია გაგჩუმდე და არ დავძრახო ბავშვი რომელმაც სათამაშო ან ვაშლი მოიპარა, მაგრამ შევეცდები თავად მას აგუხსნა რომ ეს ცუდი საქციელია. მე შემძლია გავუბო და არ დავძრახო ქალი რომელიც იძულებულია იმრუშოს ფულის გულისათვის, შვილები რომ გადაარჩინოს, მაგრამ უნდა დავეხმარო მას თავი დააღწიოს ამ ცოდვას! მაგრამ მე არ შემძლია გაგჩუმდე და არ ვამხილო ის ვინც ჩემი სოფლის სასამეღ წყალს მიწამღაავს, რადგან მე არ მინდა გავხდე მისი თანამონაწილე და მსურს ვიხსნა ჩემი სოფელი! რა არის აქ გაუბეზარი? ეგებ ძველი ქართული ენის განმარტებებში ჩაიხედოთ და უფრო მიხვდეთ რას ნიშნავს სიტყვა „განიკითხვა“!

არ გეგონოთ მე უმადური და ურწმუნო ვინმე ვიყო. მე ახლაც დიდი მოწიწებით ჩავივლი იმ სახლთან ქუთაისში 60 წლის წინათ ვიღაც კეთილმა დეიდამ წვიმისგან გალუმპულები რომ შეგვიფარა, გაგვათბო, მოგვეალერსა და შემდეგ გზაც დაგვიღოცა! ისიც მახსოვს გზასაცდენილი, ათეისტურად აღზრდილი შემთხვევით რომ აღმოვჩნდი ეკლესიაში და როგორ დამანახა მოქადაგე მოძღვარმა ჭეშმარიტება... ჩამაფიქრა და დამაწყებინა ძიება. თუმცა აღსარებაზე რომ მივსულიყავი ამას კიდევ 20 წელი დასჭირდა!

იქნებ არ ვამხილოთ 2011 წლის 1 მაისს, სვეტიცხოველში მოძღვარმა სიძეს ჯვრისწერისათვის 100 დოლარი რომ „აახია“ და ჯვრისწერის მოწმობა შეუვსებლად გამოატანა „თავად შეავსეთო“! თუმცა აქვე ვიტყვი რომ პირადად მე ლურჯ მონასტერში მოძღვარმა ჩემს უაზრო შეკითხვაზე „რამდენია საჭირო?“ ალაღად მითხრა თუ რაიმე გემეტება იქ არის შემოწირულობის ყუთიო! დიდება მას! იქნებ არ იცით რომ თბილისის სიონის ტაძარში ჯვრისწერის დროს მათხოვრის ფორმით გამოძალაველი თაღლითი დაძრწის და მაყრიონს ხელს უშლის მოძღვრის სიტყვების აღქმაში? იქნებ ჯერჯერობით ვერ გაარკვიეთ ვინ აიტანა ტყვიამფრქვევი ქაშუეთის ტაძრის გუმბათში 1991 წლის 22 დეკემბერს რათა მთავრობის სახლისათვის დაეშინა?! მე ეს ვიხილე და შევბრწუნდი! ვიცი თქვენი პასუხი! მაშინ ვერ შეეწინააღმდეგეთ მოძალადეს, „ამბროსი ხელაიობას ნუ მომთხოვთო“ განაცხადა ერთმა თქვენთაგანმა! უნდა გითხრათ რომ ჭეშმარიტი ქრისტიანი უნდა ნატრობდეს მიეცეს შესაძლებლობა ამბროსი ხელაიას მიმსგავსებული ნება გამოამუღავნოს! ახლა მაინც დაგმეთ ცუდი საქციელი 24 წლის შემდეგ! თუ ახლაც გეშინიათ?

სამაგიეროდ თქვენ არ შეგეშინდებათ ჩემზე თავდასხმა ასეთი „ცუდი“ აზრები რომ გამაჩნია თქვენს მიმართ. არადა სწორედ ჩემი უნდა გეშინოდეთ, რადგან ამ სიტყვებშია ჭეშმარიტება. ჭეშმარიტება კი გაგებული გექნებათ რაც არის! ღმერთმა ქნას მე ვცდებოდე და დიდი სიხარულით მივიღებ სასჯელს!

გახსოვდეთ თუ ჩემზე პასუხი დააპიროთ უნდა მოიმარჯვოთ სჯულის კანონი, რადგან დემოკრატიისა და პუტჩისტების წესებს მე არ ვცნობ!

მე თავად დღენიადავ ვილოცებ თქვენთვის რათა დაუბრუნდეთ ქრისტეს გზას!

**მონა ღვთისა
ვირუზ დიაკონიძე**

ბერი მერკვილი ამხელს



დიდი ხნით ადრე მოგვიწოდებდა უფალი, ქრისტეს ეკლესიაში მიდითო და არა დღევანდელ, ეკლესიებად წოდებულ მშენებარე „ცეხებში“. ქრისტეს ეკლესია ქრისტეს რჯულია, ქრისტეს მცნებათა აღსრულებაა, ქრისტესთვის მოწამეობაა, ჯვარცმაა.

ეკუმენიზმმა მამა-პაპათა ქრისტეს ჭეშმარიტი სარწმუნოება, ქრისტე მაცხოვრის შიში და სიყვარული შეღებილ ფასადებად აქცია, რაც სასჯელად, ნელ-ნელა გვემხოება თავზე და საბოლოოდ დაგვდუპავს, გაგვანადგურებს, თუ დროზე არ მოვიქცევით. სანამ ცოდვებს, ცდომილებას არ შევიცნობთ, არ შევიგნებთ, სანამ კერპის თაყვანისცემიდან ქრისტეს თაყვანისცემას არ დავუბრუნდებით და სჯულს არ დავიცავთ, ღომს მგელი მიემატება, მგელს ტურა და საბოლოოდ შთანგვთქავს; ჯოჯოხეთში კი ცდომილების შეცნობა და სინანული, ვაგლახ, რომ გვიანია!

ყველა ის წინასწარმეტყველებანი, რაც ივერიის სულიერ გაბრწყინებას უკავშირდება, აღიქმება ისე, როგორც ჩვენ გვინდა და გვესიამოვნება, სწორედ გამოხატავს ჩვენს სულიერ სიბრმავეს. ჩვენ ჩვენივე უმეცრებით ველოდებით, რომ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა უნდა დატოვოს ათონის წმინდა მთა და იმ საქართველოში უნდა ჩამობრძანდეს, სადაც შენდობის კვირას, ამბიონიდან „იქადაგება“: საქართველო ორ კვირაში ამქვეყნიურ „სასუფეველში“ – ნატოში უნდა შევიდესო. ამბიონიდან კეთდება ოფიციალური განაცხადი: ჩვენ ვეზიარებით ანტიქრისტეს და ველით მის მოსვლას პრომეთეს კერპთან, საიდანაც ახალდაგებული მაგისტრალური გზით მელეას კერპთან საზეიმო შეხვედრას მოეუწყობთ წმიდა გიორგის ძეგლის ღოცვა-კურთხევითო. იმ საქართველოში ველოდებით, რომელმაც, ვითომდაც, ერესთ-ერესი „ეკლესიათა ეკუმენისტური მსოფლიო საბჭო“ დატოვა, ხოლო მასში დარჩენილი „მართლმადიდებელი“ ეკლესიის საჭეთმპყრობელთა (ეშმაკთა ნაზიარებების) მოხსენიებას განაგრძობს და მათთან ყველა „მართლმადიდებლური ქრისტიანობის საიდუმლოს“ თანაზიარია. ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი იმ საქართველოში უნდა ჩამობრძანდეს, სადაც ეკლესია თავისი დუმილით (ნეტავ, დუმდეს მაინც) ხელისშემწყობია ანტიქრისტიანული ხელისუფლების თავხედობის და თვითონაც ისევე დებავს ეკუმენიზმის ფასადს, როგორც ხელისუფლება სახლებს, ქართული ეკლესიაც ისევე ფიქრობს ფასადების შეღებვით ღმერთის მოტყუებას, როგორც ხელისუფლებას ჰგონია, რომ სახლების ფასადთა შეღებვით ხალხს ატყუებს. თუ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა ათონის წმიდა

მთა უნდა დატოვოს და საქართველოში ჩამობრძანდეს, მაშინ გვეშინოდეს და არა გვიხაროდეს; რადგან ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი არა წყალობით, არამედ მახვილით ჩამოვა, რომ თავზე დაგვამხოს პრომეთეს, მედეას კერპები, წმიდა დიდმოწამე გიორგის ძეგლი და ლამაზ ფერებში ფასადშეღებილი ეკუმენიზმი და გვეკითხოს, – ერთს თუ ვერჩით და ეკლესიიდან განკვეთით ვსჯით, იმისთვის, რომ ეკუმენიზმის შეურიგებელი მოწინააღმდეგეა, მაშინ ხელს რატომ ვაფარებთ მეორეს, რომელიც ეკუმენიზმის შეურიგებელი მომხრეა? რომელიმე ხომ არის ჭეშმარიტების მომხრე და ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, რომ პირველნი არიან ჭეშმარიტების მომხრენი. „ეკლესიათა ეკუმენისტური მსოფლიო საბჭო“ ესაა ბოროტების, ანტიქრისტეს მოციქულთა საბჭო, თუ ჭეშმარიტება ის გვეგონია, რასაც საქართველოს „მართლმადიდებელი ქრისტიანული“ ეკლესიის გააქვრებული იერარქი ინებებს?

ღვთისმშობლის წილხვედრობა არ ნიშნავს ღვთის სასუფეველში შესასვლელ უფასო საგზურს; ღვთისმშობლის წილხვედრობა, უპირველესად, პასუხისმგებლობა და დვაწლია, მისი ძე-ღმერთის მოძღვრების აღსრულება და მამონას განდევნაა, ღვთის მადლის მოპოვებაა და არა ძვირადღირებული ჯიპებისა; ღვთისთვის თავის შეწირულთა უპოვარობაა და არა მსოფლიო გლობალიზაციის ნაყოფით ტკობა; მღვიძარება და მუდამ ანთებული ლაპრებით (გულით) მზადყოფნაა და არა უგუნურ ქალწულთა მსგავსად ჩამქრალი ლამპრებით სიძესთან შეხვედრა. შევიმოსოთ არა შეღებილ ფასადიანი ეკუმენისტური სამოსელი, არამედ საქორწინე, რათა სიძემ ქრისტემ არ გვეკითხოს: „მოყვასო, ვითარ შემოსუედ აქა, რამეთუ არა გამოსავს სამოსელი საქორწინე?“. არ უთხრას ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ძემ-სიძემ თავის მსახურთ: „შეუკრენით

მაგას ხელნი და ფერხნი და განაგდეთ ეგე ბნელსა მას გარესკნელსა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენაი კბილთაი“.

მაშ, რატომ უნდა დატოვოს ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა ათონის მთა და საქართველოში ჩამობრძანდეს, თუ არა დასასჯელად? თუ საქართველო უფრო მეტად წილხვედრია, ვიდრე ათონის მთა? თუ საქართველოში უფრო ძლიერია ქრისტეს ჭეშმარიტი რწმენა, ვიდრე ათონის მთის ბერებში? (ეკუმენიზმის მოწინააღმდეგე მამებში).

ღიას! უფლის საყოველთაო განკითხვის ჟამს საქართველო აუცილებლად გაბრწყინდება: ვახტანგ გორგასლის, დავითის, თამარის, ქეთევან დედოფლის, აბოთბილელის, შუშანიკის, ევსტათი მცხეთელის, რაჟდენ პირველმოწამის, ათთა ბევრთა მოწამეთას, ექვსი ათასი გარეჯელი ბერის, ნიკოლოზ, ევდემოზ კათალიკოსის, მრავალ ქართველ წმიდა მოწამეთა, ღირსთა და აღმსარებელ მამათა და არა დღევანდელი ფარისევლების, მწიგნობრების, მღვდელმთავრების, ახალი ჰეროდევების და პილატეების საქართველო.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი აუცილებლად ჩამობრძანდება საქართველოში, რომ გვეკითხოს, – რატომ ვაიძულეთ, ქრისტეს ჭეშმარიტ მხედარი, რომ „მახვილით“ ებრძოლა ქრისტიანობის დასაცავად? რატომ დავეუშვით, რომ საპყრობილეში გამოგვეკეტა იგი, იმიტომ ხომ არა, რომ ჩვენს ფარისევლობასაც ნიღაბი ეხდებოდა?

რატომ უშვებთ, რომ აგრესიული იეღოვას სექტა კარდაკარ დადის და სახლში უვარდება მოსახლეობას წარსაწყმედელი მოძღვრების საქადაგებლად, მაშინ, როცა ქრისტეს „მღვდლები“ თავიანთი პრესტიჟულნომრიანი ჯიპებიდან და სრა-სასახლეებიდან არ გამოდიან? ეკლესიაშიც იმიტომ ხომ არ დადიან, რომ იქ „საცხოვრებელი“ (და არა საცხოვრებელი) ვერცხლია? ჩამობრძანდება ღვთისმშობელი და მოგვეკითხავს, რას

დავამსგავსეთ მისი წილხვედრი საქართველო? ვაი, რომ მოგვკითხავს, რატომ დავუტყვევთ მისი ძის – ქრისტეს მოძღვრება და შევუდექით „შიოლაშვილის ძის“ მოძღვრებას? ვაი, რომ მოგვკითხავს, რატომ დავუტყვევთ ქრისტიანობა და შევუდექით „ილიანობას“ ; ვაი, ჩვენ, რომ ვდუმვართ და დუმილით ღმერთს ვღალატობთ, ამას მე კი არ ვამბობ, წმიდა გრიგოლ ღვთისმეტყველი ამბობს.

ვაი, შენ, საქართველოს „სულიერო მამავ“, რომ: „თუ ეპისკოპოსი, მღვდელი ან დიაკონი მწვალებელთან ერთად ილოცებს, აეკრძალოს მღვდლობა. თუ ნებას მისცემს მათ (ერეტიკოსებს), რომ შეასრულონ რაიმე სამღვდლო წესი, როგორც მღვდლებმა განიკვეთოს“ (მოციქ. კანონი 45). ვაი, შენ რომ მოგიწევს ყორნის გათეთრება, მტკიცება, რომ ისინი, ვინც დღესაც მწვალებლებთან ღოცულობენ, შენ კი მათთან, ერეტიკოსები არ არიან?

ვაი, თქვენდა, საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავარნო და მღვდელმსახურნო, რამეთუ: „თუ ეკლესია ურწმუნოებს უპყრიათ და იქ მისვლა არ შეიძლება, სახლში შეკრიბე, ჰოი, ეპისკოპოსო, მრევლი, რომ კეთილმსახური არ შევიდეს ბოროტმსახურთა შესაკრებელში, რადგან ადგილი კი არ განწმენდს კაცს, არამედ კაცი ადგილს“. (პეტრე და პავლეს განწესება 9) ეს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ძის მოციქულებმა განაწესეს.

ვაი, ჩვენდა, რამეთუ: „თუ უღმერთობებმა დაიპყრონ ადგილი, გაიქეცი შინ, რადგან მათ შეაგინეს იგი.“ (პეტრე და პავლეს განწესება 10). როგორც ღირსეულნი განწმენდენ სამღვდლო პატივს, ასევე ბილწნი შებილწავენ მას. თუ ერთად შეკრების შესაძლებლობა არ არის არც ეკლესიაში და არც სახლში, მაშინ თითოეულმა ილოცოს, იკითხოს, იგალობოს თავისთვის, ან ორმა და სამმა ერთად, რადგან უფალი ამბობს: „სადაცა იყვნენ ორნი ანუ სამნი შეკრებილნი სახელისა

ჩემისათვის, მუნ ვარ მე შორის მათსა“

დღევანდელი საქართველოს უზნეო ხელისუფლება, „სულიერი მამისაგან“ (ილია მეორე) კურთხეული, საკუთარი ხალხის მოძულე (ე.ი. ქრისტესმოძულე), რომელიც ქართველი ხალხის ეროვნულ სიმდიდრეებს უცხო თესლთაზე ჰყიდის, ბოლოს ჩვენს დატყვევებულ სიწმინდეებსაც მისდგება, მათთვის უცხოა ღვთიური სიწმინდის შეუფასებლობა და აუქციონს თუ რა ჯანდაბა – ტენდერს ეძახიან გამოაცხადებენ და გაასხვისებენ, მერე კი ცოტა ხანს ვაი-ვიშს დავიწყებთ და ამასაც შევეგუებით, ისევე, როგორც დღემდე ამქვეყნიურ ბატონს დამონებულნი ყველაფერს ვეგუებოდით. მაცხოვარს და ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს განა ჩვენი უწმინდური ხელისუფლებისგან ესაჭიროება დაცვა? ქრისტე მაცხოვარს ან დედა ღვთისას გაუჭირდება ტყვეობიდან საკუთარი თავის გამოსხნა? მაგრამ ჩვენი მათდამი სიყვარული გამოიცდება, რაც საყოველთაო განკითხვის ჟამს შეგვიფასდება.

ვინ დაუშალა თქვენს „სულიერ მამას“, ჩემო ქართველებო, რომ საქართველოს თავისუფლებისათვის და ჭეშმარიტ ქრისტიანობისთვის მებრძოლ 9-აპრილებებს, რომელთაც ქაშუეთის ეკლესიაში მოუწოდებდა ღოცვისთვის, იქ გაეშალა ოდიკი, სადაც ნამდვილი ქართველი ვაჟკაცები და მანდილოსნები იყვნენ და იქ აღესრულებინა ღოცვა და საღმრთო ლიტურგია? ეზიარებინა, როგორც ისტორიულად საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავარნი აზიარებდნენ ხოლმე ბრძოლის წინ საქართველოსთვის და ქრისტიანობისთვის მებრძოლთ, თუ არ იყო მათი ბრძოლა სამართლიანი? ღმერთი ნამდვილად არ დაუშლიდა. მაშ რა ხდება? 9 აპრილს ბარბაროსთაგან დაღვრილთა სისხლი არ იყო წმინდა?


ვინ დაუშალა თქვენს „სულიერ მამას“, ბოლო ასწლეულის განმავლობაში

გვერდში დასდგომოდა ერთადერთი ჭეშმარიტი ქრისტიანი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ეროვნულ ხელისუფლებას? (რამდენადაც ვიცი, ერთადერთი ზვიად გამსახურდია არ უკურთხებია, თუ ვცდები, შენდობას ვითხოვ), მაშინ როდესაც საქართველოს ფიზიკურ-სულიერად დამაქცეველ სააკაშვილ-შეგარდნაძის ტანდემს სულიერ თანადგომას უცხადებს და საქართველოს უდიდეს სულიერ კერებში – გელათსა და ბაგრატის ტაძრებში ფიცის დადების ცერემონიალს თავის სასულიერო „კოჰორტთან“ ერთად „საზეიმო“ განწყობას ჰფენს? ან, იქნებ, არ იცის, რომ ამ ანტიქრისტე ტანდემს აქვს თავისი „სიწმინდეები“ – პრომეთეს და მედეას კერპები?

რა „უმაღლესი პოლიტიკა“ და „ფარული დიპლომატიკა“, რასაც საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთთან დაკავშირებით ახორციელებს? სირბილი სხვადასხვა პოლიტიკოსებისა ამერიკა-ევროპაში (და არა იქ, სადაც გასაღებია), რა მოლაპარაკებებს აწარმოებენ და მერე რას აწვდიან ქართულ მოსახლეობას, მხოლოდ ეშმაკმა უწყის. „სულიერი მამის“ თხოვნით მიმართვა ამერიკის პრეზიდენტისადმი, იქნებ თქვენ დაგვეხმაროთ

აფხაზეთის დაბრუნებაშიო, რაღაც წერილების გადაცემა რუსეთის ელჩისადმი, რა მიზანს და რა პოლიტიკას ემსახურება? იმას, რომ, ღმერთმა არ ქნას და თუ აფხაზეთი სამუდამოდ დაგვარგეთ, პასუხისმგებლობა მოიხსნას, მაგრამ ჩვენ ხომ კარგად ვიცი, საქართველოს ეკლესიას არაფერი გაუკეთებია ნდობისა და სიყვარულის აღსადგენად, თუ არ ჩავთვლით სააკაშვილივით რაღაც პროვოკაციულ ქმედებებს. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ჭეშმარიტების ღმერთია ყველა გასაჭირიდან გამოსავლის გასაღები, სიყვარულის ღმერთია დარღვეული საქართველოს გაერთიანების გასაღები, ღმერთთან სულიერი ერთობის აღდგენით მიიღწევა დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაც!

რუსეთის ხელისუფლება თავისი ინტერესების გამტარებელს და აღმსრულებელს, ისეთს, როგორც არის საქართველოში სააკაშვილი და მისი მაკურთხებელი, თვით რუსეთშიც კი ვერ იპოვიდა. სანამ ჭეშმარიტ მართაღმსარებლობას არ დავუბრუნდებით, სანამ საქართველოს ეროვნული ხელისუფლება არ ეყოლება, მანამდე იქნება ღვთის რისხვა საქართველოს თავს; შევიგნოთ ეს, თავი დავაღწიოთ ეშმაკის ხიბლს და მოვინანიოთ! ამინ!



მიტროპოლიტ შიო ავალიშვილის წერილი პატრიარქს



ყველა გონიერი ადამიანისათვის ახსნილია და გასაგები, თუ რა ძნელი საქმე იტვირთა ჩემმა სიმდაბლემ ჩემი სრული ხანდაზმულობის პერიოდში. უკვე ერთნახევარი წელია მე ვუძღებ ამ ტვირთს და ვერ დამცა დაბლა მისმა სიმძიმემ. უფრო სწორად რომ ვთქვათ, ჭეშმარიტება უძღებს ამ ტვირთს. სიმართლის ძალამ აიტანა მისი სიმძიმე, მისი სიბილწე, ვერაგობა და უკუღმართობა. სიმართლეს ამქვეყნად ნათელი ღვთისა და ჩემს სიბერეს ღონე შემატა ღვთის ამ ნათელმა. ხელი კანკალებს, როდესაც ვწერ მე ამ სტრიქონებს, მაგრამ გული სიმართლის ძალით რითმულად ძგერს და მუშაობს. დაწყილი საქმე უნდა დამთავრდეს. უნდა დამთავრდეს იგი ერისა და ღვთის მოსაწონად. და რადგანაც თქვენ, ბატონო პატრიარქო, არც თავიდან გინდოდათ თქვენს წინაშე აღძრული ამ საქმის ქრისტიანული, სამართლიანი გზით დამთავრება და დღესაც ყოველნაირად ართულებთ და აღრმაგებთ საქართველოს ეკლესიის

დამღუპველ მთელ რიგ უკუღმართობებს, ჩემმა უმწეობამ კვლავ დაძრა ტვირთი, რომელიც მე ერთნახევარი წელია ყოველდღიურად მიმძიმდებოდა, რა თქმა უნდა თქვენი “ღვაწლით” და თქვენი “წყალობით”. ბრყვიც კი მიხვდებოდა, რომ მე ჩემი გულისა და ძვლების ტკივილის შედეგად დავძარი ეს ტვირთი. მე არ შემეძლო არ დამეძრა იგი, ვინაიდან “მარადიულობა ჩემთვის ყველაფერია, სხვა ყოველივე დანარჩენი – არაფერი” და სული მარადიულობისა და ერისა მოითხოვს ჩემგან ან დავეცე, ან ტვირთი ბოლომდე მივიტანო.

1983 წლის 11 ოქტომბერს, სინოდის სხდომის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ მე თქვენს წინაშე ყველა საკითხში ცათამდე მართალი ვიყავი, მაინც თავი მოვიხარე და პატიება გთხოვეთ იმ გულისტკივილის გამო, რომელიც ჩვენგან აღძრულმა საქმეებმა მოგაყენათ. თქვენც მაშინ კმაყოფილებით მიიღეთ ჩვენი თავმდაბლობა და იმედი მოგვეცა, რომ ტვირთი მოგვეხსნებოდა, რომ თქვენ დაიწყებდით “საბოლოო წერილით” დასმული საკითხების მოგვარებას.

ხსენებული წერილის სრული სიმართლე ყველა მოვლენამ და ანალიზმა დაადასტურა. ყოველი აზრი, ყოველი დასკვნა და ყოველი სიტყვა მართალი იყო ღვთის და ერის წინაშე. წერილის შინაარსი ცნობილია სამღვდელოებისა და ფართო საზოგადოებისათვის. იგი იმდენად ჭეშმარიტი ამბებისაგან იყო შედგენილი, რომ უყოყმანოდ მიიღო ყველამ. ყველა მოელოდა, რომ თქვენ, როგორც გონიერი ადამიანი და სრულიად საქართველის კათალიკოს-პატრიარქი გამოასწორებდით უმთავრესს მაინც და შეცვლიდით გეზსა და მეთოდს. მაგრამ მოგტყუვდით ყველა, არ გაამართლეთ მოლოდინი, არ მოავარეთ “საბოლოო წერილში” დასმული

საკითხები. თქვენმა შემდგომმა საქმიანობამ უფრო გააფართოვა, გააღრმავა და გაართულა საქართველოს ეკლესიაში არსებული კრიზისი. თქვენ, თქვენთვის დამახასიათებელი საქმიანობით უფრო მეტად დაუპირისპირდით ქართველ ხალხს და ეკლესიის ჭეშმარიტ კეთილდღეობას. გასაოცარია, რომ ჩვენს ეკლესიაში მომხდარი დიდი და სამწუხარო ამბებიდან თქვენ ვერ გამოიტანეთ (ან არ გამოიტანეთ) სათანადო დასკვნები. უფრო მეტად გაამაყდით, გახდით განუსჯელი, განუკითხავი, მიუკარებელი და ყოვლად უსამართლო. გარდა საზღვარგარეთ მოგზაურობისა და იქედან ჩამოსული სტუმრების მიღებისა თქვენ სხვას არაფერს კითხულობდით და არც გეხერხებათ მეტი არაფერი. ამის გამო საქართველოს ეკლესიაში გამეფებულია უპატრონობა, უპასუხისმგებლობა, უთავბოლობა, სიბილწე, გარყენილება, სიხარბე, ეკლესიის სახსრების დანაშაულებრივი ხარჯვა და სხვა მრავალი. 54 მოქმედი ეკლესია გაგვაჩნია და მათი უმეტესობა ჩაფლულია ჭუჭყსა და მტვერში. თქვენ ისე უყურებთ ყოველივე ამას, თითქოს არ გეხებათ, ან თქვენს ღირსებაზე დაბლა მიგაჩნიათ ზრუნვა ამ საკითხების მოგვარებისათვის.

ხშირად ხდება, რომ თქვენ თავად არღვევთ საეკლესიო თუ სახელმწიფო დებულების რომელიმე მუხლს და როდესაც ცხოვრების უღმობელოება ამ დარღვევას სააშკარაოზე გამოიტანს, ცდილობთ, სხვას მოახვიოთ თავზე იგი და ამისათვის მიმართავთ ისეთ მეთოდს, რომელიც არაფრით არ შეეფერება კათალიკოს-პატრიარქის ღირსებას. თვით საპატრიარქო აპარატში გამეფებულია ისეთი ქაოსი, რომ ერთმანეთს ვედარავინ ცნობს და “უპორტფელო პატრიარქი”, თქვენი ძმა ვიქტორ შიოლაშვილი ისე განაგებს ყველაფერს, როგორც თქვენ გაგეხარდებათ. ალბათ სწორედ ამიტომ არ გინდათ შეედიოთ თქვენს ძმას, მიუხედავად იმისა, რომ მისით აღშფოთებულია მთელი სამღვდელთა და საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ახლოს დგას საქართველოს

ეკლესიასთან. ვიქტორ შიოლაშვილისა და თქვენი საგვარეულოს სხვა წარმომადგენლების ეკლესიიდან მოშორების აუცილებლობა ჩვენ სათანადო დამაჯერებლობით დავასაბუთებთ “საბოლოო წერილში”. მაგრამ თქვენ, შექმნით რა შთაბეჭდილება, რომ იწყებთ შენიშვნების გამოსწორებას, მალე დადებით თქვენს ძველ ზენიტზე და თქვენი ცნობილი ღიმილით შენიღბული მრისხანება მოაფინეთ “მონებს თქვენსას”. ერთი უბედურებაა ის, რომ სიბილწე დამკვიდრდა საქართველოს ეკლესიაში. მაგრამ უფრო დიდი უბედურებაა, რომ თქვენ არ ეწინააღმდეგებით ამ სიბილწეს. პირიქით, მფარველობთ მას, რის გამოც ჩვენი საეკლესიო ცხოვრების სინამდვილეში კანონად იქცა ერთ დღეს ბერად აღკვეცა და სქემის მიღება, ხოლო მეორე დღეს დაქორწინება ოფიციალურად თუ ინკოგნიტოდ. ძალის გამოყენება მსოფლიო პოლიტიკაში უარყვეს და დაგმეს, თქვენ კი ეკლესიაში დაამკვიდრეთ იგი და დაიმონეთ ამ გზით მთელი სამღვდელთა. ისევ და ისევ თქვენი საგვარეულოს ფეხქვეშ არის გაგებული ჩვენი სახელოვანი წარსულის მქონე ეკლესია, ხოლო ამ ეკლესიის წმიდა სინოდი, მისი წევრების სამარცხვინოდ, თქვენი უსამართლო სურვილების აღმსრულებელ ტაკიმასხარად გადააქციეთ. ბოროტად იყენებთ რა იმ კანონს, რომ სახელმწიფო არ ერევა ეკლესიის საქმეებში, თქვენ არ ერიდებით არავითარ ძალადობას იმ უსამართლობის გასატარებლად, რომლითაც გინდათ შეინარჩუნოთ თქვენი შეუზღუდავი ბატონობა საქართველოს ეკლესიაში.

არავითარი სურვილი არა მაქვს, რომ გადავტვირთო ეს წერილი, მაგრამ არც ის შემძლია, უმთავრესი მაინც არ ვთქვა. საშინელია, როდესაც ადამიანს დიდი იმედი გაუცრუდება. და თუ ეს იმედი და ეს გაცრუება შეეხება არა პირად საქმესა და ცხოვრებას შენსას, არამედ იმ ჭეშმარიტებასა და იდეალს, რომელსაც შენ ემსახურები, რისთვისაც გინდა კიდევ იცოცხლო ამქვეყნად, რისთვისაც გინდა ენერგია და მისწრაფება, რაც გონებას

აფხიზლებს და ადამაღლებს, რითაც “ახლდება სიჭაბუკე, როგორც ორბისა” – ეს კლავს გულის ხალისს და აღმაფრენას, ეს ათოვს წუხილს გათენებას და დაღამებას, ეს შეძრავს ხოლმე კაცის ვაებანახულ გულსაც. ასეთ იმედთა გაცრუებამ, რომელიც თავისი რეალური შინაარსით ვერაგობას უახლოვდება, შეძრა ჩემი გულიც, სიცოცხლეც და მოსვენებაც. ისე გავლიე სამოცდათხუთმეტი წელი, რომ მსგავსი რამე არც მსმენია, არც შემხვედრია. მე არ მინახავს ჯერ კაცი, რომელსაც ისე შეეძლოს შენიღბვა და ფერისცვალება, როგორც ეს თქვენ შეგიძლიათ, ბატონო ჩემო. ასეთი წმიდა, დიდი და სანუკვარი მოვალეობის შესრულების დროს ვინც გაგიცრუებს სასოების ჩანაფიქრს, მონიდომებს სიბილწისა და ანგარების ზღვაში ჩაძიროს მისწრაფებათა ელვარება, სიკეთისა და სიყვარულის სათნო სისავსე – ასეთ ვინმესთან არ შეიძლება სხვა ენაზე ლაპარაკი, თუ არა ის ენა, რომლითაც მე გესაუბრებით. არა, შემცოდავ ადამის შვილო თუ ნაშიერო, კი არ ვსაუბრობ, გულის სისხლში ვავლებ ამ სიტყვებს და ქაღალდზე ვალაგებ მათ მთრთოლვარე ხელით, რომ ეს სიტყვები სიმართლის მტერსაც მოხვდეს გულზე და განუსჯელსაც; რომ ამ სიტყვებმა სულის უხილავი კინესკოპიდან დაგანახოთ თქვენც და სხვებსაც ჭეშმარიტება, რომლისთვისაც თქვენ მე მაწამეთ.

ამ ხნის კაცი ბავშვური მიამიტობით ვფიქრობდი, რომ დაცხრებოდა გოროზი გული უკუღმართობისა და ყველანი საქმეს მოკიდებდით ხელს, რომელიც ასე უხვადაა ჩვენს ეკლესიაში მუდამ. მაგრამ არ გამართლდა ვარაუდი, არ დაწყნარდა დიდი ზვირთების მშობელი ზღვა, არ დაოკდა შურისძიების ქარიშხალი და მოურიდებლად დადგა ყალყზე ბოროტების შავი ურჩხული. ასეა ზუსტად. ჭეშმარიტად ასეა საქმე. ისე მოაწყო თქვენმა “გენიამ”, რომ ბოროტება ებრძვის სიკეთეს. იქ, სადაც უნდა იყოს გონიერებასთან შერწყმული სისპეტაკე და სათნოება, ამხედრებულა უტიფრობა და თავხედობა. უსირცხ-

ვილოდ დგანან სულიერი დაცემის გზაზე. ბნელს დაუფარავს საქართველოს ეკლესიის ტრადიციები, მსოფლიო საეკლესიო კრებათა განსჯა და სჯულის კანონი. ასე აშკარად დაუპირისპირდა ერთმანეთს საქართველოს ეკლესიაში სიკეთე და ბოროტება. ყველა უკუღმართობა, რომელთა შესახებაც მოთხრობილია “საბოლოო წერილში”, არა თუ შეწყდა, არამედ გაღრმავდა, გამწვავდა და გაუარესდა. ყველანი, სამღვდელონი თუ საერონი გაოგნებულნი უყურებენ ხვალინდელ დღეს და არ იციან, რას მოიტანს იგი. სამღვდელთა ერთი ნაწილი, რომელნიც მხოლოდ ანგარებით არიან შეპყრობილნი, დაჰკანკალებენ თავიანთ თბილ ადგილებს, მლიქვნელობენ და ყოველგვარი გზით ცდილობენ შეინარჩუნონ ის საბუდრები, რომლებშიც ისინი შემთხვევამ ჩასვა. მეორე ნაწილი სამღვდელოებისა, რომელთაც გააჩნიათ პატიოსნება და პასუხისმგებლობის გრძნობა, დაძაბულნი უყურებენ ეკლესიაში გამეფებულ უთავბოლობას და წყურიათ, რომ დამყარდეს სიწმიდე, სათნოება და წესიერება. მესამე ნაწილი სამღვდელოებისა გულისტკივილით შეპყურებს მიმდინარე მოვლენებს და ეშინია, რომ არ იხეიძოს ბოროტებამ, უკუღმართობამ არ დათრგუნოს საქმის სიკეთე, მშვიდობა და წესიერება.

ქართველ ხალხს კი, მორწმუნეთ და არამორწმუნეთ, მათ, ვისაც უყვარს საქართველო, ვისაც ახარებს ჩვენი სიკეთე და შეუღალხავი სახელი ჩვენი, სწყურია, საქართველოს ეკლესიაში მუდამ სუფევდეს სიწმიდე და პატიოსნება, რომ ისმოდეს ჩვენს დიდ ტაძრებში საგალობლები სიყვარულის, შრომის, სიმართლის, გულწრფელობის, მონანიების, პატიების, ერთგულების და მშვიდობისა.

მაგრამ ვაი, რომ ნაცვლად ამისა ეკლესია გახდა პირადი განდიდებისა და პირადი კეთილდღეობისთვის ზრუნვის წყარო. ამის და სხვა მრავალ მიზეზთა გამო დიდი და მცირე მოღვაწენი ეკლესიისა ხალხის თვალში დაგკნინდით და გავდატაკდით. და ვინაიდან ამის მიზეზი

თქვენ ბრძანდებით მხოლოდ და მხოლოდ და თუ დიდი საქმე და მომავალი მსხვერპლს მოითხოვს, სამართლიანი უნდა იყოს მსხვერპლის შეწირვა. და სად ვნახოთ სამართალი ღვთისგან ნაკურთხი იმაზე მეტი, რომ თქვენმა დიდებამ უნდა დატოვოს ტახტი იგი, რომელიც თქვენ არასოდეს გეკუთვნოდათ. არასოდეს არ გეკუთვნოდათ იმიტომ, რომ საკუთარი თავისა და დიდების გარდა თქვენი ცხოვრების ჰორიზონტზე არსად ეწერა სხვა ფიქრი და სხვა მისწრაფება. არ გეკუთვნოდათ იმიტომ, რომ შენიღბული იდეით მუდამ თქვენი მშობელი ერისა და ჩვენი ისტორიის წინაშე; რომ ქრისტიანული სიკეთის მსახური, ბიწიერებას მფარველობით და მფარველობით დღესაც. ხალხს არად აგდებთ, იმ ხალხს, რომელმაც გშვათ, აღზარდათ და აღგამაღლათ დიდებისა და პატივის მწვერვალამდე. ფაქტიურად თქვენ უაქცავით მსოფლიო საეკლესიო კრებათა დადგენილებანი და სჯულისკანონნი; მკითხავები და მწვალებლები შემოიყვანეთ ჩვენს სანუკვარ ეკლესიაში. ისეთ სიკეთეს, როგორიც არის აღზევება და დაჯილდოება, იყენებთ მხოლოდ ქვეშევრდომთა დასამონებლად; მორწმუნე-

თა შემოწირულ მადლსა და დოვლათს ისე დაუნანებლად ფლანგავთ, როგორც ნილსონ როკფელერმა დახარჯა თავის ჰაიპარად მონაგარიდან ხუთი მილიონი დოლარი, რათა დაუფლებოდა ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორის რბილ სავარძელს. პატრიარქის სახელს შეურასხყოფს ის, რასაც თქვენ აკეთებთ შვიდი წლის მანძილზე ჩვენს ეკლესიაში.

ჩამოსათვლელი ბევრზე ბევრია, მაგრამ მე ამჟამად აქ წერტილს დავსვამ. ვიცი, თქვენ და თქვენი “წმიდა” მამები წამოიწყებთ ჩემი დევნის მესამე რაუნდს. მაგრამ მადლობა უფალს, რომელმაც მოგვამაღლა სიმხნევე და მოთმინება ყველა დევნისა და უსამართლობის გადასატანად. მე მინახავს დევნა უსამართლო და განუკითხავი ადამიანებისაგან, მაგრამ მინახავს მუდამ სიმართლის და მართლმსაჯულების დიდი ზეიმიც. და იზეიმებს ჭეშმარიტი ზეიმით საქართველოს წმიდა ეკლესია. არ დაუშვებთ ქართველი ერი, რომ დიდხანს ბობოქრობდეს მის წიაღში ანგარება, უთავბოლოება, სიბილწე და კადნიერება.

- თქვენ უნდა გადადგეთ!

შიო (ბათუმ-შემოქმედელი მიტროპოლიტი)
16 ივლისი 1984 წელი



ბერი გაბრიელის ბახსენება



ჩემს ცხოვრებაში ერთი ბედნიერი დღე მქონდა და მას უფლის დიდ საჩუქრად ვთვლი, ეს ის დღეა როცა მეოცე საუკუნის წმინდანი, ჩემტვის დედამიწაზე ფეხად მოსული „ღმერთი“-ბერი გაბრიელი გავიცანი. ეს იყო 1993 წელს. ეს ის დრო იყო, როცა ჩემს პირად ცხოვრებას აპოკალიფსის პერიოდში კიდევ ერთხელ შავი დრუბელივით გადაუარა. ჯამრთველობა შერყეული, მთლიანად ხერხემალში გადატეხილი, მაგრამ ბერი გაბრიელის წყალობით სულით დაუცემელი დავრჩი. რომ არა ის, მე ახლა ამ დღეებს ალბათ ვერც გავიხსენებდი.

როდესაც ცრემლიანი ტკივილით სავსე დღეებს ლოცვაში ვატარებდი ამხანაგისგან შევიტყვე მისი არსებობა და ადგილმდებარეობა, მაშინვე მისი გაცნობის სურვილი გამიჩნდა და მეორე დღესვე მცხეთისკენ გავუდექი გზას. კითხვა-კითხვით მივადექი ჩემთვის უცნობ ადგილს-ბერი გაბრიელის კელიას.

მიახლოებისას შიში და სიხარული ერთმანეთში ამერია, ამასობაში კელიასთან

ახლო მდებარე ბოსტანში მოფუსფუსე მონაზონი შემომესმინა:-ვინ გნებავთ? შემინებულმა ვუპასუხე-- მამა გაბრიელი. ---მამა გაბრიელი ისვენებს და ვერ მიგიღებს. მისმა მკაცრმა პასუხმა უფრო დამძაბა და გულდაწყვეტილი მოვბრუნდი რომ უცებ ჩვენგან 20-მეტრის დაშორებულ მის კელიის დახურულ კარებიდან მკაფიო ხმა მოგვესმა ორივეს-დედა პარასკევა ეგ გოგო შემოუშვი. მე არ ვიცი როგორ მივუახლოვდი და ფრთხილად შევადე კარები. ჩემს დაბნეულობას გაოცებაც დაერთო, როცა ხატებით გაჭედული უცნაური ოთახი ვიხილე. იქვე ტახტზე ბერი იწვა, რომელიც ჩემს ყველა მოძრაობას, სახეს აკვირდებოდა. მისი მითითებით სკამზე ჩამოვჯექი. --რას თხოულობ ღმერთისაგან? ჩემდა უნებურად ვთქვი-ჯანმრთველობას. ითხოვე და მოგეცემა-მიპასუხა. ჩვენს შორის დუმილმა დაისადგურა, ვერ ვუყრიდი თავში აზრებს, ვშიშობდი რაიმე ისეთი არ მეთქვა, რაც მას გაააბრაზებდა, ამ დროს თვითონ მითხრა:-მეზობელს რომ წარამარა უძახო და შეველა თხოვო მობეზრდები, ერთხელაც იქნება სახლიდან გაგაგდებს, ან სულ აღარ მოგხედავს, ხოდა ღმერთსაც მასე უნდა მორიდება, ხშირად არ შეაწუხო, მან კარგად იცის შენი ტკივილი და დახმარების დრო. თავს ძალა დავატანე და მოვუყევი 17 წლის ასაკში ჩემს თავზე დიდი განსაცდელის შესახებ, რომელმაც ძირფესვიანად შეცვალა ჩემი ცხოვრება და ბედნიერების კარები სამუდამოდ გამომიხურა, სად მეძებნა ამის მიზეზი?ჩემს ოჯახის წევრებში თუ?.....მან მიპასუხა:ღმერთი თავის შვილს ყოველთვის განსაცდელში აყენებს და სტანჯავს.

კვლავ ვკითხე:-ჩემი მშობლები ჩემს სახელზე საკლავს რომ შეუთქვამენ, მეორე წელს დაკვლის წინა დღეს საკლავი უსულოდ კვდება, ამიტომ დაპირებას ვერ მისრულებენ.რა ხდება? რას მანიშნებს უფალი?როგორ მოვიქცე? თავად ხომ არ ვარ შესაწირი? მან მიპასუხა: -შესაწირს შენს სახელს ნუ დააარქმევ,გყავდეთ ოჯახ-

ში, დაკვლის დღეს ან წინა დღეს აჭამე შენს სახელზე ნაკურთხი პური, მარილი და წყალი, ან მღვდელს აკურთხებინე და ისე დაკალი. ისე იცოდე, რომ ღმერთი შენგან ეკლესიურობას ითხოვს, რაც ლოცვით, მარხვით, აღსარებითა და ზიარებით გამოიხატება. ვითომ თავი ვიმართლე მაგრამ არ გამომივიდა...ის გამიბრაზდა და მკაცრი ტონით მითხრა: როგორი ეკლესიური ხარ როცა მოძღვარი არ გყავს და არ ზიარებულხარ, აქედან რომ წახვალ შენს სახლთან ახლო ეკლესიაში მიდი და მოძღვარი არ აარჩიო, ვინც პირველი შეგხვდება ის იქნება შენი მოძღვარი.

ამით დასრულდა ჩვენი პირველი შეხვედრა, ისე წამოვედი სიხარულისაგან ფეხს მიწაზე აღარ ვადგამდი. ყველა ტკივილი დამაგიწყდა. იმედის დიდი ნაპერწკალი გულში ღვიოდა, ღვთის იმედი და დიდი რწმენა განმიმტკიცდა მამა გაბრიელის შემწეობით, ამას აშკარად ვგრძნობდი. მისი ყველა მითითება და დარიგება შევასრულე მაშინვე. მიუხედავად ამისა, ჩემი სულიერი მოთხოვნილება იზრდებოდა მამა გაბრიელის მიმართ, უფრო მეტიც, სულ მინდოდა მასთან ვყოფილიყავი, რადგან სულიერ სიმშვიდეს და სიყვარულს მხოლოდ იქ ვპოულობდი.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მისი გაცნობის მერე შემისრულდა სურვილი, და მივხვდი რომ მისი ლოცვა შემეწია უფალთან. მივხვდი რომ მე ცოდვილს, უფლისათვის არანაირი მადლი არ მქონდა გაკეთებული, როგორ შემისმენდა? მამა გაბრიელს კი უღვევი მადლი და ღვაწლი აქვს ღვთის წინაშე. როცა შესაწირი შევასრულე მაშინ მივხვდი, თუ რას ნიშნავდა ეს სიტყვები: ღვაწლმოსილი, სწრაფშემწე, მეოხი უფალთან. მერწმუნეთ დიდია ბერი გაბრიელის მეოხება უფალთან.

ბერი გაბრიელის რჩევით და შემდგომში წმინდა მამათა წერილების წაკითხვით მივხვდი, რომ ეს სატანჯველი ღვთისაგან მაქვს მიღებული. მამა გაბრიელმა ღრმად ჩამაწვდინა იმას, რომ ღვთის ნების გარეშე თმაც არ ჩამოვარდება ადამიანს. აგრეთვე, დამაწვდინა იმას რომ ამქვეყნიური ფიზიკური ტკივილი მზადებაა იმქვეყნი-

ური საცხოვნებელი ცხოვრებისა. წმინდა მამებს სატანჯველი თუ არ ქონდათ, წუხდნენ-ნეტავ ღმერთს ხომ არ დავავიწყდითო. ეს ყველაფერი მან შემაგრძნობინა. მასთან გატარებული თითოეული დღე მნიშვნელოვანია ჩემთვის. ყოველი მისი ქადაგება სახარებასთან იყო დაკავშირებული. არაერთხელ გვქონია საუბარი იმ დროს საქართველოში არსებულ გაუსაძლის-გაჭირვებულ მდგომარეობის მიზეზებსა, გამოსავალსა და შედეგებზე. ეს ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო, ის ძალიან განიცდიდა ქართველ ხალხს შორის ძმათამკვლელ სისხლიან დღეებს, აქედან გამომდინარე მან ერთხელ გაბრაზებით თქვა მოკალით შევარდნაძე, პატრიარქი ჩამოაგდეთ კურთხევას მე გაძლევთ, ოღონდ არ მოკლათ ერს ტვირთად დაააწვება.

--კი მაგრამ რისთვის? ვკითხე.

--მთელი საქართველოს უფსკრულისკენ, ჯოჯოხეთისკენ მიაქანებს.

--კი მაგრამ სხვები რას ფიქრობენ, სინოდი, სამღვდელოება;

---საპატრიარქოდან კუბოს კუბოზე გამოიტანენ, ჩემს შეკითხვას უმაღლესი პასუხი მოაყოლა.

--კი მაგრამ ქართველ ხალხს ძაან უყვარს, დაინტერესებული კითხვა შევაგებე, თითქოს მიმიხვდა ჩემს კითხვის მიზანს და მითხრა;

--მის სურათს ხატად შექმნიან და თავის თავზე ალოცვინებს, ეკლესიებში კი კედლებზე მის ფრესკებს შექმნიან. წმინდანად აღიარებენ სიცოცხლეშივე.

როცა საქართველოს მომავალზე ატირებული შევეკითხებოდი, როგორ წარიმართება მამაო ჩვენი ხალხის, სამშობლოს მომავალი, მის კოპებშეკრულ თვალეში დიდი ნაღველი ჩანდა, ამოიოხრა და მითხრა:

-- რაც მოხდა ეურნალია, კინო აწი იწყებაო, შეშინებულმა შევხედე, ის კი განაგრძობდა:-ახალგორამდე რუსები შემოვა, ბათუმს თურქეთი წაიღებს, ბორჯომამდე სომხები წაიღებს, რუსთავამდე აზერბაიჯანი წაიღებს, საქართველო თბილისიდა დარჩება მარტო, მერე აღდგება საქართველო, ერი და ბერი გაერთიანდება, ქუდზე კაცი გამოვა და დაიწყება ბრძოლა მამული-

სათვის არა შვილო, სიცოცხლის გადარჩენისათვის, და ორჯერ გამიმეორა კარგად დაიმახსოვრეო. ღვთისმშობელი დაგვემარება მაგრამ ქართველი ხალხი ბევრი დაიხოცება. ერთი მესამედი გაწყდებაო, თუ გადარჩებაო დამავიწყდა ისე ავნერვიული ვეღარ დავიმახსოვრე. რომ ვიხსენებ ის ნერვიულობა კიდევ მეორდება.

მე წავიწუწუნებდი და ჩემს უსუსურობას ვტიროდი და სურვილს გამოვხატავდი რომ სამშობლოსთვის ერთი აგური დამელო. მან მითხრა შენ ქადაგად დაეცემიო, ოღონდ ნუ ელოდებიო, ის თვითონ მოვივარო, მე შემეშინდა, ტანში გამცრა და კვლავ ვკითხე : ესეც სასჯელია? კი მაგრამ, რატომ მსჯის ღმერთი? რისთვის? მან კვლავ დაკვირვებით მიყურა და მითხრა:--ეს ღვთისაგან დიდი წყალობააა, შენთვის კი დიდი ტანჯვაო. რადგან ღვთის წყალობა დააფიქსირა ამოვისუნთქე, ვინაიდან ქადაგი მეგონა „სატანისაგან“ იყო მოგზაფნილი, მაკვირვებდა ის, რომ ადამიანს, რომელსაც არავითარი რელიგიური განათლება არა აქვს, როგორ შეუძლია იქადაგოს?.....

როცა მასთან შეხვედრების დღეებს ვიხსენებ უფრო და უფრო ვრწმუნდები რომ ის იყო ცოცხალი ბიბლია ანუ ფეხადმოსული კაცი. როგორც „ღმერთი“, რომელსაც საუკუნეში ერთხელ ჩუქნის უფალი ერს...

მასხენდება ერთი მეტად მნიშვნელოვანი დღე, რომლის მხილველი თავად ვარ. თუმცა დღემდე ვერ ამიხსნია. 21 სექტემბერია, ღვთისმშობლობა, საოცარი მონატრება ვიგრძენი მამა გაბრიელისა. იმ წუთას მცხეთის გზას გავუდექი, ავიარე კიბეები და დავინახე საოცრება---დავინახე კუბო. კუბოში მწოლიარე მამა გაბრიელი და არაპროფესიონალი მგალობლები. რა თქმა უნდა ეს სურათი ჩემთვის მეტად თავზარდამცემი იყო, რადგან ვფიქრობდი, რომ მამა გაბრიელს ვეღარ ვნახავდი, ვერასოდეს გავიგებდი მის ხმას და მადლიან ღოცვა-კურთხევას., რომელიც ჩემი სულის მხსნელი იყო. ამას ვფიქრობდი გაოგნებული, რომ გალობასაც მორჩნენ და ბერი გაბრიელი კუბოში შეინძრა. გავშრი, ვერ გავერკვი რა ხდებოდა, გონს რომ მოვეგე, მისკენ წავიწიე წამოდგომაში

დასახმარებლად. სხვაზე ალბათ გულიც გამისკდებოდა, იქ მდგომმა მიმანიშნა არ მიხვიდო, მე მაინც მივედი, კუბოსთან მუხლი მოვიყარე და მოვიკითხე კუბოდან იმანაც მომიკითხა, გულზე ჩამოკიდებულ ჩემს ჯვარს ხელი შეავლო და ხმადაბლა გასაგები ხმით მითხრა:--როგორ გიხდება ამ ჯვრის ტარებაო, ცოტა ხანი მოიცადე და მოგხედავ ჯერ ესენი დავლანძლო და სახით მონახუნებზე მიმითითა, მართლაც რამდენიმე წამში იქ არავინ იდგა სულ მიმოიფანტნენ მისი ლანძღვის შედეგად, მიხეზი კი მის წინ მაგიდაზე გაშლილი იმ დღის საპატივცემულოდ გაშლილი მაგიდის აშლა იყო. ამის მერე ნახევარი საათი ტკბილად ვისაუბრეთ, რომელიც ისევე და ისევე საქართველოს შეეხებოდა, თან თავის მადლიან ღოცვას მოაყოლებდა ჩემს მიმართ: მგლის ხახიდან მუდამ უდანაკაწროდ გამოსულიყავიო.. ბევრჯერ მართლაც არამარტო მგლის, ლომის ხახაშიც მოვხვდარვარ და უდანაკაწროდ გამოსულვარ მისი მადლიანი ღოცვის შედეგად. რომელიც ფართო თემაა..... ამის მერე ბერი გაბრიელი მალე გავიდა ამ ქვეყნიდან. ასე მეგონა ამ ქვეყანაზე მარტო ჩემი კი არა, საქართველოს ვარსკვლავიც მოწყდა. დავრჩი მარტო ჩემს მამა გაბრიელის სურათთან და მის სამკურნალო ზეთთან ერთად, რომელიც ტკივილით დატანჯულ სულს და ხორცს მიამებს. არ ვიცი ვინ როგორ გამიგებს და დამიჯერებს, მაგრამ მე მართლაც მასთან გატარებულმა პრაქტიკულმა გამოცდილებამ დამარწმუნა და მჯერა რომ მამა გაბრიელი სიცოცხლის შემდეგაც არ ტოვებს სულიერად თავის ხალხს და ყოველთვის იქ არის სადაც უხმობენ, სადაც საჭიროა.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა უფალო, მამა გაბრიელის სიცოცხლეში გაცნობისათვის და კიდევ უფრო დიდი მადლობა მამა გაბრიელს ჩემი სიყვარულიათვის და დახმარებისთვის, რომელსაც ყოველთვის ვგრძნობ და ყოველთვის მჭირდება დღევანდელი ცხოვრებიდან გამომდინარე.

მაგული ლომიტაშვილი

მეცნიერება



ალიკო ცინცაძე

როგორ გაიშვირა იოანე-ზოსიმეს ხელნაწერი (და რატომ ამახინჯებდნენ მას?)



იყოს მკითხველისთვის.

საქართველოში ძნელად თუ იპოვი ადამიანს, ვისაც იოანე-ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ არ წაუკითხავს, ზოგმა სულაც სკოლაში ისწავლა, ან ლაზარეს ხსენების შაბათს ეკლესიაში მოისმინა, მაგრამ ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ ის რასაც ჩვენ იოანე-ზოსიმეს ხელნაწერად გვაწვდიან, დამახინჯებულია. თუ წარსულის ცნობილი ენათმეცნიერები, მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს და მეოცის დასაწყისში, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ყველა დღემდე შემორჩენილი ხელნაწერი არც იყო მიკვლეული, ტექსტის ხელყოფის პროცესის უნებლიე მონაწილენი გახდნენ, თანამედროვე „ენათმეცნიერებზე“ ამის თქმა გაგვიჭირდება. უმრავლესობამ ძალიან კარგად იცის, რომ ამახინჯებს ტექსტს... როგორც აღმოჩნდა, ტექსტის მთლიანად რიცხვულად დაფარული გზავნილია. ალექსანდრე ცაგარელის, კორნელი კეკელიძისა და პავლე ინგოროყვას შემდეგ მისი განმარტების ყველა ლექსიკური მცდელობა ახალს ვერაფერს მატებდა საქმეს. ამ დიდ მეცნიერებსაც კი ვერ წარმოედგინათ რა განძს ფარავდა ხელნაწერი. კორნელი კეკელიძის შეფასება იოანე-ზოსიმეზე – „ცუდად ხედავდა“, ან აკაკი ბაქრაძისეული – „ბუნდოვანება მისი წერის სტილია“ მხოლოდ ამ პატივსაცემი კომენტატორების ჭეშმარიტებიდან შორს ყოფნას ადასტურებდა და სხვას არაფერს. რიცხვული შიფრის დაცვის მცდელობა ზღუდავდა გამოსაყენებელი სიტყვების არეალს და ტექსტს იდუმალების საფა-

ჩემგან იოანე-ზოსიმეს ხელნაწერის „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“-ს გაშიფვრის შესახებ უკვე ბევრი ითქვა, გამოვიდა წიგნი „მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა“ (2010, 2013), იყო საჯარო ლექციებიც, მაგრამ არ წყდება დაინტერესებულ მკითხველთა შეკითხვები, მათ სურთ უფრო მეტი იცოდნენ იმაზე, რა შედეგებია; მართალია თუ არა, რომ ამით ამ ხელნაწერის გარშემო კვლევები დასრულდა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ გაშიფვრის შემდეგ იოანე-ზოსიმეს ხელნაწერის ღირებულება კიდევ უფრო გაიზარდა, მან საქართველოს ისტორია თავიდან გადაწერა, უფრო მეტიც, იგი ცვლის არა მხოლოდ საქართველოს, ან ქრისტიანობის, არამედ ცივილიზაციის პირველისტორიასაც. და ეს ცდება მათე საუკუნის არეალს. ამიტომაც სიამოვნებით მივიღე ჟურნალის რედაქციის წინადადება კიდევ ერთხელ დაგბრუნებულიყავი ამ თემასთან. ახლა უკვე ვეცდები შედარებით პოპულარულ ენაზე მოგიტყუროთ ამ საიდუმლოს ამოცნობის უმთავრეს მომენტებზე, ვფიქრობ, ეს უფრო საინტერესო უნდა

რველში ხვევდა. როცა რიცხვია მთავარი გრამატიკული სიმწყობრის დაცვა ყოველთვის ვერ ხერხდება, ეს იწვევდა სწორედ „ბუნდოვანებას“. ავტორი ამას არც ერიდებოდა, ალბათ თვლიდა, რომ ამ ბუნდოვანების მიზეზების ძიება გამშიფრავს შიფრის მიგნებამდე მიიყვანდა. განცალკევებით უნდა ითქვას ხელნაწერში არსებული ქვეამოცანების პავლე ინგოროყვასეულ ამოხსნაზე. თუმცა, ბ-ნმა პავლემ ქვეამოცანები სწორად ამოხსნა, ტექსტში ჩასწორება არ შეიძლებოდა. ვიმეორებ: ტექსტი მთლიანად რიცხვული გზავნილია და ამიტომაც მასზე ხელის ხლება არ შეიძლება. ქვეამოცანები იმიტომ არ დასმულა, რომ მისი ამოხსნით თავდაპირველი ტექსტი ჩაგვესწორებია. ავტორს არაფერი შეშლია, ხელნაწერებს არც ავტორის ცული მხედველობის ეტყობათ რაიმე. თუ ტექსტის ჩასწორება იყო საჭირო თავად იოანე-ზოსიმე გააკეთებდა ამას. ქვეამოცანები ამოხსნის გეზს იძლეოდა და დაფარვის პირველი შრე იყო. მისი ამოხსნით შუალედური შრიდან უშუალოდ გლობალურ ამოცანაზე გავდივართ.

რაც შეეხება, უახლესი პერიოდის ენათმეცნიერთა დამოკიდებულებას ხელნაწერისადმი, იგი მართლაც ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს. არგუმენტი, რომ ხელნაწერის დაშიფრის მეთოდი არ მიეკუთვნება ენათმეცნიერთა საკვლევ სფეროს, მხოლოდ თავისმართლებისთვის თუ გამოადგებათ ამ უკანასკნელთ; ის ხომ ძალიან კარგად უწყოდნენრომ ხელნაწერის უმთავრესი მომენტები შეცვალეს. ამაზე მიუთითა კიდევ ბ-ნმა თამაზ ჩხენკელმა, რომელიც ყველაზე ახლოს იყო ტექსტის გახსნასთან, მაგრამ ვინ უსმინა... ეს პროცესი დღემდე გრძელდება. უნებლიე გადაცდომად ჩავთვლიდით ამ ყველაფერს, რომ არა ერთი მნიშვნელოვანი მომენტი – ხელნაწერი მჭიდროდ უკავშირდება წინარექრისტიანული ხანის საქართველოს ისტორიას. ხომ საოცარია, სად მათე საუკუნის ხელნაწერი და სად წინარექრისტიანული პერიოდი? მაგრამ

ეს კავშირი არსებობს (ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ). თანაც წინარექრისტიანული საქართველოს ისტორიაც დაუნდობლადაა დამახინჯებული, ჭეშმარიტი ისტორია მოპარულია, ის რასაც გვთავაზობენ, სიმართლისგან ძალიან შორსაა... აქ უკვე ქართველი „ისტორიკოსები“ სცოდავენ.

სწორედ ამიტომ იყო უგულისყურო, დანაშაულებრივი დამოკიდებულება საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული არტეფაქტებისადმი. იოანე-ზოსიმეს ხელნაწერში ქართული „უფლის ენა“-დაა შერაცხული (ა.ცაგარელი, კ.კეკელიძე, პ.ინგოროყვა) და მისდამი ამგვარი დამოკიდებულებისთვის უკვე ეს იყო საკმარისი. რა თქმა უნდა, ხელნაწერში დაფარული რეალური ინფორმაცია არაკეთილმოსურნისთვის უცნობი იყო, თორემ ეჭვი გვაქვს ტექსტს ჩვენამდე საერთოდ მოეღწია (სწორედ ამიტომაც დაშიფრა ავტორმა იგი).

ხეპირი საუბარი რომ არ გამოგვივიდეს, მივყვით თანმიმდევრულად. პირველ რიგში იოანე-ზოსიმესეულ ტექსტზე შეგვჯერდეთ. იოანე-ზოსიმეს ტექსტის სულ ოთხი ხელნაწერია აღმოჩენილი, აქედან სამი ერთი და იგივე ხელითაა გადაწერილი, სწორედ ესენი უნდა იყოს იოანე-ზოსიმეს ხელნაწერები. ასე ვარაუდობდნენ მისი პირველი კომენტატორებიც და ამაზე სხვა აზრი არც არსებობს. ჩვენი კვლევის შედეგებიდან გამომჩნდა, რომ სამივეში ერთი და იგივე შიფრია გამოყენებული (ა.ცინცაძე, „მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა“, 2013). მეოთხე მხოლოდ რამდენადმე იმეორებს პირველი სამის ძირითად მომენტებს, მაგრამ დამახინჯებს მასაც და აქედან გამომდინარე – შიფრსაც (დღეს ამის მტკიცების უამრავი არგუმენტი). სრულიად ცხადია, მეოთხე ხელნაწერის გადამწერმა, ტექსტში დაფარული საიდუმლოს თაობაზე არაფერი უწყის. ამით კიდევ ართხელ დადასტურდა თავდაპირველი შეხედულება, რომ სწორედ ზემოხსენებული სამი ხელნაწერია იოანე-ზოსიმესეული და – განხილვის საგანიც. მოგვყავს სამივე მათგანი მხედრული

ტრანსკრიფციით (ლ.ხევსურიანი, ტ.ფუტ-
კარაძე, „ქებაი და დიდებაი“):

სინური №34 ხელნაწერი

ქებაი ქართულისა ენისაი
ლ'ცყო

დამარხულ არს ენაი ქართული (1)
 დღედმდე მეორედ მოსვლისა მისისა (2)
 საწამებელად რ'ა ყ'ლსა ენასა ღ'ნ (3)
 ამხილოს ამით ენითა და ესე ენაი მიი (4)
 ნარე არს დღესამომდე და სახარებასა (5)
 შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვან (6)
 და ახალმან ნინო მოაქცია და ჰე (7)
 ნე დედოფალმან ესე არიან ორნი დანი (8)
 ვ'ა მარიამ და მართაი (9)
 და მეგობრობაი ამისთვის თქ'ა ვ'დ (10)
 ყ'ლი საიდუმლოდ ამას ენასა შ'ა (11)
 დამარხულ არს: და ოთხისა დღისა (12)
 მკ'დარი ამისთვის თქ'ა დავით წ'ყელმან (13)
 რ' წელი ათასი ვ'ა ერთი დღე (14)
 და სახ'რებასა შინა ქართულსა (15)
 თავსა ხ' მათსსა წერილი ზის რ'ლ (16)
 ასოდ არს და იტყვს ყ'ლად (17)
 ოთხ ათასსა მარაგსა: და ესე არს (18)
 ოთხი დღე და ოთხისა დღისა მკუდარი (19)
 ამისთვის მის თანავე დაფლული (20)
 სიკ'დილითა ნათლისღებისა მისისაი (21)
 და ესე ენაი შემკული და კ'ხლი (22)
 სახელითა ო'ისი თა მდაბალი და (23)
 დაწუნებ'ლი მოელის დღესა მას (24)
 მეორედ მოსვლასა ო'ისასა და სასწა (25)
 ულად ესე აქუს ოთხმეოც და ათოთხ (26)
 მეტი წელი უმეტესს სხათა ენათა (27)
 ქ'ეს მოსლვითგ'ნ ვ'ე დღემდამდე და ესე (28)
 ყ'ლი რ'ლი წერილ არს მოწამედ წარმო (29)
 გითხარ ასი ესე წელი ანბანისაი (30)

ლ'ცყო ა'ნ

სინური №38 ხელნაწერი

სს'ლითა ღ'ითა

ქებ'დ და ღ'ბდ ქართულისა ენისაი
ლ'ცყო

დამარხულ არს ენაი ქართული (1)
 დღედმდე მეორედ მოსვლისა მისისა (2)
 საწამებელად რ'ა ყ'ლსა ენასა ღ'თმან (3)
 ამხილოს ამით ენითა და ესე ენაი (4)
 მძინარე არს დღესამომდე (5)

და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე (6)
 (ჰ)რქვან და ახალმან ნინო მოაქცია (7)
 (და) ჰეღენე დედოფალმან ესე არი (8)
 ან ორნი დანი ვ'ა მარიამ და მართაი (9)
 და მეგობრობაი ამისთვის თქ'ა ვ'დ (10)
 ყ'ლი საიდუმლოდ ამას ენასა შ'ა (11)
 დამარხუ არს: და ოთხისა დღისა მკუ (12)
 დარი ამისთვის თქ'ა დავით წ'ყელმან (13)
 რ' წელი ათასი ვ'ა ერთი დღე (14)
 და სახ'რებასა შინა ქართულსა თავსა (15)
 ხ' მათსსა წერილი ზის რ'ლ ასოდ არს (16)
 და იტყვს ყ'ლად ოთხ ათასსა მარაგსა: (17)
 და ესე არს ოთხი დღე და ოთხისა დღისა (18)
 მკუდარი ამისთვის მის თანავე დაფლ (19)
 ული სიკ'დილითა ნათლისღებისა მისისაი (20)
 და ესე ენაი შემკული და კ'ხელი სახელი (21)
 თა ო'ისითა მდაბალი და დაწუნე (22)
 ბული მოელის დღესა მას მეორედ მოს (23)
 ღვასა ო'ისასა და სასწაულად (24)
 ესე აქუს ოთხმეოც და ათოთხმეტი (25)
 წელი უმეტესს სხათა ენათა ქ'ეს (26)
 მოსლვითგან ვ'ე დღესამომდე (27)
 და ესე ყ'ლი რ'ლი წერილ არს მოწამედ წარ (28)
 მოგითხარ ასი ესე წელი ანბანისაი (29)

ლ'ცყო წ'ნო ღ'ისნო ლ'ცყო ა'ნ

სინური №32-57-33 ხელნაწერი

სს'ლითა ღ'ითა

ქებაი და ღ'ბდ ქართულისა ენისაი
ლ'ცყო

დამარხულ არს ენაი ქართული (1)
 დღედმდე მეორედ მოსვლისა მისისა (2)
 საწამებელად რ'ა ყ'ლსა ენასა ღ'თმან (3)
 ამხილოს ამით ენითა და ესე ენაი (4)
 მძინარე არს დღესამომდე და სახარე (5)
 ბასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვან (6)
 და ახალმან ნინო მოაქცია და ჰეღე (7)
 ნე დედოფალმან ესე არიან ორნი დანი (8)
 ვ'ა მარიამ და მართაი და მეგობრო (9)
 ბაი ამისთვის თქ'ა ვ'დ ყ'ლი საიდუმლო (10)
 ამას ენასა შინა დამარხულ არს: (11)
 და ოთხისა დღისა მკ'დარი ამისთვის (12)
 თქ'ა დავით წ'ყელმან რ' წელი ათასი (13)
 ვ'ა ერთი დღე და სახ'რებასა შინა ქარ (14)
 თულსა თავსა ხ' მათსსა წერილი ზის (15)

- რ'ლ ასოდ არს და იტყვს ყ'ლად ოთხ ათასსა (16)
- მარაგსა: და ესე არს ოთხი დღე და ოთ (17)
- ხისა დღისა მკ'დარი ამისთვის მის თანავე (18)
- დაფლული სიკ'დილითა ნათლისღებისა (19)
- მისისაითა (19)
- და ესე ენად შემკული და კურთხ'ლი (20)
- სახელითა ო'ისაითა მდაბალი და დაწუ (21)
- ნებული მოელის დღესა მას მეორედ მოს (22)
- ღვასა (22)
- ო'ისასა და სასწაულად ესე აქუს ოთხმეოც (23)
- და ათოთხმეტი წელი უმეტეს სხუათა ენა (24)
- თა ქ'ეს მოსღვითგან ვ'ე დღესამომდე (25)
- და ესე ყ'ლი რ'ლი წერილ არს მოწამედ წარ (26)
- მოგითხარ ასი ესე წელი ანბანისად (27)

ლ'ცყო წ'ნო ღ'თისნო ლ'ცყო: ქ'ე შ'ე მ'კლი ამისი ი'ნე ა'ნ

ხელნაწერები ერთმანეთისგან განსხვავდებიან, ეს განსხვავებები არაა უმნიშვნელო, მაგრამ ამ სხვაობის მიუხედავად რიცხვული არსი ყველა ხელნაწერში მუდმივი რჩება. რაც შიფრის არსებობის დადასტურებაა. ეტყობა შემოქმედებით პროცესში მეოფი ავტორი თვითონ ცვლიდა და აკორექტირებდა ტექსტს. ზოგჯერ ეჩვენებოდა, რომ შიფრი ძალიან მარტივია და ართულებდა, უფრო აზუსტებდა სათქმელს. უჭირდა ყველა რიცხობრივი მომენტის ერთდროულად შენარჩუნება, ხვეწდა ენობრივ მომენტებს და ა.შ.. ამ პროცესში იგი ცვლიდა გზავნილის თვალსაზრისით მეორეხარისხოვან ლექსიკას, ხოლო იმას რასაც უმთავრესი გზავნილი, სათქმელი მოაქვს ხელუხლებლად ტოვებდა. თუმცა აზრი არც იმ „ცვალებად“ ნაწილში შეუცვლია.

ამ ყველაფერს ჩვენ ქვემოთ დავამტკიცებთ.

რაც შეეხება ენობრივ უზუსტობას, გადახრებს („შეცდომებს“), მათი რაოდენობაც თვალშისაცემია. ხელნაწერის ადგილები, რომლებიც კითხვებს აჩენს მისი ხელნაწერიდან ხელნაწერში უცვლელად გადადის, ამავე დროს, არ კლებულობს ენობრივი „ლაფსუსები“. ხელნაწერებში ცვლილებებით კითხვების წარმომქმნელი

ადგილების განმარტება, უფრო ცხადად მოცემა ან ე.წ. „ბუნდოვანების“ გაფანტვა, არც უფიქრია ავტორს. პირიქით, ისინი ყველა ხელნაწერში თითქოსდა საუბრედაგულოდ, ყურადღებით გადააქვს. რაც მეტად მნიშვნელოვანი მომენტია. ეს გამიზნული სვლაა, უგულისყურობის თვისება სრულიად შეუთავსებელია კალენდართა მსწავლელთან (იოანე-ზოსიმე), რომლის საქმიანობა სიზუსტეს მოითხოვს.

დააკვირდით ხელნაწერის უმთავრეს მომენტებს:

„...და სასწაულად ესე აქუს ოთხმეოც და ათოთხმეტი წელი...“ (სინური №34, 24, 25; სინური №38 23, 24; სინური №32-57-33 23, 24);

„...მოწამედ წარმოგითხარ ასი ესე წელი...“ (სინური №34, 29, 30; სინური №38 28, 29; სინური №32-57-33 26, 27);

პირველი წერილის კულმინაციაა, მეორე დასკვნა. სამივე ხელნაწერში ეს ადგილები ერთი და იგივეა. სხვა აზრი აქ არ არსებობს(!).

დასკვნა პირველი: სამივე ხელნაწერის უმთავრესი მომენტები არ იცვლება.

არადა სწორედ მათ განიცადეს თანამედროვე ენათმეცნიერთა ყველაზე დიდი შეტევები, და არაერთხელ ჩაასწორეს. როგორც წესი, ასეთ ჩასწორებას „სერიოზულ“ სამეცნიერო კვლევას უძღვნიდნენ. ხომ წარმოგიდგენიათ, ავტორი სამივე ხელნაწერში ერთი და იგივე ტექსტს წერს და ჯიუტად სხვა ვერსიას განიხილავენ (ასეა ყველა გავრცელებულ ნაბეჭდ პროდუქციაში). ათეული წლებია ამგვარად ექცევა ხელნაწერს ქართული ენათმეცნიერება. წვრილფეხობაზე რაღა უნდა ვთქვათ, როცა ამ საქმეში თვით ბ-ნები რ. პატარიძე, ა.ბაქრაძე კი სცოდავდნენ. ზოგიერთებმა ეს ადგილები სულაც გაუგებრობად, „თავსატყუარად“ და ავტორის „ლაფსუსკალამად“ შეაფასეს. მოკლედ, ხელნაწერში: „...და სასწაულად ეს აქუს (ქართულს) ოთხმეოც და ათოთხმეტი წელი...“, ზოგმა 94 – ოთხმოცდათექვსმეტი, ზოგმა ასოთხით შეცვალა. როგორც ბ-ნმა

თ. ჩხენკელმა აღნიშნა: ასეთი ჩასწორებები სრულიად გაუგებარია იმ ფონზე, როცა ავტორის ყველა ხელნაწერში 94 ცხადად წერია. იგივე მოხდა მეორე ფრაზასთან მიმართებაშიც, სადაც ავტორს იმის მოწმედ, რაზეც ხელნაწერში მოგვითხრო (რომ ქართული უფლის ენაა – ა. ცაგარელი, კ. კეკელიძე, პ. ინგოროყვა) ამბობს: „მოწამედ წარმოგითხარ: ასი ესე წელი...“, ეს ფრაზა ბ-ნმა რ. პატარიძემ „ასოი ესე წილით“ (?) ჩაასწორა, არც დანარჩენებს დაუკლიათ ხელი, მათსავით შემცდარ ხელნაწერის გადამწერს ყვრდნობიან – „ესე წელი“-ს ან „ესე წილი“-ს იმეორებენ, არადა აქაც იგივე შემთხვევაა, ავტორის ყველა ხელნაწერში „ასი ესე წელი“ ცხადად წერია. საქმე იმაშია, რომ სწორედ ამ ფრაზებშია დაფარული ინფორმაციის ყველაზე დიდი ნაწილი, ამდენად ენათმეცნიერთა უმეტესობის გადაცდომა შიფრის არცოდნამ გამოიწვია. ეს ადგილები შიფრის გახსნის გარეშე გაუგებარი იყო და „მეცნიერული“ ფანტაზიისთვის დიდ გასაქანსაც იძლეოდა.

როგორც ნახავთ, შიფრით მხოლოდ ავტორისეული:

„და სასწაულად ესე აქუს ოთხმოც და ათოთხმეტი წელი...“ (სინური №34, 24, 25; სინური №38 23, 24; სინური №32-57-33 23, 24),

„...მოწამედ წარმოგითხარ ასი ესე წელი...“ (სინური №34, 29, 30; სინური №38 28, 29; სინური №32-57-33 26, 27),

ტექსტი იხსნება.

მიუხედავად გადაცდომებისა იოანე-ზოსიმეს ხელნაწერის გაშიფვრაში დიდია, როგორც მისი პირველი კომენტატორების: ა. ცაგარელი, კ. კეკელიძე, პ. ინგოროყვა, ისე ბ-ნ რ. პატარიძისა და განსაკუთრებით ბ-ნი თ. ჩხენკელის წვლილი. მადლობა ეკუთვნის ყველა ჭეშმარიტ მკვლევარს, რომლებმაც ცდა არ დააკლეს ხელნაწერში დაფარული საიდუმლოს ამოცნობას. მათ უდიდესი მოსამზადებელი სამუშაო შეასრულეს.

მოსაზრება, რომ ხელნაწერი დაშიფრულია თავიდანვე გაჩნდა, ამისკენ მკვლე-

ვარებს ხელნაწერის იდუმალება და „ბუნდოვანება“ უბიძგებდა. და ბოლოს პირდაპირი მითითება დაშიფრულ სიტყვაზე, ავტორისგან ნახსენები სიტყვა: „მარაგი“. „მარაგს“ სულხან-საბა ასე განმარტავს (თ. ჩხენკელი): „მარაგით-ზრახვა – არს სიტყვა ესრე გვარად სთქვა, ადვილ საცნაურ არ იყოს, არამედ ვითარცა ღრუბელი რამ(ე) ემოსოს, ანუ ორ-სამ რიგად გაისინჯოს“; „მარაგება – წინასწარ ცნობა, რჩევა“; „მემარაგე – მესტროლაბე, წინასწარ მცნობელი.“ (ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი“, 2008). ე.ი. იოანე-ზოსიმე თვითონაც არ მაღავეს, რომ მისი წერილი (სიტყვა) დაფარულ ინფორმაციას მოიცავს, იგი რამდენიმეგზის გასინჯვა-ამოკითხვას მოითხოვს და „წინასწარმცნობელია“.

კომენტატორთა ეს დასკვნა ხელნაწერის გაშიფვრის შემდეგ უფრო თვალსაჩინო გახდა. ახლა უკვე ცხადია, თუ რამ გამოიწვია ხელნაწერში ერთიდაიგივე სიტყვის სხვადასხვაგვარი ქარაგმით ჩაწერა (მაგ. „ღ’მნ“, „ღ’თმან“, „ღ’მან“ – ღმერთმან; წწ’ყლმ, წწ’ყელმან – წინასწარმეტყველმან), არასწორად ჩაწერილი სიტყვები (მაგ. „ღამარხუ(ლ), ღღემმდე), არასწორი გრამატიკული ფორმები, მართლმადიდებლური დოგმატიდან გადახვევა („ამისთვის თქვა დავით წინასწარმეტყველმან რამეთუ წელი ათასი, ვითარცა ერთი ღღწ“). „შეცდომებს“ იოანე-ზოსიმეს არა მხოლოდ შიფრის დაცვისთვის „უშვებდა“, როგორც უკვე ითქვა კიდევ, მკითხველისთვის თვალშისაცემსა და შესამჩნევს ხდიდა გამოყენებულ შიფრს. წერილი რომ დაშიფრულია ეს საკამათო არ გამხდარა, თუმცა რა შიფრთან გვქონდა საქმე ვერ გაირკვა.

მეორე დასკვნა: წერილი დაშიფრულია.

ამ დროს ენათმეცნიერებისთვის ასეთი ხელნაწერების შიფრის ძიების გზა ცნობილია: „კოდის გაშიფვრის გასაღები თვითონ მასშივეა დამარხული.“ (თ. ჩხენკელი, შნეიდერი: „მროველის ცნობა და თვლის შვიდობითი სისტემა“, გვ. 346). კოდისწყარო (შიფრის გასაღები –

ტერმინი ავტორისეულია) წერილშივე უნდა იყოს. სავარაუდოდ, ამ დასკვნაზე დაყრდნობით ბ-ნმა თ.ჩხენკელმა იპოვა კიდევ ხელნაწერის კოდი, მაგრამ ვერ დაანამდვილა დასკვნის სისწორე და მნიშვნელობა, ამის იქეთ იგი აღარ წასულა. თანაც არც ამ მიზეზების ახსნა მოუცია, მისმა საინტერესო კვლევებმა გემატრიაში იმ დროს სპონტანური ძიების შთაბეჭდილება შექმნა, როგორც ჩანს, ასე არ იყო.

(მაშინ სწორ გზაზე მდგარი კვლევები საქმეში ჩაუხედავ „ენათმეცნიერთა“ გაგლენით შეწყდა, დღეს იგივე ხალხი ცდილობს არ შეამჩნიოს, რომ ამოცანა ამოიხსნა. სწორედ ეს გვაფიქრებინებს, რომ გამიზნულ პროცესთან გვაქვს საქმე.)

ახლა ის ვნახოთ სად დევს ხელნაწერის შიფრი.

დააკვირდით ხელნაწერების: სინ. 34 (5,6, 12 – 19); სინ. 38 (6,7, 12 – 19); სინ. 32-57-33 (5,6, 12 – 18) სტრიქონებს. ყველა მათგანში ერთი და იგივე ამბავია მოთხრობილი: „სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვან...“ „და ოთხისა დღისა მკვდარი ამისთვის თქვა დავით წინასწარმეტყველმან რამეთუ წელი ათასი ვითარცა ერთი დღე და სახარებასა შინა ქართულსა თავსა ხოლო მათქსნა წერილი ზის რომელი ასოჲ არს და იტყვს ყოვლად ოთხ ათასსა მარაგსა: და ესე არს ოთხი დღე და ოთხისა დღისა მკუდარი...“

ე.ი. სახარებაში ქართულს ლაზარე ქვია, იგი ლაზარესავით მკვდარია, ხოლო მისი სიკვდილის ერთი დღე ისე უნდა ვიანგარიშოთ, როგორც ათასი წელი. ქართულ მათეს სახარებაში წერილია, იგი თან ასოა და 4000-ს ამბობს.

მიყვეთ ანალიზს დეტალურად: პირველი ეპიზოდი: ლაზარე ოთხი დღის შემდეგ აღდგა, ქართული ენა – 4 X 1000 = 4000 წლის შემდეგ უნდა აღდგეს (დამარხვიდან). მეორე ეპიზოდი, უფრო რთულად, მაგრამ იგივეს გვეუბნება: მათეს სახარებაში „წერილი ზის“, რომელიც ასოა, და ოთხი ათას ნიშნავს (იტყვის),

„წერილი“ არაა „ასო“ და არც 4000-ს „იტყვის“, ეს ქართული ანბანური ასო-ნიშანი „წ“(წილი)-ა (პინგოროყვა). იგი თან „ასოი არს“, თან რიცხვ-მნიშვნელობით 4000-ს ნიშნავს; მაგრამ ავტორი მას რატომღა უკავშირებს მათეს სახარებას? იმიტომ რომ, მათეს სახარება ასო-ნიშან „წ“(წილი)-თ იწყება (ა.ბაქრაძე): „წ-იგნი შობისა იესო ქრისტესი...“

ყველა პირობა შესრულდა, ქვეამოცანები სწორადაა ამოხსნილი და მივიღეთ ტოლობა: 4000 = 4000, ორივე ეპიზოდმა ერთი და იგივე შედეგი მოგვცა, მაგრამ...

ასეთი რა განსაკუთრებული ღირებულებაა აქვს მოცემულ ეპიზოდს, რომ ავტორი 30 სტრიქონიანი ლექსის 9 სტრიქონში ერთი და იგივე ინფორმაციას ორჯერ იმეორებს? (ამას ხელნაწერის, დაახლოებით, 30% ეთმობა). ვთქვათ, მეორე ეპიზოდი საჭირო სულაც არაა, თუ იქამდე ქართული ენა სახარებისეულ ლაზარედ მივიჩნიეთ და მის აღდგენამდე დღეების რაოდენობა თითო ათასწლიანად ჩავთვალოთ, უკვე ის 4000-ია. აღვიღად ჩანს, რომ ზემოხსენებული ეპიზოდები ერთმანეთს გამორიცხავენ. ეს იოანე-ზოსიმეს გამიზნული სვლაა, შიფრის გასაღების ხაზგასასმელად და შესანიღბავად; თან აქვეა კიდევ ერთი და საკრალური სიტყვა – „მარაგი“ (დაშიფრული სიტყვის მნიშვნელობით). ანუ მოხერხებული ბერი ტექსტში ერთი და იმავეს ორჯერ, თუმცა სხვადასხვა გზით იმეორებს და ამით ირიბად გვაწვდის, წარმოაჩენს შიფრის გასაღებს. მისთვის ეს მნიშვნელოვანია და ამისთვის ხელნაწერის მხატვრული მხარის დაზარალება არ ენანება; ამ მომენტს შესანიშნავად ნიღბავს. თუ პირველი 4000-ის მიღებას დიდი ძალისხმევა არ ჭირდება, მეორეს არც ისე მარტივ ქვეამოცანაზე გავყავართ, და მხოლოდ მისი ამოხსნის შემდეგ მიშვლდება დაფარული მექანიზმი, მრავალშრიანი დაშიფრის მიზანი: ასო-ნიშანი გადადის რიცხვ-ნიშნად („წ“(წილი) – 4000-ად). ეს კი ბიბლიის მკვლევართათვის ცნობილი მეთოდია

– გემატრია (ჰემატრია). ასე ფარულად მოიცემა ხელნაწერში ჰემატრია და იგი ტექსტის კოდის გასაღებია.

შევაჯამოთ ანალიზის შედეგები.

დაშიფრული ხელნაწერის გაგზავნისას, როგორც წესი, გამგზავნიცა და ადრესატიც გამოყენებულ მეთოდზე, კოდის გასაღებზე, წინასწარ არიან შეთანხმებულნი. აქედან გამომდინარე ერთმა იცის, როგორ დაფაროს სათქმელი, ხოლო მეორემ, როგორ გაშიფროს მიღებული გზავნილი. ამ შემთხვევაში წერილის ავტორი, ამავე წერილის ადრესატს, ათასწლეულებს იქით მოსულ მომავალ თაობას, შიფრის გასაღებზე ვერ შეუთანხმდებოდა. ამიტომაც იგი თითქმის ცხადი სახით წერილშივე უნდა ჩაედო, იოანე-ზოსიმე ასეც მოიქცა. ჰემატრია ხელნაწერში დიდოსტატურად შენიღბა და ეპიზოდის გამეორებით მასზე აქცენტირება მოახდინა. ეს ერთადერთი, ლოგიკურად სრულიად მოსალოდნელი და გამართლებული სვლა იყო. მის მიგნებას ისიც ამარტივებდა, რომ იგი ბიბლიის გაშიფრის ერთ-ერთ მეთოდი; ბუნებრივია, ავტორი ვარაუდობდა, რომ ბიბლიასთან დაკავშირებული ეს მეთოდი დროს გაუძლებდა და მომავალი თაობისთვის ჰემატრია ცნობილი იქნებოდა. შიფრის გასაღების მოცემის ფორმა კიდევ ერთხელ გვარწმუნებს მიგნების ჭეშმარიტებაში. თქმა არ უნდა, იოანე-ზოსიმე შიფრის გასაღებს ცხადი სახით არ გამოამხეურებდა. არც მეტად დაფარვა ივარგებდა. განვლილმა 130 წელმა გამოაჩინა, რომ იგი, ასეთი სახითაც კი, არც ისე მარტივი მისაგნები აღმოჩნდა.

უკვე შიფრის მოცემის ფორმის შერჩევისას ივარძნობა დაშიფრავის დიდოსტატობა.

უკვე ის, რომ ასო გადადის რიცხვში განსაზღვრავს თავდაპირველი ტექსტის თითოეული ასო-ნიშნის მნიშვნელობას, და გამოყენებული დაშიფრის მეთოდის ერთმნიშვნელოვან ხასიათს; და იმასაც, რომ მასში ჩასწორება დაუშვებელია,

დაუშვებელია ქარაგმების გახსნაც კი (თუ ტექსტი ხმამაღლა (ვთქვათ, ეკლესიაში) წასაკითხად არაა გამიზნული), ამაში ამონახსნის შემოწმებისას კიდევ უფრო დავრწმუნდებით..

მესამე წინასწარი დასკვნა: დაშიფრის მეთოდი ჰემატრია (გემატრია) უნდა იყოს.

(იმდენად მნიშვნელოვანია ეს დასკვნა, რომ მას მხოლოდ იოანე-ზოსიმეს წერილით ნუ მივიღებთ ჭეშმარიტებად და დამატებითი არგუმენტები ვეძიოთ.)

ორიოდე სიტყვა ჰემატრიაზე, ეს დაშიფრის ძველთაძველი მეთოდი. მისი არსებობის თაობაზე უძველესი შუმერული თიხის ფირფიტები მოგვითხრობენ; მოგვითხრობენ, როგორც რაღაც ზღაპრულ, არნახულ იდუმალების სათავეზე (ასეც არის!); ითვლებოდა, რომ იგი ღმერთების სახელებთან მიმართებაში გამოიყენებოდა. შემდეგ მისი დაყრდნობით შეიქმნა ძველი ივრითი (კაბალისტების ენა). იგი გამოიყენეს ბიბლიის შემქმნელმა ხალხებმაც. ებრაელები მას მხოლოდ ებრაულ მეთოდად თვლიან, იგი აქვთ ბერძნებსაც, და მცირე დოზით ლათინებს. ბიბლიის მთარგმნელ ხალხებს იგი არ უნდა ჰქონოდათ, და უცბად... იოანე-ზოსიმე თავის წერილში ქართულ ჰემატრიაზე აკეთებს მინიშნებას და ქართულს უფლის ენად მიიჩნევს, რას უნდა ნიშნავდეს ეს?

აქვე ორიოდე სიტყვით ისიც ვთქვათ, რა არის ჰემატრია. ჰემატრიის საფუძველი ალგორითმია, რომლითაც ასო, სიტყვა ან ფრაზა რიცხვად გადადის და ამ რიცხვთა ურთიერთმიმართებით დგინდება ამ სიტყვებსა და ფრაზებს შორის კავშირები (ებრაულ ჰემატრიაში 75 ასეთი ალგორითმი არსებობს, ჩვენ უმარტივეს ალგორითმზე შევამოწმებთ ქართულში მის არსებობას).

განა ძველი ქართულის შექმნისას ჰემატრია გამოიყენებოდა?

არსებობს თუ არა ქართული ჰემატრია? ნუთუ ძველ ქართულს ბიბლიის შემქმნელი ხალხის ნიშანი აქვს?!

დროებით მოვწყდეთ იოანე-ზოსიმეს ხელნაწერს და ეს მართლაც უმნიშვნე-

ლოვანესი საკითხი გავარკვიოთ.

მტკიცება პირველი: ებრაულსა და ბერძნულში მზე რვათვალად ითვლება, აქედან გამომდინარე უმაღლესი შემოქმედის – მზე ღმერთის ჰემატრია ორი ან სამი რვიანით იწერება, 88 ან 888-ა. „888 ბერძნულად დაწერილი „იესოვს“ სახელის იზოფსეფიას წარმოადგენს“ (თ.ჩხენკელი, მროველის ცნობა და თვლის შვიდობითი სისტემა“, გვ. 342, 1989), „888. . ступень развития 8. По греческому исчислению это IHNSOUS, Спаситель, —налицо параллель между греческой и еврейской символикой.“ (ა.კროული, „გემატრია, 1912, გვ. 47; , <http://oto.ru/>).

ქართულ ცნობიერებაში მზე ცხრათვალაა (ა.ცინცაძე, „მოელის დღესა მას...“, 2013), თუ ქართულ ენაში იგივე წესი მოქმედებს უმაღლესი ღმერთის ჰემატრია 99 ან 999 უნდა იყოს. ქართველურ ენაში არის სიტყვა, რომელიც თან ღმერთს აღნიშნავს და თანაც ამ ორ რიცხვს ჰემატრიულად სინთეზში იძლევა (!):

ლორონთი – ღმერთი (მეგრ.);
დ(25,700) ო(16,70) რ(19,100) ო(16,70)
ნ(14,50) თ(9,9) -ი;

ფრჩხილში პირველი რიცხვი – ანბანში ასოს რიგითი სათვალავია, მეორე – მისი რიცხვ-ნიშანი.

გამოვთვალეთ ამ სიტყვის რიგითი სათვალავის ჯამი (მცირე ჰემატრიის წესი): $25 + 16 + 19 + 16 + 14 + 9 = 99$ (!);

გამოვთვალეთ რიცხვ-ნიშანთა ჯამი (ჰემატრიის უმარტივესი წესი):

$700 + 70 + 100 + 70 + 50 + 9 = 999$ (!).
99 – ლორონთ – ი – 999.

შედეგი ფანტასტიკის სფეროდანაა, ამის წარმოდგენა შეუძლებელი იყო. ამიტომაც ვერ მიაგნეს მას. ჩემს მიერ მიგნებულია ქართული ჰემატრიის არსებობის უტყუარი არგუმენტი. ამ ფაქტის შემხთვევითობის ალბათობა თითქმის უსასრულოდ მცირეა. სავარაუდოდ, ასეთი რამ შემთხვევითად, სულ ცოტა 100 000 000 000-ში ერთხელ შეიძლება მოხდეს, ანუ, თუ სიტყვა „ლორონთი“ ყოველგვარი გათვლების გარეშეა შექმნილი 100 მილიარდჯერ რომ

შეექმნათ ანბანი, მხოლოდ ერთი მათგანი მივიღებთ ასეთ საოცარ შედეგს. ან პირიქით, არსებული ანბანის პირობებში გათვლების გარეშე 100 მილიარდი სიტყვა რომ შეექმნათ, შემთხვევითად მხოლოდ ერთ მათგანში უნდა მივიღოთ ასეთი შედეგი; ანუ პრაქტიკულად გამორიცხულია.

მტკიცება მეორე: შევეცადოთ მხოლოდ ქართულ ღმერთთა პანთეონზე დაყრდნობით დავამტკიცოთ იგივე. თუ ღმერთის რიცხვი ქართულში 99-ია, იგივე რიცხვი უნდა იყოს „მამა ღმერთი“-ს, „ქრისტე“-ს, „დღესინდელი“-ს (წინარექრისტიანული უმაღლესი მზე-ქალ ღვთაება) ჰემატრიები. მიყვეთ მიმდევრობით:

მ(13) ა(1) მ(13) ა(1) დ(25) მ(13) ე(5) რ(19) თ(9) –ი,
 $13 + 1 + 13 + 1 + 25 + 13 + 5 + 19 + 9 = 99$ (!).
ქ(24) რ(19) ი(10) ს(20) ტ(21) ე(5);
 $24 + 19 + 10 + 20 + 21 + 5 = 99$;
დ(4) ღ(25) ე(5) ს(20) ი(10) ნ(14) დ(4) ე(5) ლ(12) –ი,
 $4 + 25 + 5 + 20 + 10 + 14 + 4 + 5 + 12 = 99$.

(ბიბლიის ქართულ თარგმანებში ღმერთის სახელი – „ელიოხიმ“ ჰემატრიით – 99-ია:

ე(5) ლ(12) ი(10) ო(16) ს(33) ი(10) მ(13);
 $5 + 12 + 10 + 16 + 33 + 10 + 13 = 99$ (!).

დაუმატეთ ამას 99 – ლორონთ-ი – 999 მიღებული შედეგი და იგივე საიმედოობის მქონე შედეგს მივიღებთ. 100 მილიარდიდან ერთია შანსი, რომ ეს შემთხვევითადაა მიღებული.

ორივე მტკიცების ერთი და იგივე შედეგის გათვალისწინებით შემთხვევითობა საერთოდ 10^{-20} ხარისხის სდება, ანუ თეორიულადაც კი იგი გამოირიცხა. ზემოგანხილული სიტყვები სწავლულთა მიერ ჰემატრიის წესების დაცვით შექმნილი სიტყვებია. (აქ კიდევ არაერთი საგულისხმო მომენტი, რომლებიც ამყარებენ მიღებულ დასკვნას. ისინი განხილულია ავტორის წიგნში: „მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა, 2013).

მესამე დასკვნა (დაზუსტება): იოანე-ზოსიმეს ხელნაწერი ჰემატრიითაა და-შიფრული.

მეოთხე დასკვნა: ქართული ჰემატრია არსებობს.

მიუხედავად იოანე-ზოსიმეს ხელნაწერს. მისი შიფრი სწორადაა ამოცნობილი. ისიც გასათვალისწინებელია, რომ როცა იოანე-ზოსიმე სიტყვა „მარაგს“ (დაფარული სიტყვა) ახსენებს, მას მხოლოდ რიცხვში სვამს. ანუ საძებნია ხელნაწერის კულმინაციური, კონკრეტული ადგილი (სიტყვა), რომელშიც რაღაც დაფარული და მნიშვნელოვანი ინფორმაცია უნდა გვქონდეს. ასეთი მოცულობის ტექსტის ყველა სიტყვაში საკრალურ ინფორმაციას არც უნდა ველოდოთ. დაშიფვრის ამგვარი სირთულის ამოცანა თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების შესაძლებლობებსაც კი ცდება. „უძველეს ტექსტებში ცოდნის საყრდენი ასტრონომია კალენდარი და მათემატიკაა (რიცხვთა იდუმალება)“-წერს ზაქარია სიტჩინი, („კოსმიური კოდი“, 2006). უძველესი ხელნაწერების გაშიფვრათა განზოგადებით მიღებული ეს მნიშვნელოვანი დასკვნა, როგორც „რეცეპტი“, „სქემა“, ხდება კიდევ იოანე-ზოსიმეს ხელნაწერის გაშიფვრის გზამკვლევი. (ეს საყოველთაოდ კარგად ცნობილი კანონზომიერება დღემდე რჩება ქართველ ენათმეცნიერთა ყურადღების მიღმა.) ამ დროს, იოანე-ზოსიმეს ხელნაწერის კულმინაციაში (ყველა ვერსიაში) თავმოყრილია მათემატიკურ, კალენდარულ, ასტრონომიული სინთეზური „გაუგებრობა“ და წერია: „და სასწაულად ესე აქუს (ქართულს) ოთხმეოც და ათ თოთხმეტი წელი უმეტეის სხვათა ენათა...“ (ქართული ენის სასწაულის ნიშანი 94 წელია სხვათა ენებზე უმეტესი...)

„ოთხმეოც და ათ თოთხმეტი წელ“-ში იმდროინდელი მათემატიკის, ასტრონომიისა და კალენდრის საწყისები მეტნაკლებად სახეზეა: 94 – ჰემატრიული რიცხვია, რაც იმდროინდელი მათემატიკაა, იგი დედამიწაზე მზის ამოსვლის წლიური გადახრის კუთხეა, ე.ი. ასტრონომიული

გაზომვის შედეგია. „წელი“ კალენდარული ერთეულია და დედამიწის მზის გარშემო შემოვლის დროა. ყველა ის კომპონენტი სახეზეა, რომელიც გვაჩვენებს, რომ სავარაუდოდ, ამ ადგილზე უნდა იყოს ჰემატრიულად დაფარული, საკრალური ინფორმაცია. და რადგან ისინი კალენდარს უკავშირდებიან, ამდენადც მცირე ექსკურსი კალენდრის ისტორიაში მოგვიწევს.

სულ ცოტა, ძველი წელთაღრიცხვის მეოთხე ათასწლეულის დასასრულს ქურუმთა კასტამ დააზუსტა წელიწადის ხანგრძლივობა და 365-დღიანი მზის კალენდარული სისტემა შემოიღო. (ეს მზის კალენდარი ეგვიპტურ ცოდნად ითვლებოდა, მაგრამ როგორც უახლესი გამოკვლევებით დამტკიცდა, ასე არ იყო.)

ტროპიკული წლის ხანგრძლივობა, მზის გარშემო დედამიწის რეალური გარშემოვლის დრო, 365 დღესა და კიდევ, თითქმის 6 საათს შეადგენს. ამ მიზეზით, ყოველწლიურად 365-დღიანი კალენდარი ოთხ წელიწადში ერთ დღეს სხვაობას იძლეოდა. ამიტომაც მას მზის მოძრაობის კალენდარი ეწოდა. ქურუმებმა თავიდანვე იცოდნენ ამის თაობაზე, მაგრამ მზის კულტზე ორიენტირებული რელიგია კრძალავდა შესწორებას.

მზის მოძრაობის კალენდარში გვქონდა თანაბრად 30-დღიანი 12 თვე, და ეს გვაძლევდა:

$$12 \times 30 = 360 \text{ დღეს.}$$

წლის ბოლოს 360-ს ემატებოდა 5 რელიგიური სადღესასწაულო დღე (ეგვიპტე მას ეპაგომენს ეძახდა), რაც ჯამში იძლეოდა, 365-ს:

$$5 + 360 = 365.$$

იგივე ცოდნის კვალი ჩანს ქართულ ლექსიკაში. სიტყვა – „ნაკი“, და მისი სემანტიკური მნიშვნელობა დიალექტებში ამის დადასტურებაა. იგი ნაკლია (გურ.); პატარა (ნაკლები) ტანის საქონელია (გუდამაყ. მთ. მოხ.); მოუსავლიანი (ნაკლებ მოსავლიანი) წელიწადია (მთიულ.); ნაკი ბატკანი – დღენაკლები ბატკანია (მთ.); აქედან გამომდინარე, ნაკიანი წელიწადი

– ნაკლული, დღენაკლული წელიწადი უნდა ყოფილიყო, მაგრამ საპირისპიროდ, ის დღე (ერთი დღე) ნამატი წელია. ე.ი. დღის დამატება ითვლება სწორედ „ნაკის“, ნაკლულობის ნიშნად. თუ $365 + 1 = 366$ -დღიანი წელი ნაკიანია, გამოდის, რომ 365-დღიანი წელი ითვლებოდა მართებულად. ეს კი მზის მოძრავი კალენდარია. ე.ი. ქართული სიტყვა „ნაკი“ და ნაკიანთან შექმნილი ერთი შეხედვით „გაუგებრობა“, მნიშვნელოვანი ინფორმაციის მომცემია: ქართული სწორად მიიჩნევა 365-დღიან, ანუ მზის მოძრავე კალენდარს. ეს იგივე პროცესია, რასაც ვხედავთ ქურუმებთან.

ახლა იოანე-ზოსიმეს ხელნაწერის კულმინაციურ სიტყვას – „წელი“ (ფრაზიდან: „...და სასწაულად ესე აქუს (ქართულს) ოთხმეოც და ათ თოთხმეტი წელი...“) მივუბრუნდეთ და იგი ჰემატრიულ ჭრილში განვიხილოთ. „წელი“ ჩვეულებრივი, რიგითი სიტყვა კი არ გახლავთ, არამედ კალენდრის ერთეულია:

$$\text{წ ე(5) ლ(12,30) – ი,}$$

(ფრჩხილში ასო-ნიშნის რიგითი სათვალავი, ან მასთან ერთად რიცხვ-მნიშვნელობაა.) ქართული ანბანის პირველი თორმეტი ასო-ნიშანი ცის თაღზე 12 ზოდიაქოს აღმნიშვნელია. სიტყვაში „წელი“, „ლ“ რიგითი სათვალავით ანბანის 12-ე ასო-ნიშანი ანბანურ ცის თაღზე 12 ზოდიაქოს ბოლო წევრია, ანუ ანბანურ ცარგვალზე მზის წლიური მოძრაობის ბოლო თანავარსკვლავედი, მასში მზე წლიურ გზას ასრულებს და სრულ წრეს კრავს. იმ დროს, როცა ქართულ ანბანში მზის კალენდარული სისტემა ჩაიდო, მზე თავის ყოველწლიურ მოქცევას ვერძის ზოდიაქოში იწყებდა და უკვე წლის ბოლოს, თევზის ზოდიაქოში ასრულებდა: „თუ ქართულ ანბანში განხორციელებულია მზის კალენდარული იდეა, უნდა ვიფიქროთ, რომ ქართული ანბანის 12-ე, „ლას“, ასო-ნიშანში მზე თავის წლიურ მოქცევას ამთავრებს“, – წერს ბ-ნი რამაზ პატარიძე („ქართული ასომთავრული“, 1980). ეს ასეცაა, რადგან ანბანური ასო – „ლას“

თევზის ღვთაების სახელია (გ. ჩიტაია), ე.ი. ანბანის მე-12 ასო-ნიშანი – თევზის ზოდიაქოს აღმნიშვნელიცაა. ამგვარად, ასო „ლას“-ი ანბანურ რიგში ზოდიაქოს 12 ნიშანს და წელს ამთავრებს; როგორც იტყვიან: „ბედისწერას ცაზე თორმეტი გაჩერება აქვს და ბოლო გაჩერებით წრე იკვანძება“. ამიტომაც, მეთორმეტე ზოდიაქოს მახასიათებელი რიცხვები ერთ სრულ წრეს, 360-ს (წრის ნაწილს, გრადუსს, დღეს) უნდა იძლეოდეს.

მართლაც, „ლას“-ი რიგითი სათვალავით 12, ხოლო რიცხვ-მნიშვნელობით 30-ია. ამ ორი რიცხვის ერთ ასო-ნიშანში თავმოყრა, ერთიანობა, ჰემატრიის წესით მათი გამრავლების შესაძლებლობას გვაძლევს. ნამრავლი თავის მხრივ, იმ შედეგს იძლევა, რაც უკვე მოსალოდნელი და ასტრონომიულად გამართლებულიც იყო: ერთ სრულ წრეს, 360⁰-ს, ანუ წლის 360 დღეს:

$$12 \times 30 = 360.$$

დააკვირდით ქურუმთა შექმნილ მზის მოძრავი კალენდრის პირველ სტრიქონს, ასო – „ლ“, „ლას“-ის ჰემატრია ზუსტად იმეორებს მას.

მოძრავი მზის კალენდარის სრულყოფისთვის აუცილებელ, ზემოთაღწერილ დამატებით 5 დღეს „წელი“-დან ასო „ე“(5) გვაძლევს, ასეთივე რიგითი სათვალავით:

$$5 + 360 = 365.$$

ამდენად, „ელ“-ი სრულად იმეორებს მზის მოძრავი კალენდრის რიცხვებს და ჰემატრიის წესების დაცვით მათზე მოქმედებებსაც, კალენდარს ($12 \times 30 = 360$; $360 + 5 = 365$). მის შინაგან, უმარტივეს ვარიანტს სიტყვა – „ელ“-ი (365) (იგივე, ლოდინი, „მოცდა, არსებობა იმ იმედით, რომ ვინმე ან რამე მოვა“ (განმარტებითი ლექსიკონი)) იძლევა, იგი პირველადი კვალია, მაგრამ მისი სრულყოფილი სახე, რა თქმა უნდა, „წელი“-ა. პირველი ასო-ნიშანი „წ“ (წილი) წრის რიცხვია. (ა. ცინცაძე)

„სიტყვა „ელი“ – კოლხ-ლაზურად ნიშნავს მზეს (!), ნათელს, სინათლეს; „ელი“-ს ასევე ჰქონდა უზენაესი ღმერთის

სახელწოდების მნიშვნელობა.

ელი-სთან ერთად ეს მნიშვნელობა აქვს მის სინონიმ-სიტყვებს: ელ, ელა, ელას, ელუ...

სიტყვა ელ და ელი ძველ კოლხეთში აღნიშნავდა პირველყოფილ (უზენაეს) შემოქმედს ყოვლისა, ცხოვრების დაბუდრებისა, დავანებისა... სიტყვა ელ და ელი არის ფუძემდებლური სიტყვა... (ვლ.ვახანია, „ქრისტეს ბოლო სიტყვები“, 2011, გვ. 264.) ყველა ეს სიტყვა „ელ“ ფუძიდან და შემდეგ ზოგადქართველური კალენდარული სიტყვიდან „წ-ელი“ გამოდის. „ელ“ წარმომავლობის მაწარმოებელი სუფიქსია ქართულში.

როგორც ზემოთ ითქვა, „ელი“-თ მოტანილ 360 კალენდარულ დღეს, ეგვიპტეში ბოლოს, 5 დამატებითი დღე, ე.წ. ეპაგომენი ემატებოდა. ბ-ნმა რამაზ პატარიძემ დაამტკიცა, რომ ამ დღეების დამატება ასტრონომიულად ყველაზე გამართლებულია შემოდგომის ბუნიობის წინ, რადგან „კალენდარულ წელიწადს ქართული ასომთავრული ანბანი გაზაფხულის ბუნიობით იწყებს, როცა მზე ვერძის ზოდიაქოში შედის.“ „წლის დაწყება გაზაფხულის ბუნიობის დროით მეტად გონივრული და ასტრონომიულად გამართლებულია“, მაგრამ სწორედ ამის გამო „ხუთდღიანი განსხვავება გროვდება გაზაფხულიდან ზაფხულის ბოლომდე.“ (რ.პატარიძე, „ქართული ასომთავრული“, გვ. 429-31) „ვერძის ეპოქაში (დაახ. ძვ.წ.ად. 2200 – 0 წლები – ავტ.), შემოდგომის ბუნიობა, ანუ შემოდგომის დღე-ღამე სწორება ხდებოდა მაშინ, როცა მზე „სასწორის“ ზოდიაქოში შედიოდა.“ (რ.პატარიძე, გვ. 432). გამოდის, რომ 5-დღიანი განსხვავებაც ამ დროისთვის უნდა აღმოიფხვრას. ეს ის პერიოდია, რასაც სულხან-საბა ამგვარად განმარტავს: „არდადგი არს – რა მკათათვეში მზე ლომზე შევალს“; ანუ 20 ივლისი. (პრეცესიული პროცესის გამო „ვერძის ეპოქაში“ ივლისში უწევდა შემოდგომის ბუნიობა). შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მზის მოძრაე ქართულ კალენდრს 5-დღიანი ეპაგომენი 20

ივლისიდან უნდა დამატებოდა და ამ დღეს აღნიშნათ „ელი“-სთვის, უმაღლესი შემოქმედი ღმერთისთვის მიძღვნილი დღესასწაული.

რა უნდა დარქმეოდა ასეთ რელიგიურ დღესასწაულს?

„ელი-ობა“, სავარაუდოდ, ყველაზე შესაფერი სახელი იქნებოდა, რადგან დღეები „ელ“-ი კალენდარს ემატება. წარმოიდგინეთ, კოლხეთში არის ასეთი რელიგიური დღესასწაული და მას სწორედ „ელიობა“ ჰქვია და იგი ზუსტად 20 ივლისს აღინიშნება („მეგრულ-ქართული ენის ლექსიკონი“, (გ.ელიავა)). 20 ივლისს იგივე „ელიას დღეობა“ აღინიშნება ხევსურეთშიც და მასაც „ელიობა“ ჰქვია. (ა. ჭინჭარაული) „ამინდის ღვთაების ელიას დღესასწაულს... საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვანაირად მართავდნენ. ელიობას მესხეთში ტაძარში იხდიდნენ, ასევე სცოდნიათ იმერეთში. კახეთში დღესასწაულს მართავდნენ ელიას მთაზე.“ („ქართული ენციკლოპედია“) იმავე ივლისის ბოლო კვირაში, ელიობამდე ზედიზედ კიდევ რამდენიმე წარმართული დღესასწაულია საქართველოში (ქველთობა, კვირიკობა, ათენეგენობა), ეს სხვა ღმერთებისადმი მიძღვნილი სადღესასწაულო დღეების ნარჩენი უნდა იყოს. შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, ნაპოვნი „ქართული ეპაგომენი“, მზის მოძრაე კალენდრისთვის დღეთა დამატების დიდი დღესასწაულის ნაშთი. აქედან მიაქვს იგი ეგვიპტეს.

20 ივლისის, დღე-ღამე სწორების, მზე-ღმერთის ამ უდიდესი დღესასწაულის თაობაზე იცოდნენ უძველეს საქართველოში, იცოდნენ ახ.წ.ად. მეოთხე საუკუნეშიც. ლოგიკურად, „ელ“ ღმერთისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე უნდა დასრულებულიყო მისი ციკლი, მომხდარიყო „ელ“-ის უარყოფა და ახალი რელიგიის შემოსვლაც. აი, რას წერს მემბტიანე: „და იყო, დღესა ერთსა ზაფხულისასა, თუესა ივლისსა ოცსა... განვიდა მეფე (მირიანი) ნადირობად

მუხნარით კერძო, და მოუხდა უჩინო იგი მტერი, ბოროტი ეშმაკი, და შთაუგდო სიყვარული კერპთა და ცეცხლისაი (ეს „ელიობა დღესასწაული იყო)... დაბნელდა მათ ზედა მზე, და იქმნა ღამე ბნელი უკუნი, და დაიპყრა ბნელმან არენი და აღვილნი... დაშთა მეფე მარტო და იარებოდა მათა მადნართა შემინებული და შეძრწუნებული... განიზრახვიდა ესრეთ გულსსა შინა თვისთა: „ღმერთო ნინოისო, განმინათლე ღამე ესე... და აღვმართო ძელი ჯუარისაი და თაყვანის-ვცე მას...“ ესე ყოველი რაი წართქუა, განთენა და გამობრწყინდა მზე“. („ქართლის ცხოვრება“, მროველი) როგორც ვხედავთ, ქართული სარწმუნოების ისტორიაში ეს უმნიშვნელოვანესი აქტი, სწორედაც, 20 ივლისს აღსრულდა.

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ელიას ხალენი მცხეთას განისვენებს სვეტიცხოველში „საკურთხეველისა ქუეშე უპოვნელად ვიდრე ჟამამდე მისა.“ (ტ 1. გვ. 100) ამით მისი შემოქმედი ხალხია პატივდებული. „ელ“ კალენდარი ქრისტეშობამდე არსებული იბერიულ-კავკასიური სივრცის კუთვნილებაა და მასთან დაკავშირებულ სასწაულებსაც აქედან მიიღებს კაცობრიობა(!).

როგორც ვხედავთ, მზის მოძრავი კალენდარი ყველაზე მოხერხებულად და ორგანულად, მარტივად, თვითონ ქართულ სიტყვაშია დაფარული, თანაც მზის გარშემო დედამიწის ერთი შემოვლის დროის ერთეულად მიღებულ სიტყვაში – „წელი“.

„იყვნენ სიმართლითა მორტყმულ წელნი (!) მისნი...“ (ესაია, 11. 5)

მესუთე დასკვნა: სიტყვა „ელი“, და მისგან გამომდინარე კალენდარული ერთეული „წ-ელი“ მზის მოძრავი კალენდრის რიცხვულ მექანიზმს ატარებს ჰემატრიულად;

სიტყვაში კალენდრების ჩადების ტრადიციას ანალოგი არ მოეპოვება.

მართლაც სასწაულებრივი ღირებულების ინფორმაციაა, მაგრამ იგი ვერ იქნება იოანე-ზოსიმეს

წერილის ამონახსნი, ავტორი ამონახსს ხელნაწერშივე ხომ არ გამოამხეურებდა?! თან იგი ჰემატრიულად შეუსაბამოა 94-თან. ამასთან დააკვირდით სინ. 34 (13-14) და სინ. 32-57-33-ის (12 13) ფრაზას:

„და ოთხისა დღისა მკ'დარი ამისთვის თქ'ა დავით წწ'ელმნ რ' წელი ათასი...“

სიტყვა „მკდარი“ ორივეგან ხელოვნურად არის ასონაკლული, თუ სხვაგან მისი ჩაწერა არ ეშლება (მკუდარი) ავტორს, და ქარაგმის გარეშე წერს, აქ რა ხდება? ამ ფრაზაში ჰემატრიების ხელოვნურად გატოლებით ავტორი „წ-ელი“-თ მოცემულ ფუძეს „ელი“-ს, მკედართან აიგივებს. სინურ № 38-ში ლაზარეს სულაც „ე“(მერვე)-ს გამოყენებით წერს:

წ(31) ე(12) ლ(12) –ი, მ(13) კ(11) დ(4) ა(1) რ(19) –ი, ლ(12) ა(1) ზ(70 ა(1) რ(19) მ(8),
31 + 5 + 12 = 48; 13 + 11 + 4 + 1 + 19 = 48;
12 + 1 + 7 + 1 + 19 + 8 = 48.

48 = 48 = 48, ჰემატრიების ტოლობა კი აზრობრივი ექვივალენტურობის ნიშანია.

ეს ლაზარეა „მკდარი“ და იგი უნდა აღდგეს; ეს ლაზარეა „წელი“-თან, მზის მოძრაე კალენდართან კავშირში; „წელი“-ს სიკვდილია ლაზარეს სიკვდილი. იმისთვის, ვინც იცის ჰემატრიის ენა, ეს უცილობელი არგუმენტია და იოანე-ზოსიმე ერთი მათგანია. იმ დროს „წ-ელი“-ს უარსაყოფად, მის სიკვდილზე და მომავალ აღდგომასთან დაკავშირებით ფარულად, მას მეტის თქმა არ შეეძლო.

ასე ქვეამოცანებით შემზადებულ გარემოში ისმება ხელნაწერის უმთავრესი ამოცანა: „და სასწაულად ესე აქუს ოთხმეოც და ათოთხმეტი წელი...“ (სინ. №34, 24, 25; სინ. №38 23, 24; სინ. №32-57-33 23, 24).

„წელი“ თითოეულ ხელნაწერში სამ-გზისაა ნახსენები და სამივეგან იგი ამოცანად გხვდება. ავტორის გატარებული მთელი სტრატეგია ერთიანი და მთლიანია. ხელნაწერში „წელი“-ს პირველი ხსენებისას კანონიკური დოგმატის დარღვევასთან გვაქვს საქმე („წელი ათასი,

ვითარცა ერთი დღეი“), „წელი“-ს მესამე ხსენებისას შეუსაბამობა, ქვეამოცანაა მოცემული („წელი ანბანისაი“), ხოლო „წელი“-ს მეორე ხსენებისას („და სასწაულად ესე აქუს: ოთხმეოც და ათოთხმეტი წელი“) სრული ბუნდოვანება იქმნება და ხელნაწერის გლობალური ამონახსნი ხდება მისაგნები. დასკვნა, რომ ხელნაწერში „წელი“ აქცენტირებულია, ცხადია. სამივე შემთხვევას მიზეზი უნდა მოეძებნოს და ის გლობალური ამონახსნი იქნება, რადგან:

თვალშისაცემად ერთი სტილის ქვეამოცანებია:

„წერილი ზის, რომელ ასოი არს“;

„ასი ესე წელი ანბანისაი“.

მათი ამოხსნა არ უნდა გაჭირვებოდა ამომშიფვრელს, ასეც მოხდა (პინგოროყვა). ყველა ქვეამოცანაში ამოსახსნელი სიტყვა „წ“(„წილით“) იწყება, ისევე როგორც მისი პასუხები, ამიტომაც ჩერდება ავტორი ასე საგულდაგულოდ ამ ასო-ნიშანზე:

წ-ერილ – (ასოი არს) – წ-ილი
(ამონახსნი);

წ-ელი – (წელი ანბანისაი) – წ-ილი
(ამონახსნი);

იგივე უნდა მოხდეს ხელნაწერის უმთავრეს ამოცანაში, „ოთხმეოც და ათოთხმეტი“-თან დაკავშირებითაც:

წ-ელი – (ოთხმეოც და ათოთხმეტი)
– ამონახსნი?

ე.ი. ხელნაწერის ლოგიკა ერთმნიშვნელოვნად გვკარნახობს, რომ ამონახსნი ასო-ნიშან „წ“(წილი)-თი უნდა იწყებოდეს. აქ აღარ გვაქვს სიტყვა „ასოი არს“, როგორც განხილულ პირველ შემთხვევაში, ან სიტყვა „ანბანი“, როგორც სულ ბოლო შემთხვევაში, რომ „წელი“-ს ამონახსნი განსაზღვროს, სამაგიეროდ, გვაქვს „ოთხმეოც და ათოთხმეტი“(94) რომელსაც პირდაპირ გავყავართ ხელნაწერის გლობალურ ამონახსნზე, „წელის“, როგორც ჰემატრიულად, ისე ასტრონომიულად 94-თან გატოლებულ პასუხზე (ამაზე ოდნავ ქვემოთ), „წელის“, „წ“-თი დაწყებულ სინონიმზე – „წ-ელიწადი“. იგი ამონახსნი თუნდაც იმიტომ შეიძლება იყოს, რომ არც

ერთხელ სიტყვა – „წელიწადი“, ავტორს არ უხსენებია.

კულმინაციური კითხვა იოანე-ზოსიმესგან დასმული მთავარი კითხვაა და ავტორის მთელი სტრატეგია მის დასმას, მის მომზადებას ემსახურება. იგი ისევე უნდა ამოგვეხსნა, როგორც ზემოხსენებული კითხვები. ასეთი გადასვლით ავტორის მიერ ამოცანის დასმის ხელწერა უკვე ყველგან დაცული და შიფრის ხიბლი შენარჩუნებული იქნება.

ფაქტობრივად, ამოცანა ჰემატრიისა და ლოგიკის სინთეზით მიდის ბოლომდე:

მაგრამ „წელ“-ის მთავარი ღირებულება მასში ჩადებული მზის კალენდარია, ამონახსნის ჰემმარიტება მხოლოდ მაშინ უნდა ვირწმუნოთ თუ სიტყვა „წელიწადი“-ც კალენდართანაა კავშირში. აქ ცხადია კალენდარულადაც მეტს უნდა ველოდოთ, ვიდრე „წელ“-ში დაფარული მზის მოძრავი კალენდარია.

მივუბრუნდეთ ისევ კალენდრებს. ტროპიკულ წელსა (დედამიწის მზის გარშემოვლის რეალური დრო) და 365-დღიან კალენდარულ წელს შორის დაზუსტებული სხვაობა 5 საათი 48 წუთი და 46 წამია. მზის უძრავი კალენდრით, ანუ იმ კალენდრით, რითაც დღეს ვსარგებლობთ, ოთხწლეულში ერთი დამატებითი დღე შემოგვაქვს. ე.ი. საშუალოდ წელიურად 24 : 4 = 6 საათი დაემატა. გამოდის, რომ მზის უძრავი კალენდარი წელზე 11 წუთითა და 14 წამით მეტს ითვლის, ე.ი. უფრო მეტს ვამატებთ, ვიდრე საჭიროა, ამიტომაც მას დაახლოებით ყოველი 128 წლის შემდეგ კორექტირება სჭირდება, უკვე მთელი ერთი დღის დაკლება. ქრისტეშობის, ანუ ახალი წელთაღრიცხვის შემოტანის შემდეგ არსებული კალენდრის კორექტირება, ე.წ. „ახალ სტილზე გადასვლა“ ერთბაშად, წინა საუკუნეში განხორციელდა და ეს მზის უძრავი კალენდრით დაგროვილი ცდომილების აღმოსაფხვრელად გაკეთდა. ე.ი. თუ მზის მოძრავ კალენდარს 5 საათი 48 წუთი და 46 წამი ჰქონდა ტროპიკულ წელთან სხვაობა, მზის უძრავ კალენდარში ეს სხვაობა 11 წუთსა და

14 წამამდე შემცირდა, მაგრამ სულ არ გამქრალა, ამიტომაც ისევ სჭირდება მზის უძრავ კალენდარს კორექტირება; თუმცა 4 წელიწადში კი არა, არამედ უკვე 128 წელიწადში.

კალენდრის სრულყოფა მზის კალენდრის განვითარებას უნდა მოეცა, ეს ლოგიკურად სრულიად ცხადია; ამისთვის, ახალ კალენდარს წინარეს სიტყვიერი და რიცხვული ნაწილის გამეორება სჭირდებოდა, ასე იქნა მიღებული მზის უძრავი კალენდარი, იდენტური რიცხვული კონსტრუქციით, „წელიწადი“. იგი არა მხოლოდ პირდაპირ ინარჩუნებს რთულ ფუძეში „წელ“-ს, არამედ გაცილებით მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოაქვს სემანტიკურ და ჰემატრიულ შრეში. კალენდრად გამოყენების შემდეგ მაკორექტირებელი ფუძე „წადი“, წასვლის მნიშვნელობის ზმნაში გადადის და ამასაც აქვს ლოგიკურად გამართლებული საფუძველი. სიტყვიდან „წადი“ ასო-ნიშან „წ“-ს რიგითი სათვალავი – 31, ციფრულად 3 და 1-ია, ანუ ჯამში ოთხი: $3 + 1 = 4$, ეს მიგვანიშნებს იმას, რომ ყოველ ოთხ წელში სამჯერ 365-დღიანი წელია, ხოლო იმ ერთ ნაკიან წელს, მას 366-ე დღე ემატება. „ყოველ ოთხწლეულში ერთი დამატებითი დღე-ღამის საიდუმლო... ასო „წილი“-ს ფორმულაშია დამარხული“ (რ.პატარიძე). ამ ერთ, დასამატებელ დღეს სიტყვაში ასო-ნიშანი „ა“(1) იძლევა. 128 წელში რეალური, ტროპიკული წელიწადებით გასული დრო, მზის უძრავი კალენდარით აღრიცხულზე 1,0016 დღე-ღამით ნაკლებია. ასეთი თვალსაჩინო ცდომილების გამოსწორების შესაძლებლობას მაკორექტირებელი ასო-ნიშანი, სიტყვის ბოლოს „დ“ (დონ-ი) იძლევა. მისი რიგითი სათვალავია 4, ხოლო სახელდება „დონ“-ი, მართლაც განსაკუთრებული რიცხვითი შიგთავსით:

$$d(4) o(70) n(50) - i, \\ 4 + 70 + 50 = 124;$$

ჰემატრიით მიღებული 124, წელთა ის რაოდენობაა, რომელსაც „წელიწადი“, როგორც მზის უძრავი კალენდარი ისევე ითვლის. „სახელდება „დონ“-ი

შემთხვევითი ხასიათისა კი არ არის, არამედ მას ერთდროულად საიდუმლო რიცხვითი მნიშვნელობა აქვს და ასტრონომიულ-კალენდარულ ფუნქციებს ასრულებს.“ (რ.პატარიძე). სავსებით სწორია, უნდა დავამატოთ მხოლოდ, რომ არა მხოლოდ ანბანში, არამედ სიტყვაშიც – „წელიწადი“. 124 წელში 31 ნაკიანი წელია, სწორედ ასე ითვლის მზის უძრავი კალენდარი დღეებს და იგივე ხდება მზის უზუსტეს კალენდარში. მაგრამ შემდეგი ოთხი წელი, განსაკუთრებული წლებია, რომელშიც უკვე ნაკიანი წელი აღარ გვხვდება. ამაზე ინფორმაციას „დ“ (დონ-ი) ასო-ნიშნის რიგითი სათვალავი იძლევა, ის 4-ს ტოლია. ე.ი. კალენდარი „წელიწადი“ 124 წელს 31 ნაკიანი წლით გადის ($124 : 4 = 31$, აქ 124 „დონ“-ის ჰემატრია და 4, მისი რიგითი სათვალავია); ხოლო შემდეგი 4-წლელი უნაკიანო წლებია (4, ისევ „დონ“-ის რიგითი სათვალავია). ამით კალენდარი თვითონვე ახდენს ზედმეტი ერთი დღის კორექტირებას.

მივიღეთ ე.წ. უზუსტესი ქართული კალენდრი, მასში $124 + 4 = 128$ წელიწადში 32-ს ნაცვლად, 31 ნაკიანი წელია. ეს, ერთი შეხედვით უმნიშვნელო კორექცია გამოგნებელ შედეგს იძლევა:

ტროპიკული წლის ხანგრძლივობა 365,2422 დღე-ღამეა, 128 წელში იგი $128 \times 365,2422 = 46751,0016$ დღე-ღამეს. ე.წ. ქართული კალენდრით ჩვენ 128 წლიდან 31 გვაქვს ნაკიანი, ანუ,

$$31 \times 366 + (128 - 31) \times 365 = 46751$$

დღე-ღამე, ფაქტობრივად, სხვაობა უსასრულოდ მცირეა, ეს სხვაობა 128 წელიწადმა მოგვცა:

$$46751,0016 - 46751 = 0,0016 \text{ დღე-ღამე.}$$

თუ მზის უძრავ კალენდარს 1,0016 დღე-ღამე ჰქონდა ცდომილება, ახლა ქართული კალენდრით იგი 1 დღე-ღამით შემცირდა და 0,0016 დღე-ღამე გახდა. გადავიყვანოთ იგი წამებში და გადავიანგარიშოთ ერთ წელზე, ანუ გავყოთ 128-ზე და წელიწადში სულ 1 წამიანი სხვაობა გვრჩება (მას კორექტირება მხოლოდ 86400 წლის

შემდეგ დასჭირდება). გათვლისას არ არის გათვალისწინებული პრეცესია და დედამიწის ღერძის გარშემო ბრუნვის შემცირების პროცესი, რამაც 1 წამიანი ცდომილებაც შეიძლება გააბათილოს. „ესოდენ სრულყოფილი კალენდარი დღემდე არ იცის კაცობრიობის ისტორიამ.“ (რ. პატარიძე). იგი 19-ჯერ უფრო ზუსტია, ვიდრე ახ.წ.ად. მეთერთმეტე საუკუნეში შექმნილი შუა აზიური (ომარ ხაიამის) კალენდარი, და 17-ჯერ უფრო ზუსტი, ვიდრე მაიას ცივილიზაციის კალენდარი, 850-ჯერ აღემატება დღეს ხმარებაში მყოფ კალენდარს და 170-ჯერ ეგვიპტელთა კალენდარულ ცოდნას. ქართული კალენდარი ყველა დღემდე ცნობილ კალენდარზე ძველია და როგორც ვხედავთ, უფრო ზუსტიც.

1980 წელს ბ-ნმა რამაზ პატარიძემ ქართულ ანბანში 128-წლიან ციკლებში თვითკორექტირებად კალენდარს მიაგნო. ახლა ვხედავთ, რომ იგივე კალენდარი ჩადებულია მზის გარშემო დედამიწის შემოვლის დროის ერთეულად მიღებულ სიტყვაში „წელიწადი“. ის, რომ ქართულ ანბანსა და სიტყვაში დატანებული კალენდრები იდენტურია, საბოლოოდ ამტკიცებს მის რეალურობასა და ქართულ წარმოშობას.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ წინა სიტყვის „წელი“-ს ბრუნვის ნიშანი „ი“ სიტყვაში ჩარჩა და მივიღეთ ახალი სიტყვა, კალენდარული შიგთავსით „წელიწადი“. შუაში „ი“ კალენდარულად სრულიად ზედმეტია, იგი მხოლოდ იმას მიანიშნებს, რომ ამ სიტყვის მიღება ორ ეტაპად ხდებოდა. ჯერ მზის მოძრავი კალენდარი გვექონდა და მას ერქვა – „წელი“, მზის უძრავ, უზუსტეს ქართულ კალენდარზე გადასვლისას უკვე „წელიწადი“ მივიღეთ. „წელიწადი“, ლექსიკურადაც და კალენდარულადაც „წელი“-ს განვითარებაა. „წელიწადი“ – მასში ჩადებული რიცხვული მექანიზმით მზის ე.წ. ქართული (უზუსტესი) კალენდარია, და ამდენადაც ის იოანე-ზოსიმეს ხელნაწერის გლობალური

ამონახსნი ხდება. მაგრამ იქვე ავტორი ამ ამონახსნის შემოწმების საშუალებას გვაძლევს:

გამოვიყენოთ ქართული ჰემატრიის წესები და ვიანგარიშოთ, „წელიწადი“-ს რიგითი სათვალავის ჯამი:

$$\text{წ(31) ე(5) ლ(12) ი(10) წ(31) ა(1) დ(4) -ი,} \\ 31 + 5 + 12 + 10 + 1 + 4 = 94 (!!!);$$

წარმოუდგენელ მტკიცებულებას, სიტყვიერ რიცხვული იგივეობას მივადექით:

„ოთხმეოც და ათოთხმეტე-ი“ = „წელიწად-ი“ (ჰემატრიით 94).

„ოთხმეოც და ათოთხმეტე-ი“ – მზის დედამიწაზე ამოსვლის კუთხური გადახრა.

„წელიწად-ი“ რიცხვული და ასტრონომიული არსით, ჰემატრიით ის 94-ია, რომელზეც ხელნაწერში იოანე-ზოსიმე საუბრობს!

ამგვარი სტილისტურ-ჰემატრიული და ასტრონომიული სისტემური ანალიზი, ეჭვს არ ტოვებს იოანე-ზოსიმეს ხელნაწერის მექანიზმის სწორად გახსნის თაობაზე, რადგან ავტორის მიერ გააზრებული და გათვლილი მისი ყველა დეტალი თავის შესატყვის ადგილს პოულობს, ავსებს და სრულყოფს ერთიან სურათს. მთელი ხელნაწერი, თავისი ქვეამოცანებით ერთი გლობალური შეკითხვაა, რომლის პასუხიც, ლოგიკურად ყველა დასმული კითხვის პასუხიც ხდება.

როცა „წელი“ და „წელიწადი“-ც კალენდრებია, ეს მათი შემოქმედის სტრატეგიული ჩანაფიქრის ნიშანია. როცა დროის უმნიშვნელოვანეს ერთეულში, რომელიც მზის გარშემო დედამიწის ერთი შემობრუნების აღმნიშვნელია, მთელ კალენდარს ვპოულობთ, ეს უკვე თვისობრივად განსხვავებული დონეა, ვიდრე, თუნდაც იგივე კალენდრის ანბანში ხილვა.

სავარაუდოდ, სიტყვაში (წელთაღრიცხვის ერთეულში) კალენდრის რიცხვულად ჩატანების ტრადიციის ფესვები კაცობრიობის უუშორეს იბერიულ-კავკასიურ წარსულშია საძებნი. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან კალენდარი სწავლულთა დაკვირვება-

გარჯის შედეგია და ერთეულიც მათი შემოტანილი და გააზრებული.

„სიტყვა წელი ძირეული ქართული, უმოტივაციო სიტყვაა. წელიწადი კი კომპოზიტია, მიღებული წელ სიტყვის გაორკეცებით“, წერდა ენათმეცნიერი ზურაბ ჭუმბურიძე.

ქართულ ენათმეცნიერებაში დაშვებაც კი არ ხდება იმის, რომ რომელიმე ქართული სიტყვა შეიძლება წინასწარ გათვლილ რიცხვულ „სტრუქტურაზე“ აგებული, ხელოვნურად, გააზრებულადაა შექმნილი.

ხელნაწერის უმთავრესი ამოცანის ამოხსნის შემდეგ დასკვნები ასეთ სახეს მიიღებენ:

მეექვსე დასკვნა: სიტყვა „წელიწადი“ მზის ქართული კალენდრის რიცხვული მექანიზმის მატარებელია;

მეშვიდე დასკვნა: მზის ქართულ კალენდარს სიზუსტით ანალოგი არ მოეპოვება;

მერვე დასკვნა: „წელიწადი“, და მასში დაფარული მზის ქართული კალენდარი იოანე-ზოსიმეს ხელნაწერის უმთავრესი ამონახსნია. ზემოთდასმული გლობალური ამოცანა სრულად და დადებითად გადაწყვეტილია. იოანე-ზოსიმეს ხელნაწერის შიფრის გასაღები მიგნებულია და გზავნილი ამოკითხულია.

ასეთი დიდი სიზუსტის ასტრონომიული ინფორმაცია საკმაოდ განსხვავდება იმისგან, რაც პროტოქართეულთა იმდროინდელ მეზობლებს გააჩნდათ.

სკეპტიკოსების გასაგონად ავლნიშნავთ: კალენდრის შემოქმედი ის ხალხია, ვინაც ეს კალენდრები სიტყვებში ჩაიტანა და დაფარა. ე.ი. მან ეს ცოდნა მოიპოვა და გაასაიდუმლოა. სხვისი მიგნებულის და გახმაურებულის, ე.ი. ჩვენგან გადმოტანილის ან სიტყვაში ჩატანას, მითუმეტეს გასაიდუმლოებას რა აზრი ჰქონდა?!

ჩვენ მზის ქართულ კალენდრებზე ვსაუბრობთ!

ჩვენ ძველ ქართულში დაფარულ უდიდეს საიდუმლოზე ვსაუბრობთ!

როგორც იოანე-ზოსიმეს ხელნაწერის გაშიფრიდან ჩანს, ამ საიდუმლოს გამშიფრავი და თვითონაც კალენდრების შესწავლით დაკავებული ბერიც იგივე დასკვნამდე მივიდა; ამიტომ ქართული ენის მრავალ სხვა სასწაულებრივი იდუმალებიდან კალენდარული ინფორმაცია გამოარჩია და იგი მიიჩნია სასწაულის ნიშნად.

ცა უძველესი ადამიანისთვის ღმერთების საუფლო იყო, მთვარე და მზე ღმერთები, უზენაესი ღვთაებები; ამდენად, ცაზე მათი მოძრაობა, წასვლა-მოსვლის განრიგს, უდიდესი სარწმუნოებრივი და რიტუალური მნიშვნელობა ჰქონდა (პრაქტიკულის გარდა). კალენდარი, ფაქტობრივად, მნათობთა მოძრაობის განრიგია, სარწმუნოებრივი რიტუალის განმსაზღვრელი (ეს დღემდე ასეა). სწორედ ამ საფუძვლებიდან ამოდის ის შედეგები, რასაც იოანე-ზოსიმეს წერილში გამოჩნდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ „ქებაი და დიდებაი-ს“ ხელნაწერში გამოყენებული შიფრი მხსრეკალმა ბერმა ბიბლიის გამშიფრავთაგან აიღო და... მისდა გასაოცრად, აღმოაჩინა, რომ ქართული ანბანის, სიტყვის, გასაღებიც იგივე გახლავთ; ანუ, წინაპართაგან თქმულს ქართულ სიტყვაში მანაც იგივე გასაღებით მიაგნო; ან კიდევ, მას ამის შესახებ ინფორმაცია წინასწარ ჰქონდა და გადაამოწმა. ეჭვსგარეშეა იოანე-ზოსიმე მიხვდებოდა, რომ იპოვა უძველესი ცოდნის სათავე, რომლის შექმნაში ღმერთის ხელი ერია. ეს უძველესი ქურუმთა ენა, უფლის ენა იყო.

ქართული კალენდარული სიტყვის განმსაზღვრელი ფუძეა მარცვალი – „ელი“ (წ-ელი, წ-ელი-წადი); „ელი“ ქალღვეულთა ღმერთია, მზე ღმერთი. აქედანაა მიღებული გაღების ღმერთი „ბელი“ და სემიტების „ელი“-ც. ეჭვსგარეშეა, რომ იოანე-ზოსიმეს ეს სიტყვები სწორედ ასე ესმოდა. ისმის საკვებით ლოგიკური კითხვა: თუ ქურუმთა საიდუმლო ენის ნაშთები ქართულ ენაში არსებობს, რაღა მაინცდამაინც „წელი“ და „წელიწადი“ მოექცა იოანე ზოსიმეს

თვალთახედვის არეში და მასზე აგებული მთელი მისი ხელნაწერი? სწორედ იმიტომ, რომ მათ უმთავრესი სათქმელი მოაქვთ: აქ „წ-ელი“-ს ქაღალეურ, სემიტურ, გალური ღმერთის, „ელი“-ს დროება გასრულდა, „წ - ელი - წადი“-თ იგი, „ელი“ უნდა წავიდეს, დასრულდეს და დასაბამი დაედოს სარწმუნოებრივად ახალ, ამაღლებულ, ღვთიურ, უკვე ქრისტიანულ, მართლმადიდებლურ ეპოქას, „ქრისტეს მოსვლითგან ვიდრე დღესამომდე.“ ქრისტეს მოსვლას წინ ახალი უმაღლესი ჭეშმარიტება, მზის ქართული კალენდარი („წელიწადი“) მოუძღვის.

ერთი მხრივ, „ელი“ ისრაელისთვის და გალებისთვის ღმერთია და მეორე მხრივ, „ელი“ ქართული ანბანური კალენდრის („წ-ელი“) რიცხვული კონსტრუქციის მომცველი ნაწილი, და უმაღლესი ღმერთია ძველ კოლხეთში. შეკითხვას: თუ რომელი მათგანია პირველადი, საწყისი ლოგიკურად ერთმნიშვნელოვანი პასუხი აქვს – კალენდარი! რადგან სიტყვას ანბანი და კალენდარი ვერ ერგება. ამდენად, ღმერთის სახელი სემიტურში იბერიულ-კავკასიური სივრციდან გადატანილი ჩანს. ამგვარი მჭიდრო ურთიერთგანპირობებულობა მიგვანიშნებს ქართულ-სემიტურ საერთო ისტორიულ ძირებზე და ცივილიზაციის საწყისის ახლებურად გააზრების საკითხს ხელახლა სვამს (ეს საკითხები განხილულია ავტორის ჯერაც დაუსტამბავ წიგნში – „ყოველი საიდუმლო... ამას ენასა შინა“). „ელ“ ღმერთიც ამ არეალიდანაა გატანილი, მაგრამ კალენდარული სიტყვა ანბანის გარეშე ვერ იქმნება?!...

მაგრამ ეს ცვლის ცივილიზაციის ისტორიას?!

მეცხრე დასკვნა: იოანე-ზოსიმეს ხელნაწერის გაშიფვრა, რეალურად წარმოაჩენს იმ საფუძვლებს რის გამოც ავტორი ქართულს „უფლის ენად“ თვლიდა, და ცვლის არა მხოლოდ საქართველოს, ან ქრისტიანობის, არამედ ცივილიზაციის პირველისტორიასაც.

დაშიფვრის ისეთი დიდოსტატი, როგორიც იოანე-ზოსიმეა თავის

ხელნაწერს ისე არ დაასრულებდა მიღებული ამონახსნის შემოწმების საშუალება რომ არ დაეტოვებინა ამომსხნელისთვის. ასეც არის.

მტკიცება პირველი: აკი თვითონაც წერს დასკვნაში:

„...და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგიტხარ ასი ესე წელი ანბანისა.“

რას უნდა ნიშნავდეს „ასი ესე წელი“, ვინ უნდა იყოს ის, ვისი მოწმედ, „მოწამედ“ მოყვანა იოანე-ზოსიმეს ასეთი, ისედაც მესიანისტური ტექსტის გამყარებას შეძლებდა? ვინ უნდა მოეყვანა იმის მოწმედ, რომ ქართული უფლის ენაა?

როგორც აღმოჩნდა, „ასი ესე წელი“, მართლაც ორმაგად იღუმალი შიფრია... მაგრამ გასაგები ხდება, იხსნება მხოლოდ და მხოლოდ ჰემატრიის გამოყენებით, ანუ იგი ჰემატრიის არსებობას ადასტურებს.

დავთვალოთ თითოეული სიტყვის ჰემატრია:

- ა(1) ს(20)-ი, $1 + 20 = 21$;
- ე(5) ს(20) ე(5), $5 + 20 + 5 = 30$;
- წ(31) ე(5) ლ(12) -ი, $31 + 5 + 12 = 48$.

21, 30, 48 ცალკეულად თითქოსდა განსაკუთრებულად ხელჩასაჭიდი ბევრი არაფერია. ალბათ, ასეც უნდა ყოფილიყო, ასეთ მნიშვნელოვან მოწმეს, „მოწამეს“ იოანე-ზოსიმე ჰემატრიულად კარგად დაფარავდა, შენიღბავდა, მაგრამ ამ ფონზე მისი „გამხელა“ უკვე შესაძლებელია.

დავთვალოთ, პირველი ორი სიტყვის ჰემატრია: $21 + 30 = 51$.

გამოვთვალოთ, უკვე მთელი ფრაზის ჰემატრია: $21 + 30 + 48 = 99$.

ე.ი. „ასი ესე წელი“-თ იოანე-ზოსიმე ქართული ჰემატრიის ორ უმნიშვნელოვანეს რიცხვს გვაძლევს. პირველი მათგანი (51), „იესო“-ს ჰემატრიაა, მეორე (99) – „ქრისტე“-სი:

- ი(10) ე(5) ს(20) ო(16);
- ქ(24) რ(19) ი(10) ს(20) ტ(21) ე(5);
- $10 + 5 + 20 + 16 = 51$;
- $24 + 19 + 10 + 20 + 21 + 5 = 99$.

იოანე-ზოსიმეს „მოწამედ“... სწორედ ის მოჰყავს, „ვის საწამებელად“-აც დაწერა

„ქება და დიდება“:

ი ე ს ო ქ რ ი ს ტ ე (!).

დიდებული ძალიან ღამაზი გადაწვევტაა და უფლის ენის ქებათა-ქების ლოგიკური, ჰემატრიული დასასრული.

ბოლო სტრიქონი ფაქტობრივად არის პასუხი ნაწარმოების თავში დასმულ კითხვაზე: „ვის საწამებელად?“ ამით ნაწარმოები იკვრება და ორგანულად მთლიანი ხდება.

გაშიფვრის შემდეგ თავიდან „აღმო-აჩნეთ“ ამ ხელნაწერს.

ქართული ჰემატრიაში 51 ღმერთის კაცობრივი ბუნების რიცხვია, 99 – ღვთაებრივის.

თავის ხელნაწერში „ქება და დიდება ქართულისა ენისაი“-ს მოტანილი უმთავრესი თეზისი: „ქართული უფლის ენაა, სხვაზე აღმატებული და უკეთესი, მეორედ მოსვლის შემდეგ, ღმერთი ქართულად განიკითხავს.“ (კომენტირება: ა. ცაგარელი, კ. კეკელიძე, პ. ინგოროყვა) „მოწამე“, ერთადერთი მოწმე, ტექსტის ბოლოს შეფარულად მოხმობილი მაცხოვარი – იესო ქრისტეა.

ლოგიკურადაც, სწორი მიგნებაა, მხოლოდ მაცხოვარს ძალუძს ამ უმაღლესი სარწმუნოებრივი სიწმინდის ჭეშმარიტების დამოწმება.

სწორედ ასეთი უღამაზესი, თავბრუ-დამხვევი მომენტებით ფასდება ამ აღ-ღებული ლიტერატურული შედეგები!

ამ მიგნების შემდეგ „ქება და დიდება ქართულისა ენისადა“, როგორც ძეგლი, სულ სხვა, გამორჩეული სიმაღლით გამოჩნდა. მის შეფასებასაც, ალბათ, დროა ხელახლა მიუბრუნდეს ლიტერატურათმცოდნეობა.

მტკიცება მეორე: ლოგიკურმა ანა-ლიზმა მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მთელი ხელნაწერის ერთიან ჰემატრიულ რიცხვში უნდა დაფიქსირებულიყო 8050.

როცა ამონახსნი მიგნებული იქნა, ლოგიკურად ცხადი გახდა, რომ იოანე-ზოსიმე თავის ამონახსნს დაზღვევას გაუკეთებდა და ხელნაწერში 8050-ს ჩადებდა, რადგან ამით მისი ერთადერთობა იქნებოდა განპირობებული. ამ რიცხვის

მოცემის მეთოდი, ბუნებრივია, ჰემატრია უნდა ყოფილიყო. პირველმა გათვლამ აჩვენა, რომ იგი მთელი ხელნაწერის რიგით სათვალავთა ჯამურ ჰემატრიაში უნდა გვექებნა, მაგრამ დეტალურმა ანალიზმა გაცილებით მაღალი რიცხვი მოგვცა.

ეს არღვევდა ხელნაწერის ამოხსნის ლოგიკურ მთლიანობას და ამ შეუსაბამობის გამო კვლევები შეწყდა...

ბოლოს დადგინდა, რომ ხელთ ხელ-ნაწერის ენათმეცნიერთა მიერ ჩასწო-რებული ვარიანტი გვექონდა, სადაც გახსნილია ქარაგმები (ჩამეტებულია, დაახ-ლოებით 90-ზე მეტი ასო-ნიშანი, რაც მნიშ-ვნელოვნად ცვლის, ზრდის ჰემატრიულ რიცხვს), ჩასწორებულია ენათმეცნიერთა აზრით „ლაფსუსკალმად“ მიჩნეული სიტყვები (მაგალითად, „დღედმმდე“-ს ნაცვლად წერია „დღედმდე“, რაც ასევე ცვლის (ამცირებს) ჰემატრიულ რიცხვს), ამოხსნილია ქვეამოცანები (მაგალითად „ასი ესე წელი“-ს ნაცვლად „ასი ესე წილი“ წერია, და ისევე იცვლება ჰემატრიული რიცხვი), უფრო მეტიც, ზოგ ვარიანტში გაკეთებულია ენათმეცნიერთა „ანალიზით“ მიგნებული ჩასწორება („ასო ესე წილი“, „ესე წილი“, ნაცვლად „ასი ესე წელი“-სა, რაც ანგრევს ავტორის ჩანაფიქრს საერთო ჰემატრიული რიცხვის, 8050-ის შენარჩუნებაზე) და ა.შ.. დასკვნა ერთადერთი გაკეთდა, საჭირო იყო პირველადი, ხელშეუხებელი ტექსტის მოპოვება და მისი ანალიზი.

როგორც კი თავდაპირველი ტექსტი მოპოვებული იქნა (იხილეთ ზემოთ), ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. სრულიად აშკარა გახდა, რომ იოანე-ზოსიმე თავის ყველა ხელნაწერში, სრული ტექსტის მთლიან რიგით სათვალავთა ჰემატრიაში, 8050-ის მიღებას ცდილობს.

ეს იმაშიც გვარწმუნებს, რომ შიფრი ლოგიკის პრინციპების სრული დაცვითაა აგებული: წერილის ასოების რიგით სათვალავთა შეკრება სინ. №38 გვაძლევს – 8050-ს, გავყვეთ ტექსტს სტრიქონების მიხედვით:

დამარხულ(105) არს(40) ენა(35) ქართული(87)	= 267
დღედმდე(60) მეორედ(62) მოსვლისა(98) მისისა(74)	= 294
საწამებელად(95) რ'ა(20) ყ'ლსა(59) ენასა(41) ღ'თმან(62)	= 277
ამხილოს(105) ამით(33) ენითა(39) და(5) ესე(30) ენა(35)	= 247
მძინარე(95) არს(40) დღესამომდე(106).	= 241
და(5) სახარებასა(103) შინა(52) ამას(35) ენასა(41) ლაზარე(48)	= 284
რქვან:(58) და(5) ახალმან(75) ნინო(54) მოაქცია(94)	= 286
ჰელენე(77) დედოფალმან:(93) ესე(30) არი(30)	= 230
ან(15) ორნი(49) დანი(19) ვ'ა(7) მარიამ(57) და(5) მართა(58):	= 210
და(5) მეგობრობა(92) ამისთვის(73) თქ'ა(34) ვ'დ(10)	= 214
ყ'ლი(38) საიდუმლო(113) ამას(35) ენასა(41) შინა(52)	= 279
დამარხულ(93) არს:(40) და(5) ოთხისა(89) დღისა(60) მკუ(46)	= 333
დარი(24) ამისთვის(73) თქ'ა(34) დავით(30) წ'წყელმან(133)	= 294
რ'(19) წელი(48) ათასი(31) ვ'ა(7) ერთი(33) დღე(37)	= 175
და(5) სახ(ა)რ(ე)ბასა(97) შინა(52) ქართულსა(108) თავსა(37)	= 299
ხ'(33) მათსსა(72) წერილი(77) ზის(37) რ'ლ(31) ასოდ(52) არს(40)	= 342
და(5) იტყვს(77) ყ'ლად(43) ოთხ(58) ათასსა(52) მარაგსა:(58)	= 293
და(5) ესე(30) არს(40) ოთხი(58) დღე(37) და(5) ოთხისა(89) დღისა(60)	= 324
მკუდარი(70) ამისთვის(73) მის(43) თანავე(36) დაფლ(40)	= 262
ული(34) სიკ'დილითა(87) ნათლი სღებისა(129) მისისა(99)	= 349
და(5) ესე(30) ენა(35) შემკული(90) და(5) კ'ხეული(83) სახელი(81)	= 329
თა(10) ო'ისა(?)ითა(71) მდაბალი(33) და(5) დაწუნე(77)	= 196
ბული(36) მოელის(76) დღესა(55) მას(34) მეორედ(62) მოს(49)	= 312
ღვასა(40) ო'ისასა(68) და(5) სასწაულად(112)	= 225
ესე(30) აქუს(67) ოთხმეოც(121) და(5) ათოთხმეტი(107)	= 330
წელი(48) უმეტეს(89) სხუათა(86) ენათა(30) ქ'ეს(49)	= 302
მოსვლითგან(104) ვ'ე(11) დღესამომდე:(106)	= 221
და(5) ესე(30) ყ'ლი(38) რ'ლი(31) წერილ(77) არს(40) მოწამედ(83) წარ(51)	= 355
მოვითხარ(104) ასი(21) ესე(30) წელი(48) ანბანის(77)	= 280

ჯამი — 8050

სხვა ვარიანტებში უმნიშვნელო ცდობილება (1 და 3), ისედაც გადაშლილი ტექსტის ოდნავ ცუდად ამოკითხვის ბრალი უნდა იყოს. ხელნაწერები რიგ ადგილებში ძნელად იკითხება და ერთი ასო-ნიშნის ცდომილება სავსებით დასაშვებია. ვერ გამოვრიცხავთ იმასაც, რომ სულ ოდნავი უზუსტობა ავტორის არასწორი გათვლების ბრალია. სამაგიეროდ, 8050-ის დაცვაზე მისი ზრუნვა სრულიად ცხადია და სტატისტიკურად დიდად საიმედოც.

მივუბრუნდეთ ისევ 8050-ს, რა უნდა იყოს წერილის ასოების რიგით სათვალავთა სრული ჯამი — 8050? ან რატომ გვგონია,

რომ 8050 ხელნაწერის ამონახსნის შემოწმების საშუალებას მოგვცემდა? რატომაა იგი ასე მნიშვნელოვანი? იმიტომ, რომ 8050 ქართული უზუსტესი კალენდრის, „წელიწადი“-ს, ე.ი. ხელნაწერის მთავარი ამონახსნის რიცხვ-ნიშანთა ჯამია, მისი რიცხვ-ნიშანთა ჰემატრია. როცა გაირკვა, რომ „ოთხმეოც და ათოთხმეტი წელი“-ს ამოხსნაკალენდრის რიცხვული მექანიზმის შემცველი სიტყვა „წელიწადი“-ა; ხოლო 94 ამ სიტყვის რიგით სათვალავთა ჰემატრიაა, ლოგიკურად ცხადი გახდა, რომ მისი რიცხვ-ნიშანთა ჰემატრია, ხელნაწერში უნდა ყოფილიყო:

წ(4000) ე(5) ლ(30) ი(10) წ(4000) ა(1) დ(4) –ი;
4000 + 5 + 30 + 10 + 4000 + 1 + 4 = 8050 (!!!).

ე.ი. ხელნაწერს 8050 უნდა მოეცა, და როგორც ზემოთ ვნახეთ ასეცაა:

ხელნაწერის რიგითი სათვალავის სრული ჯამი, ჰემატრია (8050) ტოლია „წელიწად“-ის რიცხვ-ნიშანთა ჯამის, ჰემატრიის (8050), ანუ 8050 = 8050.

იგივეობა მიღებულია არაერთგზის.

ეს საშუალებას ქმნიდა ქართული კალენდარული ლექსიკიდან გამოგვეჩინა ერთადერთი სიტყვა, რომლის ჰემატრიები: 94 და 8050-ა („წელიწადი“). ე.ი. 8050 აკონკრეტებს, საზღვრავს პასუხის ერთადერთობას. „წელიწადი“ ქართულ ლექსიკაში, ერთადერთი კალენდარული სიტყვაა, რომლის რიცხვ-ნიშანთა ჯამი – 8050-ა, ხოლო რიგითი სათვალავის ჯამი – 94. ამდენად, „წელიწადი“ „ოთხმოც და ათოთხმეცისა“ და მთელი ხელნაწერის რიცხვული შიგთავსის, 8050-ის ერთადერთი ამოხსნაა.

შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ იოანე-ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ მთლიანად ჰემატრიული შიფრის მომტანი ტექსტია. მისი უმთავრესი იდუმალება სწორედ კულმინაციასა და დასკვნაშია მოცემული („და სასწაულად ესე აქუს: ოთხმოც და ათ თოთხმეტი წელი“, „ასი ესე წელი“). თუ პირველის მათგანის ამოხსნას მთელი ხელნაწერის საერთო ჰემატრიული რიცხვი (8050) ამოწმებს, კულმინაციის ამოხსნის შემდეგ მეორე მოწმის მიგნება მართლმადიდებელი მკითხველისთვის ცალსახად ელემენტარული ლოგიკაა (იესო ქრისტე). ისიც გასათვალისწინებელია, რომ განსახილველი ორივე ფრაზის უმთავრესი მდგენელია სიტყვა და კალენდარი „წელი“.

ამ სიტყვით არა მხოლოდ ანბანის შექმნის პერიოდია განსაზღვრული (ამაზე ქვემოთ ვიაუბრებთ), იგი პირველი კალენდარი და ალბათ, პირველი ჰემატრიული სიტყვაცაა; მაგრამ მთავარი სარწმუნოებრივი მომენტი: წ-ელი, და

მისგან მიღებული „ელი“ წინარექართული უძველესი ღმერთის სახელია, რომელიც სწორედ აქედან გავრცელდა.

მეტი რა თვისება უნდა ჰქონდეს უფლის ენას?!

კითხვას: ხომ არ შეიცავს იოანე-ზოსიმეს ხელნაწერი კიდევ სხვა დამატებით რაიმე დაფარულ ინფორმაციას, ლოგიკურად სრულიად ცხადი პასუხი აქვს: არა, ამაზე მეტი არც მსოფლმხედველობრივად, არც სარწმუნოებრივად მართლმადიდებელ ქართველ კაცს არ შეეძლო ეთქვა!

ან კი რაღაა ამაზე დიდი და მნიშვნელოვანი?!

ბუნებრივია, კვლევის არაერთი მნიშვნელოვანი მომენტი შეზღუდული მოცულობის გამო ვერ მოხვდა ნაშრომში, მაგრამ ვფიქრობთ მოტანილი არგუმენტებიც წარმოდგენას ქმნის გაშიფვრის უტყუარობაზე. დასასრულს მოგვყავს ხელნაწერის გაშიფვრიდან გამომდინარე ორიოდე შედეგი, რომელიც სრულიად ცვლის ჩვენს წარმოდგენას არა მხოლოდ მეათე საუკუნის, არამედ წინარექრისტიანული პერიოდის საქართველოზე. (ფართოდ ამის თაობაზე მოცემულია ავტორის წიგნებში: „მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა“, 2010; „ცის შვილების უამბობელ ამბავთა ისტორია“, 2011; „ყოველი საიდუმლო... ამას ენასა შინა“, 2012.)

შედეგი პირველი: ჰემატრიის არსებობა ქართულში ნიშნავს, რომ მიგნებულია იმ შიფრის გასაღები, კოდისწყარო, რითაც ზოგადსაკაცობრიო უუძველესი სარწმუნოებრივი, საკრალური ინფორმაცია იფარებოდა. იგი პირველადი ფესვია (თეზა ფაქტებით მყარდება ავტორის წიგნში: „ყოველი საიდუმლო... ამას ენასა შინა“), სწორედ ღვთის ამ უდიდეს საიდუმლოზე წერდნენ შუმერული თიხის ფირფიტები. ცოდნა ძველი ქართულის უმთავრეს სარწმუნოებრივ და კალენდარულ ლექსიკაშია მიგნებული. მისი წინარექრისტიანული წარმოშობა კითხვითი ნიშნის ქვეშ ვეღარ დადგება. ისინი შეიქმნა მას მერე, რაც ქართული

ანბანი უკვე შექმნილია და ასოთა რიცხვ-მნიშვნელობები განსაზღვრული. სხვაგვარად ჰემატრიული სიტყვა ვერ იქმნება.

ჰემატრიული რიცხვი 94 შემთხვევითად არ გაჩენილა. იგი დედამიწის ორბიტის სიბრტყის (ეკლიპტიკის) მიმართ მზის წლიური გადაადგილების ჯამია. დედამიწის ღერძის გადაადგილების გამო დროთა განმავლობაში იგი იცვლება. (ზ.სიტჩინი, „კოსმიური კოდი“, 2006; ა.გასვიანი, „სამყაროული მოძრაობა“, 2006). როგორც „წელ“-ი, ისე „წელიწადი“, გარდა იმისა, რომ მზის კალენდრებია (ერთი მოძრაობა, მეორე ე.წ. ქართული) ჰემატრიულად მზის ამოსვლის წერტილის გადახრის კუთხეს იძლევიან (ამაზე ქვემოთ).

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსთვის იმ დროს უკვე კარგად ცნობილმა მეცნიერმა ინგლისელმა სერ ჯოზეფ ნორმან ლოკერმა წამოაყენა იდეა გამოეყენებინათ დედამიწის დახრის კუთხის ცვალებადობა ასტრონომიულად ორიენტირებული უძველესი ობიექტების (სტოუნხენჯი, „გოლანის სტოუნხენჯი“, პირამიდები და ა.შ.) დათარიღებისთვის, რადგან გადახრის მაქსიმალური კუთხის ცვლა ნაგებობათა ორიენტირებას, ხანდახან კი მათ კორექტირებას განსაზღვრავდა. „იგი მიხვდა, რომ მიაგნო არა მხოლოდ ასტრონომიის ფესვებს, არამედ მათემატიკისასაც. არქეოლოგიური ძეგლების ასტრონომიულ ასპექტებში მან უკვე დაინახა წარსულის ინტელექტუალური სამყაროს ზღაპრული გასაღები, რასაც შეეძლო რელიგიის არსი და პირველისტორია გაეხსნა.“ (ვ.ლარიჩევი, „დროის ბორბალი“, 1986). დაწერა კიდევ ნორმან ლოკერმა წიგნი: „ასტრო-არქეოლოგიის გარიჟრაჟზე“.

მზის ამოსვლის წერტილის დადგენაზე დამყარებულმა ამ იდეამ „უდიდეს აღმოჩენათა“ გვერდით დაიკავა ადგილი და უკვე შემდეგ, წარმატებით იქნა გამოყენებული არტურ პოზნანსკისა და როლფ მიულერის მიერ უძველეს საკულტო ნაგებობათა დათარიღებისთვის.

ჰემატრიული ფაქტორი, რომელსაც რიცხვი, ამ შემთხვევაში დახრის კუთხის და მზის წლიურად განვლილი გზის გრადუსული ზომა, სიტყვაში გადააქვს, (რადგან იგი იცვლება დამისი ცვალებადობის „გრაფიკი“ დადგენილია) აჩენს ანბანის, პირველ რიგში კი, კალენდარული ქართული სიტყვების დათარიღების შანსს. იქნებ ახლა „ასტრო-ენათმეცნიერების“ გარიჟრაჟი დგება?! ალბათ ასეა, და სწორედ ეს ცვლის აქამდე არსებულ პირველისტორიას... ასტრო-ენათმეცნიერებად უნდა მივიჩნიოთ ის ცოდნარაც ძველ ქართულში ჰემატრიულად გამოჩნდა. ძნელი შესამჩნევი არაა, რომ ღვთაებრივად მიჩნეულ ასტრონომიულ ობიექტთა (მზის, მთვარის და ა.შ.) უმთავრესი პარამეტრები იზომებოდა და მისი რიცხვი სიტყვის ჰემატრიას ედებოდა საფუძვლად.

ეს გაცილებით მეტია, ვიდრე „სხვათა“ უბრალო ჰემატრია.

ასეთი ფენომენი არ დაფიქსირებულა არცერთ უძველეს ენაში.

ასე შეიქმნა „უფლის ენა“, ქურუმთა ფარული ენა.

მიყვებოთ უფრო დეტალურად. დედამიწის ბრუნვის ღერძის ორბიტის (მზის გარშემო) სიბრტყის პერპენდიკულარული მიმართულებიდან წლიური გადახრა მზის ამოსვლის წერტილის გადაადგილებას იწვევს. დედამიწის ღერძის გადახრა ცვლის ცაზე მზის მოძრაობის სურათს და დიდი ტექნიკური შესაძლებლობების გარეშე, დედამიწიდან მასზე დაკვირვება შესაძლებელია. ამის გამო, მზის ამოსვლის წერტილი მოძრაობს რაღაც (გრადუსის, წრის ნაწილის) დიაპაზონზე, რკალზე და წლის განმავლობაში, ამ სვლაგებს სრულად ორჯერ გადის.

მზის ეკვატორიდან გადახრის მაქსიმალური კუთხე, რკალი ათასწლეულებში მუდმივი არ რჩებოდა. ცნობილია, რომ იგი ცვლადი სიდიდეა, ასტრონომების მიერ მისი ცვლილების „გრაფიკი“ დროში დღეს დადგენილია. თუკი წელიწადში მზებუდობის ორ წერტილს შორის რკალი დროში მუდმივი არ რჩება, იმისდა

მიხედვით, როდის გავზომავთ მას და ჩავიტანთ სიტყვაში, შეგვიძლია შემდეგ დავათარილოთ ამ სიტყვის შემოტანის დრო; ის, თუ როდისაა „გადაღებული ეს სურათი“; ე.ი. როდის იქნა ის სიტყვაში გატანილი.

დღეისთვის ცნობილია გადახრის მთელი სურათი:

ძვ.წ.ად.4000–1000 წლები–მზისწლიური გადახრის დიაპაზონი, დაახლოებით – 48⁰, 1000 – დღემდე – მზის წლიური გადახრის დიაპაზონი, დაახლოებით – 47⁰, მზის წლიურად განვლილი გზა, დაახლოებით 94⁰. მართალია, იმ დროისათვის ასტრონომოსთა პრიმიტიული დამხმარე ვიზუალური საშუალებები გაზომვის დიდ შესაძლებლობებს არ იძლეოდა, მაგრამ სერ ნორმან ლოკერის მეთოდის წარმატებებმა ეჭვიმუტანლად დაგვარწმუნა, რომ ძველი ცივილიზაცია ვერტიკალზე მზის გადახრის დიაპაზონს ნამდვილად ზომავდა.

განვითარების იმ ეტაპზე ბუდობებს შორის მზის გადაადგილება განაპირობებდა დროის ნახევარწლიური პერიოდებით აღრიცხვას. გასაოცარია, რომ ქართულ კალენდარულ სიტყვა „წელი“-შიც ეს ინფორმაცია ნათლად იკითხება, მისი ჰემატრია ზუსტად იმეორებს ძვ. წ.ად. 4000 წლისთვის არსებულ გადახრის დიაპაზონის წლიურ რიცხვს – 48⁰-ს:

წ(31) ე(5) ლ(12) –ი;
31 + 5 + 12 = 48.

ძალიან მაღალი ალბათობით (10⁶) „წელი“-ს ჰემატრია სწორედ ვერტიკალზე მზის გადახრის დიაპაზონის ამსახველია. თუ სიტყვა – „წელი“ ქრისტეშობის შემდეგ შეიქმნებოდა მისი ჰემატრია 48-ზე ნაკლები იქნებოდა, რადგან ცაზე უკვე სხვა რიცხვი „იკითხებოდა“. აქედან გამომდის, რომ მაშინ, როცა მზის მოძრავი კალენდარი, სიტყვა „წელი“ შეიქმნა, ანბანი უკვე შექმნილი იყო. თუ ჩვენი წინაპრები მზის გადახრის კუთხეს სწორად ზომავდნენ, მაშინ ანბანიცა და „წელი“-ც ძვ.წ.ად. 4000 წლის თანადროულია და ეგვიპტელებზე ადრე „იბერიულ-კავკასიურ ცივილიზაციას“, არა მხოლოდ კალენდარული ცოდნა

ჰქონდა, არამედ ანბანიც. ამ პერიოდისთვის ანბანური დამწერლობის ჩანასახებიც კი არ იცის კაცობრიობამ, მაგრამ ჰემატრიული ფაქტები ჯიუტია (!). იგივე სერ ნორმან ლოკერის მეთოდი ეგვიპტურ პირამიდებზე იმიტომაც გამოდგა, რომ ეგვიპტისთვისაც მზის გადახრის დიაპაზონი მნიშვნელოვანი სიდიდე იყო და ეგვიპტელი ქურუმები მას ზომავდნენ; როგორც ახლა აღმოჩნდა, ისინი მარტო არ იყვნენ, მათზე ადრე, ამ ინფორმაციას სხვაც ფლობდა, იგი, ვინაც ის სიტყვიერ კალენდრებში ჩადო.

ძვ.წ.ად. 1000 წელის შემდეგ, მზის ამოსვლის წერტილის გადაადგილება ცაზე უკვე მიახლოებით 47⁰-ს იძლევა, იგი ჩნდება ლაზურში „წელი“-ს შესატყვის „წანა“-ში. მასში კალენდრის რიცხვული მექანიზმი არ არის, სამაგიეროდ მისი ჰემატრია 47-ია:

წ(31) ა(1) ნ(14) ა(1);
31 + 1 + 14 + 1 = 47.

როგორც ჩანს, „წანა“-ც ხმარებაში შემოდის მაშინ, როცა მზის გადახრის რკალი 47⁰ გახდა და ანბანი არსებობს.

მზე ამ გზას წლის განმავლობაში ორჯერ გადის 47 X 2 = 94. ამიტომაც კალენდრის შემქმნელები ახალი კალენდრის შემოტანისას მზის ამოსვლის წერტილის წლიურად განვლილ გზას 94⁰ ითვალისწინებენ, სწორედ ამ რიცხვთან მოჰყავთ შესაბამისობაში „უზუსტესი ქართული კალენდრის“ – „წელიწადი“-ს ჰემატრია:

წ(31) ე(5) ლ(12) ი(10) წ(31) ა(1) დ(4) –ი,
31 + 5 + 12 + 10 + 1 + 4 = 94.

უნდა დავეთანხმოთ იოანე-ზოსიმეს: მართლაც, სასწაულია სიტყვაში გადატანილი მზის კალენდრები, და მისი მწვერვალია „ქართული უზუსტესი კალენდარი“ – „წელიწადი“ („... და სასწაულად ესე აქუს...“).

აქ არა მხოლოდ მზის სიტყვიერი ქართული კალენდრების, არამედ ქართული ანბანის პირველადობა ეჭვსგარეშე დგება(!).

შედეგი მეორე: ჩვენ ვიპოვეთ იგივე,

რასაც იოანე-ზოსიმემ 10 საუკუნის წინ მიაგნო და ხელნაწერში ამოცანად აღწერა. ან იქნებ, მან ეს ინფორმაცია სხვა დაფარული წყაროდან მოიპოვა, თუმცა ეს სულაც არ ცვლის სიტუაციას.

დავსვათ კითხვა: რა იქცა იოანე-ზოსიმესთვის მთავარი არგუმენტად მაშინ, როცა მისთვის ქართული „უფლის ენა“ გახდა?

„ქებაი და დიდებაი“-ს ხელნაწერში გამოყენებული შიფრი „ღვთისმოსაგმა ბერმა“ ბიბლიის გამშიფრავთაგან, ალბათ ბერძნებიდან აიღო და, მისდა გასაოცრად, აღმოაჩინა, რომ სარწმუნოებრივად და კალენდარულად უმნიშვნელოვანესი ქართული ლექსიკის(!) გასაღებიც იგივე გახლავთ; ანუ, წინაპართაგან თქმულს ქართულ სიტყვაში მანაც იგივე გასაღებით მიაგნო. წარმოუდგენელია ამ დროს ფიქრი, ვარაუდი არ გასჩენოდა ქართული ენის შემოქმედის ბიბლიის შემოქმედთან, დამშიფრავთან კონტაქტების თაობაზე. ჰქონდა თუ არა იოანე-ზოსიმეს იქამდე სურვილი წერილი მიეწერა მომავლისთვის, ჩვენ ახლა ვეღარ გავიგებთ, მაგრამ ამ უმნიშვნელოვანესი ფაქტის შემდეგ, ასეთი სურვილის გაჩენა, სავსებით ბუნებრივი ჩანს. ამის შემდეგ იგი თავის ხელნაწერში შიფრის გასაღებს რომ აღარ შეცვლიდა, ისიც ცხადია. ამდენად, თვით ხელნაწერის გაშიფრისას მეტად საინტერესო დებულებამდე, ბუნებრივად მივდივართ და ალბათ, ესეც იყო იოანე-ზოსიმეს ჩანაფიქრი:

ბიბლიის შიფრის გასაღები იბერიელ სწავლულ-ქურუმთა ფარული ენის გასაღებია(!). ვინც იოანე-ზოსიმეს ხელნაწერს გაშიფრავდა ხელთ ძველი ქართულის, ქურუმთა ფარული ენის გასაღები აღმოაჩნდებოდა, ასეც მოხდა – ეს ქართული ჰემატრიაა(!). მისი გამოყენებით იშიფრება ძველი ქართული. იოანე-ზოსიმეს ხელნაწერის გაშიფრა „ამას ენასა შინა ყოველი საიდუმლოს“ მიგნებასაც მოასწავებდა და ამისკენ იოანე-ზოსიმეს ხელნაწერს თანმიმდევრულად მივყავართ.

ძველი ქართული ქურუმთა ფარული ენის ნაშთია(!).

კიდევ ერთხელ დავძენთ, რომ ასეთი ღირებულებისა და მოცულობის ასტრონომიულ-მათემატიკური ინფორმაციის სიტყვაში დაშიფვრაცლება იმ ფარგლებსაც, რასაც ტრადიციული გაგებით ჰემატრიას ეძახიან. ჰემატრია რჩება, როგორც მეთოდი, რომელმაც დაშიფვრა უზრუნველყო. ხოლო გზავნილის ღირებულება გაცილებით მეტია და საკრალური, რადგან ახლებურად წარმოგვიდგენს იმ პერიოდში იბერიულ-კავკასიური ხალხების მსოფლმედეველობრივ-სარწმუნოებრივ თვალსაწიერსა და შესაძლებლობებს.

ოანე-ზოსიმეს ხელნაწერის (დედნის) ანალიზმა, შესაძლებელია, ამის საიდუმლოს ახალი მხარეები კიდევ წარმოაჩინოს; მაგრამ იგი ვერ შეცვლის საერთო სურათს; ისევე როგორც კვლევისას მიგნებული ახალი ფაქტები, ართუ ცვლიდნენ, პირიქით, ამაგრებდნენ და სრულყოფდნენ მას, ტექსტის გახსნის მექანიზმი უცვლელი და მდგრადი რჩებოდა.

უმთავრესი შედეგი:

ქართული სიტყვიერი კალენდრები და ანბანი, იმ პროცესების სრულ ლოგიკურ და მაღალალბათურ სურათს იძლევიან, რაც მზის კალენდარზე ქურუმთა კასტაში ხდებოდა, ხოლო ისტორიოგრაფიაში, მხოლოდ ეგვიპტელ და შუამდინარეთის ქურუმთა საოცარ მიღწევადაა ცნობილი. სავარაუდოდ, ეს პროცესები თავის დროზე იბერიულ-კავკასიურ არეალში დაიწყო, ეგვიპტესა და შუამდინარეთში იგი მხოლოდ შემდგომ გავრცელდა.

ასეთი დასკვნის შემდეგ სრულიად ცხადია, თუ ვის ინტერესში შეიძლება ყოფილიყო ხელნაწერის დამახინჯება.

ახლა, როცა იოანე-ზოსიმეს ხელნაწერი გაიშიფრა, შეიძლება ითქვას:

„მე-19 საუკუნის დასაწყისამდე, იეროგლიფების გაშიფრამდე, თუ ეგვიპტოლოგია თვლემდა თავის ჯადოსნურ იეროგლიფებში“, მაშინ 21-ე საუკუნის დასაწყისამდე, იოანე-ზოსიმეს ხელნაწერის გაშიფრამდე ქართველოლოგია კი არ

თვლემდა, არამედ... ქართველოლოგიას ეძინა, დამარხულ იყო (იოანე-ზოსიმე) ქურუმთა ფარული ენის ჯადოსნურ სიტყვებში.

საერთო დასკვნა:

1. ყველა სხვა ღირსებებთან ერთად, რომელიც იოანე-ზოსიმეს „ქება და დიდება ქართულისა ენისა“-ს აქვს, იგი გვევლინება, იქამდე არსებული და მისგან აღდგენილი ქართული ჰემატრიის (გემატრია) ფუძემდებლურ ძეგლად.

2. ხელნაწერის კულმინაციური სტრიქონი „და სასწაულად ესე აქუს ოთხმეოც და ათოთხმეტი...“ ქართული (უზუსტესი) კალენდრის შიფრია, რომელიც 1980 წელს ენათმეცნიერებმა ანბანში ამოიკითხეს, ახლა იგივე კალენდარი მიკვლეულია უკვე ქართულ სიტყვაში; თანაც აბსოლუტურ იდენტურობასთან, ანბანური და სიტყვისმიერი კალენდრების ყოველმხრივ დამთხვევასთან გვაქვს საქმე; მიგნებულია კალენდარული განვითარების მწყობრი, ლოგიკურად მთლიანი, ლექსიკურად სარწმუნოებრივი გარდატეხის ამსახველი სქემა. იოანე-ზოსიმეს შიფრით 94, ქართული ჰემატრიით, დროის აღრიცხვაში მზის კალენდრის გამოყენების მაჩვენებელია, მისი კუთხური გადახრის რიცხვია.

3. ქართული რწმენისა და ენის საგალობლის – „ქება და დიდება ქართულისა ენისა“ საიდუმლო მექანიზმი, გახსნილია. შიფრის თანხვედრილი და ლოგიკურად ერთიანი სისტემა სრულიად გამორიცხავს სხვა კერძო ამონახსნის არსებობის შესაძლებლობას და არა მარტო ჰემატრიის ჭრილში.

პრაქტიკული შედეგები:

1. იოანე-ზოსიმეს ხელნაწერის შიფრი გემატრიაა (ჰემატრია);

2. ჰემატრია ბიბლიის გაშიფვრის ერთ-ერთი მეთოდია; და ქართული ჰემატრია არსებობს; ე.ი. ქართულ ენაში არსებობს დაშიფრული სიტყვები.

3. იოანე-ზოსიმეს ხელნაწერში დაშიფვრის მეთოდის (ჰემატრიის) არჩევის მიზეზი, ქართული ჰემატრიის კვალზე

გამშიფრავის დაყენება იყო;

4. ქართულში მიგნებულია ასტრონომიული ინფორმაციის მომცველი სიტყვების მთელი სიმრავლე; ძველი ქართულის უმთავრესი სარწმუნოებრივი და მსოფლმხედველობრივი ლექსიკა დღეთს ნებით, გააზრებულად (ხელოვნურად), იმდროინდელი სიბრძნის გათვალისწინებითაა შექმნილი, ე.ი. იოანე-ზოსიმეს ხელნაწერის შიფრის გამოყენებით მიგნებულია ქურუმთა ფარული ენის ნაშთები ქართულში;

5. ქურუმთა ფარული ენა ჰემატრიული ენაა;

6. პირველი ჰემატრიული სიტყვის და ასტრონომიულად არსებული (და დათარიღებული) ცის სურათის ურთიერთშედარება საშუალებას იძლევა განისაზღვროს ქართული ანბანის შექმნის პერიოდი;

8. ხელნაწერის დამშიფრავი იოანე-ზოსიმეა; ხელნაწერი შედევრია დაშიფვრის ხარისხის გათვალისწინებითაც;

9. იოანე-ზოსიმეს ხელნაწერის „ქება და დიდება ქართულისა ენისა“-ს გაშიფვრის შედეგების გათვალისწინებით წინარექრისტიანული საქართველოს ისტორია თავიდანაა გადასაწერი.

დამატება: იოანე-ზოსიმესეული ხელნაწერის ქარაგმებგახსნილი ტექსტი, რომელსაც ტირაჟირება უკეთდება და ეკლესიებში იკითხება, ცხადია არასწორია. ქვემოთ მოგვყავს თავდაპირველი ვარიანტი.

ქება და დიდება

ქართულისა ენისა (ქარაგმებგახსნილი სწორი ტექსტი):

„დამარხულ არს ენა ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად, რაითა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა.

და ესე ენა მძინარე დღესამომდე, და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვიან.

და ახალმან ნინო მოაქცია და ჰელენე დედოფალმან, ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართა.

და მეგობრობა ამისთვის თქვა,

ვითარმედ ყოველი საიდუმლოდ ამას ენასა შინა დამარხულ არს.

და ოთხისა დღისა მკუდარი ამისთვის თქუა დავით წინასწარმეტყველმან,რამეთუ წელი ათასი, ვითარცა ერთი დღედ.


და სახარებასა შინა ქართულსა თავსა ხოლო მათეისა წერილი ზის,რომელ ასოდ არს და იტყვის ყოვლად ოთხ ათასსა მარაგსა.

და ესე არს ოთხი დღეი და ოთხისა დღისა მკუდარი, ამისათვის მის თანვე დაფლული სიკუდილითა ნათლის-ღებითა მისისაჲთა.

და ესე ენად, შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაითა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა უფლისასა.

და სასწაულად ესე აქუს: ოთხმეოც და ათოთხმეტი წელი უმეტეის სხუათა ენათა ქრისტვს მოსვლითგან ვიდრე დღესამომდე.

და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგიტხარ, ასი ესე წელი ანბანისაჲ.



-ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ (არასწორი ტექსტი):

„დამარხულ არს ენად ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მესიისა საწამებლად, რაითა ყოველსა ენასა დმერთმან ამხილოს ამით ენითა.

და ესე ენად მძინარე დღესამომდე, და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვიან.

და ახალმან ნინო მოაქცია და ჰველენე დედოფალმან, ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართაჲ.

და მეგობრობად ამისთვის თქუა, ვითარმედ ყოველი საიდუმლოდ ამას ენასა შინა დამარხულ არს.

და ოთხისა დღისა მკუდარი ამისთვის თქუა დავით წინასწარმეტყველმან,რამეთუ წელი ათასი, ვითარცა ერთი დღედ.

და სახარებასა შინა ქართულსა თავსა ხოლო მათეისა წილი ზის, რომელ ასოდ არს და იტყვის ყოვლად ოთხ ათასსა მარაგსა.

და ესე არს ოთხი დღეი და ოთხისა დღისა მკუდარი, ამისათვის მის თანვე დაფლული სიკუდილითა ნათლის-ღებითა მისისაჲთა.

და ესე ენად, შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაითა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა უფლისასა.

და სასწაულად ესე აქუს: ოთხმეოც და ათოთხმეტი წელი უმეტეის სხუათა ენათა ქრისტვს მოსვლითგან ვიდრე დღესამომდე.

და ესე ყოველი,რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგიტხარ, ესე წელი (წილი) ანბანისაჲ

ჰამლეტ წულაია ზოდიაქოს “ბედუკუღმართობა”



დედამიწა მზის სისტემის პლანეტა და მზის გარშემო ელიფსზე მოძრაობს. ცხადია ვიცით, რომ დღე-ღამე დედამიწის ერთი შემობრუნებაა თავისი წარმოსახვითი ბრუნვის ღერძის გარშემო. დაკვირვებით ისიც ვიცით, რომ დედამიწას ამ ორი ბრუნვითი მოძრაობის გარდა გააჩნია მესამე ბრუნვითი მოძრაობაც, რომელსაც პრეცესია ეწოდება და მისი ხანგრძლივობა დროში დაახლოებით 26000 წელია. ეს უკანასკნელი განპირობებულია იმით, რომ დედამიწის წარმოსახვითი ბრუნვის ღერძის დახრა ციური ეკვატორის მართობულ სიბრტყესთან შეადგენს $23^{\circ}27'8''$. ამ ფაქტის თვალსაჩინოებისთვის შეიძლება მოვიყვანოთ ბზრიალას მაგალითი, როდესაც საკუთარ ბრუნვასთან ერთად ბზრიალას წარმოსახვითი ღერძი ბრუნავს კონუსზესხვაღერძისმიმართ. თუამფაქტსაც

გავითვალისწინებთ, და იგი აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, დედამიწა მკაცრი განსაზღვრით მზის გარშემო ელიფსზე არ მოძრაობს. იგი მოძრაობს რაღაც ჩაკეტილ მრუდზე, რომელიც მზის ერთ მხარეს “ჩაეხვევა”, ხოლო მეორე მხარეს “ამოეხვევა”. დედამიწის მზის მიმართ ამ ორ განაპირა მდებარეობას შორის დრო, წელიწადის ერთიდაიგივე ფიქსირებული მომენტისათვის, ცხადია იქნება 13000 წელი.

ეხლა მოვიყვანოთ ცნობები, რომლებიც უფრო მეტად ასტრონომებისთვის არის ცნობილი და შეეხება დედამიწის მოძრაობის კიდევ სამ პერიოდულად ცვალებად სიდიდეს. პირველი მათგანი არის ზემოთ ანიშნული დედამიწის მზის გარშემო მოძრაობის ორბიტის, ელიფსის ექსცენტრისიტეტის ცვალებადობა. ეს იგივეა რაც ელიფსის დიდი ღერძის მის მცირე ღერძთან ფარდობის ცვალებადობა, რომელსაც დაახლოებით 100000 წელი სჭირდება. შემდგომ, მეორე პერიოდულ სიდიდეს წარმოადგენს დედამიწის ბრუნვის ღერძის დახრის კუთხის ცვლილება დაახლოებით 3° -ის ფარგლებში, რომლის ცვლილების პერიოდია 41000 წელი. და ბოლოს, მესამე-ორბიტალური სიბრტყის ელიფსის ფოკუსების შეცვლა ანუ მზის მონაცვლეობა ელიფსის ერთი ფოკუსიდან მეორეში. ამას კი სჭირდება 23000 წელი. ეს ნიშნავს, რომ დედამიწა დეკემბერში (ზამთრის მზებუდობის დროს) უფრო ახლოსაა მზესთან, ვიდრე ივნისში (ზაფხულის მზებუდობის დროს) და პირიქით.

დედამიწის ყველა ზემოთაღნიშნული პერიოდული მოძრაობები მიახლოებითაა მათი პრაქტიკულად გამოყენების თვალსაზრისიდან გამომდინარე, თუმცა არსებობს ზუსტი ციფრული მონაცემებიც.

მაგალითად დღეღამის ხანგრძლივობა ზუსტად 24 საათი კი არაა, არამედ 23 საათი 58 წუთი და 4.09 წამი. ასევე, წელიწადის ხანგრძლივობა შეადგენს არა 365 დღეს, არამედ 365,2422 დღეს. პრეცესიის ხანგრძლივობა არის 25868 წელი და კიდევ დღეები წუთები და წამები. ასევეა დანარჩენი სამი პერიოდული მოძრაობის შემთხვევაშიც.

ამჟამად ყველასთვის კარგადაა ცნობილი, რომ სამყარო უამრავი გალაქტიკისაგან შედგება. ერთერთი მათგანია ირმის ნახტომი, რომელიც სპირალური განლაგებისაა და მისი ორიონის განშტოებაში იმყოფება სწორედ ჩვენი მზის სისტემა თავისი 8 პლანეტით და მრავალი კოსმოსური სხეულით. აღნიშნული განშტოება და მასთან ერთად მზის სისტემაც ბრუნავს გალაქტიკის ცენტრის გარშემო. ეს ყველაფერი კარგად იციან ასტრონომებმა. იციან ისიც, რომ თუნდაც ასეთ შემთხვევაში აღნიშნული პერიოდული მოძრაობები შინაარსს კარგავს, რადგან პერიოდული მოძრაობა გულისხმობს მოძრაობის პერიოდულ განმეორებას სიბრტყეზე თუ სივრცეში. მზის მოძრაობის გათვალისწინებით კი მზის სისტემის სხეულების მოძრაობა სივრცეში წარმოადგენს სპირალურ ტრაექტორიებს.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მზის სისტემის შემადგენელი პლანეტები ბრუნავენ არა მზის გარშემო, არამედ იმ წერტილის გარშემო, რომელიც მზის ცენტრში არ მდებარეობს, მაშინ როგორც მზე, ასევე მისი სისტემის შემადგენელი სხეულებიც გალაქტიკის ცენტრის მიმართ მოძრაობენ სპირალური ტრაექტორიებით იმ ხაზის მიმართ, რომელზეც დევს მზის სისტემის ბრუნვის წერტილი. საბოლოოდ შეიძლება აღვნიშნოთ, რომ კოპერნიკის ჰელიოცენტრული სისტემა ძალიან კარგი მიახლოებაა რეალობასთან, მაგრამ საჭიროებს გარკვეულ კორექტირებას.

ამ ეტაპზე დედამიწის მოძრაობის ჩვენთვის ცნობილი ეს ასტრონომიული მონაცემები გავიხსენეთ იმისთვის, რომ ხაზი გაგვესვა ცნობილი გარემოებისთვის;

დედამიწა არის უკიდველურად კოსმოსური სივრცის და მასში განლაგებული ციური სხეულების ერთერთი შემადგენელი ნაწილაკი. ამიტომაც, ცხადია ამ სხეულების უშუალო გავლენის შედეგია დედამიწის მოძრაობების პერიოდული ცვლილებები ყველა ზემოთ აღნიშნულ რეჟიმებში. ამ გავლენაში ასევე იგულისხმება დედამიწაზე ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებაში მიმდინარე პროცესების კავშირი გარე სამყაროსთან.

როდესაც საუბარია გარესამყაროს გავლენაზე დედამიწის ბუნებაზე, მის ფლორასა და ფაუნაზე ბუნებრივი და ლოგიკურია პირველ რიგში განვიხილოთ ის ციური სხეულები რომლებიც უფრო ახლოსაა დედამიწასთან. ასეთებია, როგორც ვიცით, მზე, რომლის მიზიდულობის ველშია დედამიწა და მთვარე, რომელიც ყველაზე ახლო პლანეტაა დედამიწასთან და წარმოადგენს მის ერთადერთ თანამგზავრს. მთვარის დაშორება დედამიწიდან 384000 კმ-ია, ხოლო მზის – 149,6 მილიონი კმ. შემდგომია მზის სისტემის სხვა პლანეტები, რომელთაგან ყველაზე შორეულია პლუტონი და მისი დედამიწიდან დაშორება დაახლოებით 6 მილიარდი კმ-ია. უფრო შორს დედამიწიდან განლაგებულია სხვა თანავარსკვლავები და ცდომილები, რომელთა დაშორება სინათლის წლებით გამოიხატება. მაგალითად ჩვენი გალაქტიკის ცენტრი დედამიწიდან დაშორებულია 28000 სინათლის წლით, რაც კილომეტრებში დაახლოებით 44 მილიონჯერ მეტია ვიდრე მანძილი პლუტონამდე.

მზეს მნიშვნელობა აქვს დედამიწისთვის არა მხოლოდ როგორც ციური სხეულისთვის, არამედ იგი წარმოადგენს მისთვის სიცოცხლის, არსებობის და ენერჯის წყაროს. ეს დებულება იმდენად თვალსაჩინოა ყველასათვის, ამაზე შეჩერება ზედმეტად მიმაჩნია.

არანაკლები გავლენა აქვს დედამიწაზე მის ყველაზე ახლო ბუნებრივ თანამგზავრს – მთვარეს მის ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებაზე. ამის საილუსტრაციოდ გამოდ-

გება თუნდაც ასეთი მაგალითი. მთვარის მიერ დედამიწის გარშემოვლის პერიოდი (სიდერული პერიოდი) შეადგენს დაახლოებით 28 დღეს. ისიც ცნობილია, რომ დედამიწიდან დანახული მთვარე ყოველ 7 დღეში იცვლის თავის ფაზას. ამიტომაც სიდერული პერიოდი შეადგენს 4 კვირას. ქალის ფიზიოლოგიური ციკლი შეადგენს 28 დღეს ანუ 4 კვირას. ჩანასახის განვითარება ხასიათება 126 დღით ანუ 18 კვირის პერიოდით. ჩანასახის სიცოცხლისუნარიანობა შეადგენს 210 დღეს ანუ 30 კვირას. მთლიანად ქალის ორსულობის პერიოდი გრძელდება 280 დღე ანუ 40 კვირა. ეს კი შეადგენს მთვარის 10 თვეს. ანალოგიური 280 დღიანი, ანუ 10 მთვარის თვიანი გრძელდება ძროხის "მაკობის" პერიოდიც.


ასევე მზისა და მთვარის გავლენის შედეგია ზღვებისა და ოკეანეების მოქცევა-უკუქცევის პროცესები. მთვარის გამო ხდება დედამიწის ბრუნვის ღერძის ნუტაციის (ზემოთაღნიშნული დახრის კუთხის) პერიოდული, სინუსოიდალური ცვლილებაც დედამიწის პრეცესიის დროს.

თუ რიგითობას დავიცავთ, მაშინ დედამიწაზე გავლენის შემგდომ ეტაპად უნდა მივიჩნიოთ მზის სისტემის პლანეტების მოქმედება. გარდა მათი ცალკეული ზემოქმედებისა, რაც შედარებით ნაკლებად მჟღავნდება, უფრო ნიშანდობლივია და მნიშვნელოვანიც, მზის სისტემის პლანეტების ერთ სწორ აზზე განლაგების თეორიული შესაძლებლობა, რაც პრაქტიკულად არ ხდება. ამ პლანეტების მზის გარშემო ელიფსზე მოძრაობების სხვადასხვა გარემოქცევის პერიოდების გამო, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება რამოდენიმე მათგანის დაახლოებით ერთ სწორ ხაზზე განლაგება. სწორედ ასეთი მომენტებია დაფიქსირებული მრავალ ძველ ხელნაწერებში თუ ლეგენდებში.

თუ ამ გზით გავაგრძელებთ შემდგომ სვლას, უკვე მივადგებით თანავარსკვლავედებს, ანუ ვარსკვლავების გარკვეულ ჯგუფებს. ასეთები, ცის ხილულ სფეროზე არის 88, რომელთაგან

თითოეულს თავისი სახელი აქვს. საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ამ თანავარსკვლავებიდან ჩვენთან ყველაზე ახლოსაა ჰერკულესის თანავარსკვლავედი.

ამჟამად ზემოთაღნიშნული თანავარსკვლავედებიდან ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს ე.წ. "ზოდიაქოს" თანავარსკვლავედები, ანუ ზეცის ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ეკლიპტიკა, რომელსაც გაივლის მზის ხილული მოძრაობა ერთი წლის განმავლობაში. ეკლიპტიკის, ანუ ზოდიაქოს თანავარსკვლავედები, როგორც ვიცით, არის 12. ესენია (იხილეთ ილუსტრაცია): 1. ვერძი, 2. კურო, 3. მარჩბივი, 4. კირჩხიბი, 5. ლომი, 6. ქალწული, 7. სასწორი, 8. ღრიანკალი, 9. მშვილდოსანი, 10. თხის რქა, 11. მერწყული, 12. თევზები. თითოეული მათგანი დაკავშირებულია წელიწადის თვეებთან. იწყება რა ათვლა მარტიდან, მთავრდება თებერვლით. დედამიწიდან დაკვირვებისას მზე თანმიმდევრობით გაივლის ზემოთ ჩამოთვლილ ზოდიაქოს ყველა თანავარსკვლავედს შესაბამის თვეში. ეს ნიშნავს, რომ მზე ერთი თვის განმავლობაში იმყოფება ზოდიაქოს თანავარსკვლავედის იმ კუთხის სექტორში, რომელიც მასზე მოდის. ე.ი. თუ ეკლიპტიკის მთლიანი წრე 360°-ია, მაშინ თითოეულ სექტორზე მოდის 30° კუთხე. მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ზოდიაქოს თანავარსკვლავედები ეკლიპტიკაზე თანაბრად განაწილებულნი არ არიან. კერძოდ, ზოგიერთი მათგანის სექტორული კუთხე 20-30°-ის შუალედშია, მაშინ როდესაც ზოგის სექტორი 40°-ზე მეტია. ამას ალბათ პრინციპული მნიშვნელობა არცა აქვს, რადგან ამ შემთხვევაში ყველაფერი პირობითია. პირობითია თვით მზის ხილული მოძრაობაც ეკლიპტიკაზე. ეს მოძრაობა, რა თქმა უნდა, მოჩვენებითია დედამიწაზე მყოფი დამკვირვებლისათვის, რადგან ერთი წლის განმავლობაში მზე კი არ მოძრაობს თანავარსკვლავედებში, არამედ დედამიწა შემოიბრუნეს ამ თანავარსკვლავედებს იმავე ერთი წლის განმავლობაში.



ჰელიოცენტრული სისტემის დამკვიდრებამდე, ადრე მიღებულ გეოცენტრულ სისტემაში, დედამიწა ითვლებოდა სამყაროს ცენტრად და ასევე თლიდნენ, რომ მის გარშემო ბრუნავდა სხვა პლანეტები, მათ შორის მზეც. მიუხედავად ამისა, მზის ხილულმა მოძრაობამ ეკლიპტიკაზე, გარდა სხვა დადებითი მომენტებისა (მაგალითად სამეურნეო მიზნებით), მეტად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა დროის ათვლის თვალსაზრისითაც. ეს ხილული მოძრაობა მნიშვნელოვანია ამჟამადაც.

იმის დასტურად, რომ მზირად ზოდიაქოს ეს ილუზორული თავისებურებები გვეხმარება სხვადასხვა ამოცანის ამოხსნაში, მოვიყვანოთ მაგალითი ქრისტეს დაბადებასთან დაკავშირებით.

რგორც ცნობილია ქრისტეს დაბადების ზუსტი თარიღი უცნობია. მასზე არსებობს მხოლოდ ვარაუდები, წმინდა წერილებში გამოთქმულ სხვადასხვა არაპირდაპირ მინიშნებებზე დაყრდნობით.

მსოფლიოს ქრისტიანული საზოგადოება ქრისტეს დაბადებას ზეიმობს ყოველწლიურად 25 დეკემბერს. ამ ზეიმის არსებობას საფუძველი ჩაეყარა მე-3 საუკუნის ბოლოს, როდესაც ქრისტიანობა გახდა რომის იმპერიის ოფიციალური რელიგია. წარმართულიდან ქრისტიანულზე გადასასვლელად მიღებული იქნა გადაწყვეტილება ტრადიციების

შესანარჩუნელად შეეცვალათ ზოგიერთი წარმართული პოპულარული ზეიმები ქრისტეანულად. ასე მოხდა ქრისტეს დაბადების დღესთან დაკავშირებითაც, რადგან 25 დეკემბერს რომაელები ზეიმობდნენ მზის წარმართული ღმერთის დაბადების დღეს და იგი ასევე ემთხვეოდა წელიწადის ახალი ციკლის განახლებას ზამთრის მზებუდობის შემდეგ.

ამ თარიღიდან გამომდინარე ქრისტეს ჰოროსკოპის ნიშანია თხის რქა, რომლის შუალედია 22 დეკემბრიდან 20 იანვრამდე. 2000 წლის წინ, ქრისტეს დაბადების დღეს, უნდა ვიგულისხმოთ, რომ წელთაღრიცხვა ძველი სტილის შესაბამისი იყო. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ის წელთაღრიცხვა, რომელსაც ამჟამად ვიყენებთ და ქრისტეშობასთანაა დაკავშირებული, ამავე წელთაღრიცხვის 532 წელს შემოვიდა და უკუქმედებით გავრცელდა იმ ქვეყნებში, რომლებშიც იგი ამჟამადაა მიღებული, ისიც სხვადასხვა დროს. ამდენად, მოცემულ შუალედში შესწორებას (13 დღის გამოკლებას) გადავყავართ სხვა ზოდიაქოს ნიშანში, კერძოდ მშვილდოსანში, რომლის შუალედი არის 23 ნოემბრიდან 21 დეკემბრამდე. გამოდის, რომ ქრისტეს ზოდიაქოს ნიშანი ყოფილა მშვილდოსანი, რაც მცდარია, რადგან აუცილებლად გათვლისწინებული უნდა იქნას დედამიწის პრეცესია. პრეცესიის გამო ზოდიაქოც ბრუნავს და ერთი ნიშნით შეცვლას (იგულისხმება წელიწადის ერთი-დაიგივე დროს) დაახლოებით 2150 წელი ესაჭიროება. აქედან გამომდინარე ქრისტეს ნიშანი მაშინც იყო და ეხლაც არის თხის რქა.

ვნახოთ რას გვეუბნება ბიბლია ქრისტეს დაბადების შესახებ. ახალი აღთქმის ლუკას სახარებიდან მე-2 თავის მე-7 მუხლში ვკითხულობთ: “და შობა მე თავისი პირმშო, ჩვრებში შეახვია და ბაგაში ჩააწვინა; ვინაიდან ფუნდუკში ადგილი არ იყო მათთვის” და იქვე მე-12 მუხლში “და აი თქვენი ნიშანი; იპოვით ყრმას შეხვეულს და მწოლარეს ბაგაში” ეუბნება ანგელოზი მწყემსებს.

მათეს სახარება კი ქრისტეს დაბადებას მოგვთა პირით გვამცნობს, რომლებიც მოვიდნენ აღმოსავლეთით და მისი ვარსკვლავი იხილეს ასევე აღმოსავლეთში. გაუგებარია აღმოსავლეთით მოსულთათვის აღმოსავლეთში ვარსკვლავის ხილვა, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ტექსტის მიხედვით ეს ვარსკვლავი წინ მოუძლოდა მათ.

მოვიშველიოთ ასტროლოგია და მოყვანილ ტექსტებში ავხსნათ ზოგიერთი უხერხული მომენტები.

ზოდიაქოს ნიშანი თხის რქა გულისხმობს მზის, დედამიწიდან ხილულ მდებარეობას თხის რქის თანავარსკვლავედში დღისით. იმავე ღამეს კი ცაზე გამოჩნდება მისი დიამეტრალურად საპირისპირო თანავარსკვლავედი ზოდიაქოს წრიდან – კირჩხიბი. კირჩხიბის თანავარსკვლავეთში შედის ორი სხვადასხვა ზომის ვარსკვლავი “დიდი და მცირე ჩოჩორების” სახელწოდებით. ამ ორ ვარსკვლავს შორის კი არის გაბნეული ვარსკვლავების გროვა “ზაგას” სახელწოდებით. თუ აღნიშნული სახარებებიდან ქრისტეს დაბადებასთან დაკავშირებულ ტექსტებს გავანალიზებთ, დავრწმუნდებით, რომ მოქმედება ორივე შემთხვევაში ხდება ღამით, როდესაც მოჩანს სწორედ “ზაგას» ვარსკვლავები. მოგვთასვლა დღისით ამ შემთხვევაში, ცხადია, იქნებოდა დასავლეთის მიმართულებით. არც მცირე და დიდი ჩოჩორის ვარსკვლავებია დავიწყებული ბიბლიაში. მათეს სახარების 21-ე თავის მე-7 მუხლში ვკითხულობთ: “მოჰგვარეს ვირი და ჩოჩორი, ზედ დააფინეს თავიანთი სამოსელი, და შეჰდა მათზე”. გასაკვირი არაა ის, რომ ბიბლიაში მრავალი ფაქტი დაშიფრული სახითაა მოცემული. გაკვირვებას იწვევს ის თუ რატომ არის ფრესკებში გამოსახული იერუსალიმში შემავალი ქრისტე ერთ ვირზე (ან ჩოჩორზე) შემჯდარი, როდესაც ტექსტში ცალსახად წერია “შეჰდა მათზე”.

ადამიანის მიერ მზის ეკლიპტიკაზე მოჩვენებითი მოძრაობის სხვადასხვა


დანიშნულებით გამოყენება სათავეს იღებს რამოდენიმე ათასწლეულის მიღმა. ოდითგანვე ითვლებოდა და ამჟამადაც იგი ძალაშია, რომ ზოდიაქოს თანავარსკვლავედებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ დედამიწაზე არსებულ მოვლენებზე. მათი გავლენა ადამიანებზე განსაკუთრებულ ასახვას პოულობს ჰოროსკოპებში, სადაც ადამიანის ხასიათს, მის ნიშან-თვისებებს, მის ბედს და ა.შ. უკავშირებენ სწორედ ზოდიაქოს თანავარსკვლავედებს. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით ადამიანის დაბადების დღის შესაბამისი დროის მომენტში, თუ რომელ თანავარსკვლავედში იმყოფებოდა მზე. ზემოთ მოყვანილ მასალაში შევეცადეთ დაახლოებით წარმოგვედგინა პლანეტების პრიორიტეტული გავლენა დედამიწაზე და მასზე მცხოვრებ ადამიანზეც, როგორც კოსმოსის შემადგენელ მცირე ნაწილაკზე. თუ ზოდიაქოს თანავარსკვლავედებს, ამ ძალზე შორეულ ციურ სხეულებს, მაინც აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა ადამიანის ფიზიკურ თუ სულიერ ჩამოყალიბებაზე, ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობი კანონებით, მაშინ საჭირო იქნება შევიტანოთ გარკვეული კორექტივები ადამიანის თანდაყოლილი ბედის ჰოროსკოპებით განსაზღვრაში.

სახელდობრ, თუ ადამიანის დაბადების დღეს მზე, რა თქმა უნდა დღისით, იმყოფებოდა რომელიმე თანავარსკვლავედში, მაგალითად, ღრიანკალში და ამ ნიშნის მიხედვით ყალიბდება მისი ფიზიკური და ინტელექტუალური თვისებები, მაშინ იგივე ლოგიკით აღნიშნული თვისებების ჩამოყალიბებაზე არანაკლები გავლენა ექნება იმ თანავარსკვლავედს, რომელიც მის დიამეტრალურად საწინააღმდეგო მხარესაა განლაგებული, მაგალითად კურო, და რომელიც ცაზე გამოჩნდება იმავე დღის მომდევნო ღამეს. ყოველ შემთხვევაში ეს უკანასკნელი (იხილეთ ილუსტრაცია) 300 მილიონი კილომეტრით უფრო ახლოსაა დედამიწასთან ვიდრე პირველი.

კიდევ ერთი “უხერხული” თვისება გააჩნია ზოდიაქოს, რომელიც ვფიქრობ ასევე განმარტებას საჭიროებს. როგორც აღვნიშნეთ ზოდიაქოს თანავარსკვლავები არათანაბრადაა განაწილებული ცარგვალზე. მაგრამ მათი შესაბამისი “ბედის” განმსაზღვრელი პერიოდები საკმაოდ ზუსტად მიყვება წელიწადის თვეებს. ეს შეუსაბამობა გარკვეულ უხერხულობებს იწვევს. მაგალითად, საჭიროა განისაზღვროს თუ რა ბედი ელის ადამიანებს რომლებიც დაიბადნენ 13 ივლისიდან 22 ივლისამდე, რადგან ეს პერიოდი ითვლება კირჩხიბის პერიოდად, სინამდვილეში კი ლომისაა (შესაბამისი ასტრონომიული სექტორებია: კირჩხიბის - 23°, ლომის - 46°). უფრო მცირე, მაგრამ ასეთივე გარდამავალი სექტორებია


ზოდიაქოს ყველა უბანზე. გასარკვევია მათი ბედიც.

ხასიათის თუ სხვა ნიშნების განსაზღვრისას, გარდა ზოდიაქოს ვარსკვლავებისა, ასტროლოგიაში გამოიყენება აგრეთვე სხვადასხვა რთული გამოთვლები, მფარველი, თუმცა რთველი პლანეტები, მათი განლაგება და ა.შ. მაგრამ ასტროლოგებისთვის ძირითად საბაზო არგუმენტს წარმოადგენენ სწორედ ზოდიაქოს თანავარსკვლავები. ამიტომ თუ მაინც ჯიუტად გვჯერა ჰოროსკოპების, მოდით შემოვებრუნოთ ბედის თანავარსკვლავედი უკუღმა 180°-ით და შევამოწმოთ ემთხვევა თუ არა ახლად განსაზღვრული, შეცვლილი ბედით მონაცემები, ჩვენი ხასიათის ნიშნებს. ვცადოთ!



ანზორ ფეიქრიშვილი

მზის კალენდრები ქართული და
მისი სარწმუნოებრივი ასპექტები



მზის რამდენიმე კალენდარია ცნობილი: მზის მოძრავი, მზის უძრავი და მზის ქართული (უზუსტესი, უნიკალური) კალენდარი. მზის მოძრავი კალენდარი 12 ოცდაათდღიან თვეს მოიცავს, ამიტომ მისი ცდომილება დიდია, სულ მცირე ერთი დღე ყოველ ოთხწლედში. მზის უძრავი კალენდარი ამ ნაკლს ასწორებს, მას ოთხწლედში ერთი წელი დღემეტი, ნაკიანი წელი აქვს, მაგრამ მისი ცდომილებაც არაა ცოტა (დაახლოებით 12 წუთი წელში). სიზუსტით მათგან მზის ქართული კალენდარი გამოირჩევა. მისი ცდომა სულ ერთი წამია ტროპიკულ წელიწადთან მიმართებაში. ამ უკანასკნელს ჯერ კიდევ 34 წლის წინ, გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ქართულ ანბანში მიაკვლია და ამოიცნო ბ-ნმა რამაზ პატარიძემ (იხ. „ქართული ასომთავრული“, 1980 წ.). იგივე კალენდარი დაფიქსირდა ქართულ სიტყვაში (ა. ცინცაძე, „მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა“, 2013 წ.). როგორც ბ-ნ ა. ცინცაძის კვლევიდან გა-

მოჩნდა მზის კალენდრებს მზე ღმერთთან, მისი წასვლა-მოსვლის რიტუალთან აიგივებდნენ მისი შემქმნელი ხალხები. უფრო მეტიც, ამ კვლევიდან ჩანს, რომ ყველა ამ კალენდარს ერთი და იგივე შემოქმედი ჰყავს და მათი სიზუსტე მხოლოდ მზე ღმერთის საიდუმლოსთან ზიარების მაჩვენებლად იყო. მისი დაზუსტება რელიგიურ კატაკლიზმებსა და ცვლილებებს იწვევდა. ასე იყო ეგვიპტეში, მცირე აზიასა და როგორც ჩანს, იბერიულ-კავკასიურ არეალშიც (კოლხეთში, კავკასიის მთიანეთში). სიტყვაში ქართული კალენდრი აღმოჩნდა იოანე-ზოსიმეს ხელნაწერის – „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“-ს ამონახსნით (იხ. იგივე ავტორი). ბუნებრივია, ქართულ ენასა და მის ანბანში გაცხადებული ჭეშმარიტების მიკვლევა მხოლოდ ქართული მეცნიერების ამოცანაა. უცხოტომელი ქართულ ენასა და მისი ანბანის ჭეშმარიტ არსში იმგვარად ვერ გაერკვევ-ჩაეძიება, რომ ასეთი დონის კვლევა განახორციელოს.

დღე-ღამისა და ტროპიკული წლის სიდიდეების არათანაზომადობის პირობებში, კალენდრის ამოცანაა სრულ დღეებში განსაზღვრული წელიწადის ხანგრძლივობა მაქსიმალურად შეესაბამებოდეს ტროპიკული წელიწადის ხანგრძლივობას, რაც უნდა განაპირობოს წინასწარ განსაზღვრულ წლებში განხორციელებულმა კორექციებმა. ასეთი უნიკალურად სრულყოფილი კალენდარი ჩვენი წინაპრების მიერ შექმნილია შორეულ, ქრისტეშობამდე პერიოდში და ის დაფარულ-ჩაშენებულია ქართულ ასომთავრულ ანბანში.

რომლის ავტორთა იბერიულ-კავკასიურ სივრცეში მოღვაწე ქურუმების ნამოღვაწარის კვალი დღემდე მიკვლეუ-

ლი არ არის და არც მომავალშია მოსალოდნელი. მათ, ყოველისმომცველი ცოდნა ნამოდგაწარი დაშიფრულად განათავსეს ქართულ ენასა და ანბანში.

დღეისათვის მოქმედი ე.წ. გრიგორიანული მზის უძრავი წლის კალენდრი ყოველ 4 წლიან ციკლში სამს ანგარიშობს 365 დღეს, ხოლო მეოთხეს ნაკიანს 366 დღეს, ანუ ყოველ 4 წელიწადში ანგარიშობს 1461 დღეს. სახელმძღვანელოდ მიღებული ტროპიკული წლის ხანგრძლივობის – 365.2422 დღის გათვალისწინებით ყოველ 4 წელიწადში კალენდარი 44.928 წუთით მეტს ითვლის. რაც განვიღო 32 ოთხწლიანი ციკლების მქონე 128 წელიწადის $(44.928 * 32 = 1437,696)$ შემდეგ ეს მეტობა ერთ დღეს შეადგენს (მცირედი სხვაობით). ეს იმაზე მიუთითებს, რომ კალენდარსა და ტროპიკული წლის ხანგრძლივობას შორის წარმოშობილი სხვაობა ყოველ განვიღო 32 ოთხწლიან ციკლზე ნაკიანად უნდა ვიანგარიშოთ 31, ხოლო 32-ე ნაკიანის გარეშე. ამაზე მიუთითებს ასომთავრული რიგითობის ასობგერათა სახელწოდებებიც. კერძოდ, რიგით 31 წილ ასობგერის სახელწოდება „წილ“ მიგვანიშნებს იმაზე, რომ 32 ოთხწლიან ციკლს ნაკიანი წლით წარმოშობილი 32 დღის ნაცვლად, 31 დღე-წილი ეკუთვნის $[(365 * 128) + 31] = 46751$, ხოლო 32 რიგით ანბანში ასობგერა „ჭარ“ ჭარბია და ის ნაკიანად არ უნდა ვიანგარიშოთ. ასეთი უნიკალური კალენდარია განხორციელებული ქართულ ანბანში, სადაც თვით ასობგერების სახელწოდება მიგვანიშნებს მოქმედებაზე. 128 წელში 32 ოთხწლიანის არსებობა უკვე თავისთავად ყურადღების საგნად აქცევდა ანბანის 32-ე ასოს, და როგორც ვნახავთ, ასეთი ინფორმაცია მასში რეალურად არის კიდევ.

ქრისტეს შობის შემდგომ პერიოდში კაცობრიობამ არ იცოდა რა ტროპიკული წლის ხანგრძლივობის ზუსტი დრო, ასევე დღემდე არ იცის 128-წლიანი ციკლისა და კალენდრის მეორე კორექციის შესახებ. 4 წლიან ციკლით მზის უძრავი წლის კალენდრით ათვლილმა დრომ დროთა

განმავლობაში ტროპიკული წლის ხანგრძლივობას იმდენად წინ გაუსწრო, რომ დღე-ღამის ტოლობის ე.წ. „ბუნიაობა“-ს დაუმთხვეველობა თვალშისაცემი გახდა, რამაც მე-16 საუკუნეში წარმოიშვა კალენდრის რეფორმის აუცილებლობა. ეს რეფორმა განხორციელდა კათოლიკური ეკლესიის ინიციატივით, კერძოდ: 1582 წელს აღნიშნული „ბუნიაობის“ დღის გათვალისწინებით, კალენდარი 13 დღით უკან იქნა დაწეული და ის, მეტ-ნაკლებად მიუახლოვდა ბუნებრივს. მოყოლებული ამ პერიოდიდან, საერო ცხოვრებაში დროის ათვლა დამკვიდრდა რეფორმირებული კალენდრის გათვალისწინებით, და ეს ათვლა „ახალ სტილად“ იწოდება. ამ რეფორმის დროს ტროპიკული წლის ხანგრძლივობად მიღებული იყო 365.2425 დღე, 365 დღე, 5 საათი, 49 წუთი და 12 წამი. ამის გათვალისწინებით დადგინდა, რომ ყოველი მომდევნო 400 წლის შემდეგ მექანიკურად მომხდარიყო კალენდრის 3 დღით უკან დაწევა.

მიუხედავად იმისა, რომ 1582 წლის რეფორმიდან 432 წელია გასული, კალენდრის 3 დღით უკან დაწევა არ განხორციელებულა. საბოლოოდ დაზუსტდა და განისაზღვრა ტროპიკული წელიწადის ხანგრძლივობა 365.2422 დღე, რაც 25.92 წამით ნაკლებია 1582 წელს განსაზღვრული ტროპიკული წლის ხანგრძლივობაზე. ამასთან, თუ ყოველი 400 წლის გასვლის შემდეგ კალენდრის მექანიკურად 3 დღით უკან დაწევა მოხდება, ეს განაპირობებს დროის ათვლას „ახალ-ახალი“ სტილით, რაც არაერთ უხერხულობას წარმოშობს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შედარებით უფრო სრულყოფილი კალენდრის შექმნამდე (რაზეც კონკურსიც კია გამოაცხადებული) კალენდარში მექანიკურად მორიგი კორექტივის შეტანა დღემდე არ მომხდარა, რაც თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი კორექტირების აუცილებლობა არ ღვას. ეს აუცილებლობა გარდაუვალია და, მოგვწონს თუ არა, ასეთი კორექტირება უნდა განხორციელდეს, თუ არ გვინდა, შორეულ მომავალში ჩვენმა შთამომავ-

ლობამ ახალი წლის დადგომა გაზაფხულზე აღნიშნოს. კალენდარში შესაბამისი კორექტირების შეტანის გარეშე ქრისტეშობიდან 4000 წელს ძველი სტილით ახალ წელს 1 თებერვალს აღნიშნავენ, კიდევ ერთი ამდენის გასვლის შემდეგ 5 მარტს და ა.შ.

რამაზ პატარიძის მიერ ქართულ ანბანში განხორციელებულ მზის უძრავი წლის კალენდრის მიკვლევა უზრუნველყო ლტოლვამ ჩაწვდომოდა იოანე ზოსიმეს „ქებად და დიდებად ქართულისა ენისა“ შეფარულ აზრს.

ძველ ქართულში დასაშიფრად გამოყენებული ჰემატრიის მიგნებით იოანე ზოსიმეს თხზულების გაშიფვრის შედეგად ბ-მა ალიკო ცინცაძემ სრულად დაადასტურა ბატონ რამაზ პატარიძის მიკვლევა ქართულ ანბანში განხორციელებული მზის უძრავი წლის კალენდრის შესახებ (იხ. „მოელის დღესა მას მეორედ მოსვლისა“), და უფრო მეტიც, იგი ენაშიც აღმოჩნდა დაფარული. ამ კვლევების საფუძველზე მაღალი საიმედოობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მზის კალენდრების დაფარული არსებობა ქართულ ანბანსა და განსაკუთრებით ლექსიკაში მისი შემოქმედი ხალხის მისამართს განსაზღვრავს, ეს წინარექრისტიანული პერიოდის საქართველოა.

„ქებად“-ს შექმნის მიზანდანიშნულება, იყო და არის ქართულ ენასა და ანბანის ჭეშმარიტ სიდიადეზე ქართველში წარმოშვას რწმენა და მასში ჩასაწვდომად მუდმივი ლტოლვა მანამ, სანამ სრულად მიგნებული არ იქნება ავტორის მიერ ამ თხზულებაში ჩადებული დედო აზრი.

ბატონი რამაზ პატარიძე აღნიშნავს: „ქებად ქართულისა ენისად“ ძველი ქართული მწერლობის ღირსშესანიშნავი ძეგლია. ეს თხზულება შემონახულია X საუკუნის ქართულ ხელნაწერებში, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი შექმნილია უფრო ადრე და შედარებით ძველი წარმოშობის უნდა იყოს. თხზულების ავტორი ქართული ანბანის ასო „წილ“-ს რაღაც საიდუმლო მნიშვნელობას ანიჭებს. ტექსტის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ვიფიქროთ,

რომ კავშირი ქართული ანბანის ასო „წილ“-სა და ქართულ წელთაღრიცხვასა თუ კალენდარს შორის მართლაც არის. „სამწუხაროდ, თხზულებაში „წილ“-ის საიდუმლო რაობის მნიშვნელობა ჯერ ამოცნობილი არ არის“, „წილ“-ის რაობის ამოცნობას კი ტექსტის გაგებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ავტორი თხზულებას „წილ“-ზე მითითებით ამთავრებს.“ ამ საკითხის გადაწყვეტის განსხვავებული პლასტები ჯერ აკ. ბაქრაძისა და შემდეგ ზემოსენებულ (ა.ცინცაძე) ნაშრომში გამოჩნდა. რ. პატარიძე ასკვნის: „რიგით და ანბანური სათვალავით ასო „წილ“-ს საიდუმლო ფორმულა 3+1=4. მზის უძრავი წელიწადის ქართული წარმართული კალენდრით, ყოველ ოთხწლეულის სამი წელიწადი უნაკოა, ხოლო ერთი წელიწადი ნაკიანი“. „ქართულ ანბანით წრეწირის სიგრძე მის დიამეტრი 3.14 წილის ტოლია. ქართული ასომთავრული ანბანის გრაფიკულ-გეომეტრიული რაობა წრეწირია“.

თხზულებაში „ქებად და დიდებად ქართულისა ენისად“ სიტყავ ენა თანმიმდევრობით რვაჯერ მეორდება

ენად-ენისა
ენითა
ენად-ენითა
ენისა
ენად-ენათა

თხზულებაში ჩაფარულად ჩადებულ აზრს ბოლო ორი ამხელს „ენად-ენათა“ რაც იგივეა ენათა-ენა, ენათა საწყისი დედაენა, ნათების, ნათელის მომფენი ენა „ვითარმედ ყოველი საიდუმლო ამასა ენასა შინა დამარხულ არს“ „და ესე ენად, მდაბალი და დაწუნებული მოელის დღესა მას მეორედ მოსვლისა უფლისასა“

ის, რომ ენა ქართულის დამდაბლება-დაწუნება, ისევე როგორც არსებულის შეუთავსებლად მიღება (ყოფილის უარყოფა) თვით ქართველთა მიერ, საქართველოში არ მოხდებოდა, ალბათ სადავო არ

უნდა იყოს. ასე რომ მომხდარიყო, „ქებაღ“ აღარ შეიქმნებოდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ენა ქართულის დამდაბლება-დაწუნება, ყოფილის უარყოფა არა ქართველთა მიერ, ქვეყნის შიგნით, არამედ ქვეყნის გარეთ, სხვა ერების მიერ მომხდარა.

ენა ქართული ვინ, სად და როდის დაიწუნ-დაამდაბლა, რა გარემოებაში, რა გამოხატულებით, რა მიმართულებით? ერთა შორის, რომელ და რა სახის შეხვედრა-შეკრებაზე, სადაც ენა-ქართულის სიაგვარგის განხილვა, შეფასება მოხდა და ის დაიწუნ-დაამდაბლეს, იმ დონეზე, რომ ქართულ ენაში და ანბანში ჩადებული „ყოველი(ყოველის მომცველი) საიდუმლო“ სამარადჟამო დავიწყებას რომ არ მისცემოდა წარმოიშვა „ქება“-ს შექმნის აუცილებელი პირობები. ვთვლი, რომ ეს უკავშირდება 325 წელს მოწვეულ „ნიკეის“ სახელით ცნობილ ქრისტეს მიმდევართა პირველ საეკლესიო კრების გადაწყვეტილებებს.

მზის კალენდრების სარწმუნოებრივ მნიშვნელობა, კალენდარმცოდნეობა, სარწმუნოებრივი ბრძოლის ასპარეზი რომ იყო, ცხადად დასტურდება ისევე მზის კალენდართან, მის სიზუსტესთან დაკავშირებული მოვლენებში, რაც ეგვიპტესა თუ წინა აზიაში განვითარდა ძველი წ.აღ. მეორე-პირველ ათასწლეულებში. როგორც ჩანს, ეს პროცესები ქრისტეშობის შემდეგაც გაგრძელდა. „ნიკეის“ სახელით ცნობილი პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ დაკანონდა ე.წ. „იოლიანური“ კალენდარი. კალენდრის საკითხის განხილვისას, გამორიცხულია, ქართველთა დელეგაციას არ შეეთავაზებინა ცხოვრებაში დაენერგათ ის უნიკალური მზის უძრავი კალენდარი, რომელიც განხორციელებულია ქართულ ანბანსა და სიტყვაში და სემანტიკურად გვეუბნება – „(წ)ელი წადი“ (იხ. ა. ცინცაძე, „მოქალის დღესა მას მეორედ მოსვლასა“, 2010). ღმერთ „ელი“-ს დრო დასრულდა, მოდის ახალი ეპოქა, იესო ქრისტეს ეპოქა. უნდა ვივარაუდოთ, რომ წინადადება უარყოფილი იქნებოდა, არა მხოლოდ იმ მიზეზით,

რომ ის შექმნილი იყო წარმართულ პერიოდში, ყოველივე წარმართული კი სრულიად მიუღებელი იყო და არის ქრისტიანული სამყაროსთვის; მთავარი სხვაა – იმდროინდელი ქრისტეს მიმდევარი რჩეული მსოფლიო მასშტაბით სასულიერო პირებისთვის ქართველებს უნდა დაემტკიცებინათ, რომ მათი დასკვნით, დედამიწა მრგვალია, მზის გარშემო ბრუნავს და ერთჯერად შემოვლას 365 დღეს, 5 საათს, 48 წუთსა და 45 წამს ანდომებს (ან დღე-ღამის ამდენივე ნაწილს 365,2421875). ჯორდანო ბრუნო ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრების ჩატარებიდან 1400 წლის შემდეგ, ქრისტეშობიდან მე-17 საუკუნეში დაწვეს კოცონზე, იმისთვის რომ გაბედა და ამტკიცებდა, დედამიწა მრგვალია და ის მზის გარშემო ბრუნავსო.

„ქებაი“-ში არაპირდაპირ არაერთი მინიშნებაა იმაზე, რომ ქართული ენის დამარხვა („დამარხულ არს..“) დამდაბლება-დაწუნება უშუალოდ უკავშირდება ქრისტეს მოვლინების თარიღს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია გამოვთქვათ ვარაუდი, რომ „ქებაი“-ს შექმნა პირდაპირი შედეგია „ნიკეი“-ს სახელით ცნობილ პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მიღებულ გადაწყვეტილებებთან – ამ დროს იქნა უარყოფილი ის ჭეშმარიტებები, რაც ქართულში განხორციელებულ მზის კალენდრებშია დაფარული. ფაქტობრივად, იმ დროს უმაღლეს ღვთიურთან ზიარებულ ჭეშმარიტებებზე ითქვა უარი, მაგრამ დღეს იგი ვეღარ დაიმალება... სწორედ ამაზე მიგვითითებენ ბოლო პერიოდში ქართულ ანბანსა და ენაში გაშიფვრვით მიღებული შედეგები.

ზემოთჩამოთვლილ უაღრესად დიდი ფასეულობების მქონე აღმოჩენებს (რ. პატარიძე, ა. ცინცაძე) თვით ქართულ მეცნიერებაში ის რეზონანსი არ გამოუწვევია, რასაც იმსახურებდა. მთავარი აქ ისაა, რომ არ არის გაცნობიერებული უმთავრესი – ქართულ ანბანში და ლექსიკაში განხორციელებული ასეთი უნაკლო-უნიკალური მზის უძრავი წლის კალ-

ენდარი ვერ შეიქმნება, თუ შემქმნელმა არ იცის ის უდიდესი საიდუმლოება, რაც უკავშირდება დღეებში გამოხატულ ტროპიკული წლის ხანგრძლივობას. აქედან გამომდინარე, იბადება კითხვა: ჩვენმა წინაპარმა ქურუმებმა ქრისტესწობამდე ათეული საუკუნეებით ადრე როგორ გამოთვალეს და საიდან გაიგეს ეს საიდუმლოება? ჰქონდათ კი დროის ათვლის ისეთი მექანიზმი, რომელიც დროს წუთებში და წამებში საზღვრავდა და მრავალი სხვა. ასეთი სახის კალენდარი სახეზეა და აქედან გამომდინარე, ის საიდუმლოება, რაც უკავშირდება ტროპიკული წლის ხანგრძლივობას, მათთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო და ეს იკითხება თვით კალენდარში. ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ რიცხვები: „31“ და „32“ მაგიური „წილი“-სა და „ჭარ“ ასობგერის რიგითი სათვალავი. მათი შეფარდება უნდა ასახავდეს იმ პროპორციას, რაც მზის უძრავი კალენდრის კორექციონისთვის არის საჭირო. სხვაგვარად 32-ის ნაცვლად 31 ოთხწლელი ვერ გვექნებოდა. აქედან გამომდინარე, 31 „წილ“-იც და 32 „ჭარ“-იც ოთხწლიან ციკლებს უკავშირდება. ამ ასობგერების სახელწოდება თავისთავად მიუთითებს იმაზე, რომ პირველი „31“ რაღაცის მიმართ წილი კუთვნილია, ხოლო მეორე „32“ ამ რაღაცის მიმართ ჭარბია, მეტია. ამ შემთხვევაში მათმა შეფარდებაში (31 : 32) უნდა გაამჟღავნოს ერთის მხრივ რამდენია წილი და მეორეს მხრივ რამდენით არის ჭარბი. 32-ტი ერთით მეტია 31-ზე. მათი შეფარდება კი გვაძლევს $31:32=0.96875$, მათი შეფარდების ნაყოფი გვამცნობს იმას, რომ ყოველ 4 წელიწადში 365 დღის ზევით ზემოაღნიშნული იმ ერთის მეტობის წილად უნდა ვიანგარიშოთ 0.96875 დღე, ხოლო ჭარბად $1-0.96875=0.03125$ დღე, რაც ყოველ 32 ოთხწლიან ციკლში ეს ჭარბი შეადგენს ერთ დღეს $1:0.03125=32$. რაც იგივეა, კალენდარი ყოველ ოთხ წელში ანგარიშობს 1461 დღეს. 31 და 32 შეფარდების ნაყოფი გვამცნობს, რომ ის უნდა ვიანგარიშოთ როგორც 1460.96875 დღე ანუ კალენდარი


ყოველ ოთხწელში 0.03125 დღეს მეტს ანგარიშობს. გამომდინარე $32*4=128$. 32-ისა და 128-ის შეფარდება გვაძლევს $32:128=0.25$ ანუ 365 დღის ზევით რაც მზის მოძრავი კალენდრით არის მიღებული და ანგარიშობს $365+0.25$. ხოლო 31 ისა და 128-ის შეფარდება გვაძლევს $31:128=0.2421875$, რაც იგივეა $(31:32):4=0.2421875$ და ასევე იგივეა $(0.25*31):32=0.2421875$. აღნიშნულით გამჟღავნდა ის ნაშთი, რასაც ტროპიკული წელი შეიცავს 365 დღის ზევით $365+0.2421875=365.2421875$ დღე. „დღე-ღამე ითვლის 24 უამსა $(31*24):32=23.25$ საათს აღნიშნულის თანახმად ყოველ 4 წელიწადში ტროპიკული წელი ანგარიშობს $(365*4=1460)$ 1460 დღესა და 23.25 საათს, კალენდართან შედარებით 0.75 საათით ანუ 45 წუთით ნაკლებს, რაც კალენდარულ 32 ოთხწლიან ციკლში ეს მეტობა ერთ დღის, ანუ $0.75*32=24$ საათს $45*32=1440$ წუთის ტოლია.

„წილისა“ და „ჭარ“ ასობგერათა რიგითმა რიცხვებმა ოთხწლიან ციკლში ტროპიკული წლის ხანგრძლივობა გაამხილეს მრგვალ წუთებში. აქედან გამომდინარე, შორეულ წარსულში ჩვენი მოდემის ქურუმებს რომც არ ჰქონოდათ წამების განმსაზღვრელი დროის ამოვლელი მექანიზმი, უეჭველად ექნებოდათ წუთების განმსაზღვრელი და იმის გამოთვლა, რომ ერთი მეოთხედი ანუ 0.25 საათი 15 წუთია, ხოლო სამი მეოთხედი $0,75$ საათი 45 წუთია, ალბათ არ გაუჭირდებოდათ. მით უმეტეს, მათ ტროპიკული წლის ხანგრძლივობა დღეებში განსაზღვრეს, რის გათვალისწინებით კალენდრის შექმნისათვის ამ შემთხვევაში წუთები და წამები არანაირ როლს არ თამაშობს.

იბერიულკავკასიური მოდემის ქურუმები უფრო შორსაც რომ არ წასულიყვნენ, გამხელილი ტროპიკული წლის ხანგრძლივობა 365.2421875 დღე სრულ შესაძლებლობას იძლეოდა შეექმნათ ისეთი სახის უბადლო კალენდარი, რაც განხორციელებულია ქართულში.

(თემის გაგრძელება იქნება შემდეგ ნომრებში)

ჩვენ და მსოფლიო



Зураб Цикаридзе

ზურაბ წიქარიძე

Письмо к русскому другу

წერილი რუს მეგობარს



« меня подвигло на это решение единственно желание всеми своими слабыми силами содействовать тому, чтобы нелепая стена, разделяющая наши страны, когда-нибудь рухнула».

Альбер Камю

Из предисловия к италянскому изданию философско-политического опуса «Письма к немецкому другу» (Альбер Камю «Бунтующий человек», изд. Полит.литературы, 1990, стр. 102)

Видел тебя на телеэкране, видно стал важной персоной. Не знаю, поздравить ли. Поздравил бы, если бы знал, что ты отошел от старых советско-социалистически-имперских влечений. Поскольку не знаю, воздержусь.

« . . . ასეთ გადაწყვეტილებაზე მიბიძგა მხოლოდ

ერთადერთმა სურვილმა, მთელი ჩემი სუსტი ძალებით რაიმე შევძლო იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყნების გამყოფი ეს უაზრო კედელი როდისმე დაინგრეს”.

ალბერ კამიუ

ფილოსოფიურ-პოლიტიკური ოპუსის “წერილები გერმანელ მეგობარს”, იტალიური გამოცემის წინასიტყვაობიდან (Альбер Камю «Бунтующий человек», Москва, изд. Полит. литературы, 1990, стр. 102)

გნახე ტელეეკრანზე, მნიშვნელოვანი პერსონა გამხდარხარ. არ ვიცი მოგილოცო თუ არა. მოგილოცავდი თუ მეცოდინებოდა რომ განერიდე საბჭოთა-სოციალისტურ-იმპერიულ მიდრეკილებებს. რადგან არ ვიცი თავს შევიკავებ. თუ შევიტყობ, მოგილოცავ. გადავწყვიტე მოგწერო, და წერილის დასაწყისში მინდა იმავე წინასიტყვაობიდან კამიუს ორი წინადადების პერიფრაზი გავაკეთო: როდესაც ამ სტრიქონების ავტორი წერს “თქვენ”, მას მხედველობაში ჰყავს არა “თქვენ რუსები” (რადგან რუსებში არსებობენ მართალი და წრფელი გულის ადამიანები), არამედ “თქვენ, შოვინისტები”. როდესაც ის ამბობს “ჩვენ” ეს ყოველთვის არ ნიშნავს “ჩვენ, ქართველები”, არამედ ნიშნავს “ჩვენ, თავისუფალი, თავისუფლების მოყვარული ადამიანები”, და აი რის გამო შემრცხვებოდა, თუ ვინმე მიიხნევდა, რომ ქართველ პატრიოტს შეუძლია გახედეს რომელიმე ერის, რომელიმე ნაციის მტერი. მე მძულს მხოლოდ ჯალათები და ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ისურვებს “წერილი რუს მეგობარს” წაიკითხოს სწორედ ასეთი თვალთახედვით, ანუ როგორც დოკუმენტური მონათხრობი ბრძოლაზე ძალადობის წინააღმდეგ, აღიარებს, რომ მე სრული უფლება მაქვს ხელი მოვაწერო ნებისმიერი ამ სიტყვის ქვეშ.

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ გულწრფელად და უანგაროდ შეგიყვარე ჩვენი გაცნობიდან მაღევ, სამოციანი წლების შუა პერიოდში. სამოცდაათიანი წლების შუამდე, როდესაც ჩვენი მეგობრობა უკვე ათწლეულს ითვლიდა, ჩვენს საუბრებში

Если узнаю, обязательно поздравлю. Решил написать тебе, и уже в начале письма хочу перефразировать два предложения Камю из того-же предисловия, которые будут звучать так: Когда автор этих строк пишет «**вы**», он имеет ввиду не «вы русские» (поскольку среди русских, существуют и справедливые, чистосердечные люди) а «**вы шовинисты**». Когда он говорит «**мы**», это не всегда означает «мы грузины», но «**мы, свободные, свободолюбивые люди**», и: Вот отчего мне было бы ныне стыдно, если бы кто-нибудь счел, что грузинский патриот способен стать врагом какой-нибудь одной нации. Я ненавижу только палачей. И всякий человек, пожелавший прочесть «**Письмо к русскому другу**» именно под етим углом зрения, то есть как документальный рассказ о борьбе против насилия, признает, что сегодня я с полным правом могу подписаться здесь под каждым своим словом.

Будучи ещё совсем молодым, я искренне и бескорыстно полюбил тебя вскоре после нашего знакомства, в середине шестидесятых. До середины семидесятых, когда наша дружба уже насчитывала десяток лет, мы в наших беседах не касались политических тем. Мы одинаково восхищались поэзией Пушкина, Лермонтова, Тютчева, Блока, Есенина, европейской поэзии в переводах Левика; пытались вникнуть в глубины произведений Толстого, Чехова, Достоевского, Шолохова; увлекались произведениями Хемингуэя, Джека Лондона, Фолкнера; одинаково любили техничный, игровой футбол; наши вкусы совпадали в кино; даже в женщинах наши вкусы совпадали, помнишь Ларису? - помнишь наверное. . . .

Да, прошли годы, мы перешагнули средний возраст, и я вспомнил пройденную жизнь, словно записанную на пленку. И проанализировав всю накопленную информацию, пришел к печальному заключению, что по существу, вся моя жизнь была связана с «**вами**», с такими несправедливыми к моей родине и к моему народу, почти за всю историю наших взаимоотношений, и по сей день остается такими-же.

პოლიტიკურ თემებს არ ვეხებოდით. ერთ-ნაირად ვიყავით აღტაცებულნი პუშკინის, ლერმონტოვის, ტიუტჩევის, ბლოკის, ესენინის პოეზიით, ევროპული პოეზიის ლევიკისეული თარგმანებით; ვცდილობდით ღრმად ჩავწვდომოდით ტოლსტოის, ჩეხოვის, დოსტოევსკის, შოლოხოვის ნაწარმოებებს; გვიტაცებდა ჰემინგუეის, ჯეკ ლონდონის, ფოლკნერის პროზა; ერთნაირად გვიყვარდა ტექნიკური ფეხბურთი; ჩვენი გემოვნება ერთხვეოდა კინოში; ქალებშიც კი ერთხვეოდა ჩვენი გემოვნება. გახსოვს ლარისა? – გახსოვს ალბათ. . . .

მაგრამ, გავიდა წლები, ჩვენ გადავაბიჯეთ შუა ასაკს, მე გავისხენე განვლილი ცხოვრება, თითქოს ფირზე ჩაწერილი. ხოლო გაანალიზების შემდეგ სამწუხარო დასკვნამდე მივდი, რომ არსებითად, მთელი ჩემი ცხოვრება დაკავშირებული იყო “თქვენთან”, ასეთ უსამართლოებთან ჩემი სამშობლოსი და ჩემი ხალხის მიმართ ჩვენი ურთიერთობის თითქმის მთელი ისტორიის მანძილზე, და დღემდე ასეთებად რჩებით.

და აი, ივლისის ერთ საღამოს ხლებნიკოვოს კორომში სეირნობისას, არ მახსოვს რატომ, შენ თქვი რომ საბჭოთა კავშირი შენი სამშობლოა. მე კი გითხარი, რომ მიუხედავად იმისა, რომ შემიძლია ავიღო ბილეთი და ბერინგის სრუტემდე გავემგზავრო (თუმც მაშინ საზღვრის მიმდებარე ზოლები საზღვრიდან შიგნით ასეული კილომეტრებით აკრძალულ ზონებად იყო გამოცხადებული), მე არ მაქვს პრეტენზია, რომ ჩუკოტკა ჩემი სამშობლოა. თვით მოსკოვსაც კი, რომელიც, ლერმონტოვის მსგავსად «სильно, пламенно и нежно» მიყვარდა, სამშობლოს ვერ ვუწოდებდი. (ხოლო რაც შეეხება კრემლს “დაკბილულსა” და ოდესღაც “უშფოთველს” – ის რუსეთის ავეია მმართველებმა, ბონაპარტისა არ იყოს – “შაკერობისა და დესპოტიზმის კერად” გადააქციეს და მთელი XX საუკუნე შიშის ზარს სცემდნენ როგორც საკუთარ ისე მთელი პლანეტის მაცხოვრებლებს). მაშინ შენ გაღიზინებით მისაყვედურე, რომ მე არ ვარ საბჭოთა კავშირის პატრიოტი. მე კი იძულებული გავხდი შენთვის შემქმნენებინა, რომ ჩემთან ნაცნობობამდე, ასეთმა გულანთებულმა პატრიოტმა არაფერი იცოდი საქართველოს შესახებ, საბჭოთა კავშირის ნაკრებში მოთამაშე თბილისის “დინამოს” რამოდენიმე ფეხბურთელის გვარის გარდა. რაც შეეხება შუააზიურ

И вот, июльским вечером, прогуливаясь в роще в Хлебникове, ты, не помню почему, Советский Союз назвал родиной. Я сказал, что хотя могу взять билет и отправиться к Беринговому проливу (хотя тогда в иных местах т.н. приграничные зоны растягивались на сотни километров вглубь от пограничной линии), у меня нет претензии, что Чукотка есть моя родина, даже Москву, город, который я любил «сильно, пламенно и нежно», стеснялся считать своей родиной. (Что же касается кремля «зубчатого» и когда-то «безмятежного», надменные правители России превратили его в очаг «коварства и деспотизма» и почти все XX столетие наводили ужасающий страх на жителей как собственного громадного государства, так и всей планеты). Тогда ты раздраженно упрекнул меня в том, что я не патриот Советского Союза. Я вынужден был напомнить тебе, что до знакомства со мной ты, такой пламенный патриот, ничего не знал о Грузии, кроме фамилий нескольких футболистов тбилисского «Динамо», выступавших за сборную СССР. Что же касается среднеазиатских и других республик, ты постоянно путал названия их столиц. Вообще, в начале нашего знакомства получилась странная штука: узнав, что я хорошо знаком с русской культурой, ты счел это фактом само собой разумеющимся; а я со своей стороны также посчитал не очень странным то, что человек, правда молодой, но уже с высшим образованием, не знал об одной из составляющих собственного государства («родины», как ты выразился) буквально ничего, кроме названия тамошней футбольной команды, и фамилии нескольких игроков. По неопытности своей, тогда, ни один из нас не подумал, что такое положение может оказаться, в будущем причиной существенного разногласия.

Ты однажды (в том-же Хлебникове) сказал, что считаешь себя интернационалистом и ненавидишь национализм. Это я парировал мыслью, что интернационализм не может существовать без национализма, т.к. интернационализм может произрасти только из благородного национализма, и тут-же почувствовал как этот мой довод сразу же

და სხვა რესპუბლიკებს, მუდამ ურევდი მათი დედაქალაქების სახელებს. საერთოდ ჩვენი ნაცნობობის დასაწყისში უცნაური რამ მოხდა: გაიგე რა, რომ მე კარგად ვიცნობდი რუსულ კულტურას, შენ ეს ფაქტი ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნიე; მე კი, ჩემი მხრივ, არ ჩავთვალე ძალზედ უცნაურად, რომ ადამიანმა, მართალია ახალგაზრდამ მაგრამ უკვე უმაღლესი განათლებით, არაფერი იცოდა თავისი სახელმწიფოს - როგორც შენ თქვი “სამშობლოს” - შემადგენელზე, გარდა იქაური ფეხბურთის გუნდისა და რამდენიმე ფეხბურთელის გვარისა. ჩვენი გამოუცდელობის გამო მაშინ არ გვიფიქრია, რომ ეს ვითარება მომავალში შეიძლებოდა მნიშვნელოვანი უთანხმოების მიზეზი გამხდარიყო.

შენ ერთხელ, იმავე ხლებნიკოვოში, თქვი, რომ ინტერნაციონალისტი ხარ და გძულს ნაციონალიზმი. მე ეს შემოტევა მოვიგერიე იმ მოსაზრებით, რომ ე.წ. ინტერნაციონალიზმი შეუძლებელია არსებობდეს ნაციონალიზმის გარეშე, რადგან ინტერნაციონალიზმი შეიძლება აღმოცენდეს მხოლოდ კეთილშობილი ნაციონალიზმის საფუძველზე და მაშინვე ვიგრძენი, როგორ უკუაგდო ეს ჩემი სიტყვები შენმა გონებამ. ასეა, ყველა იმპერიალისტ-შოვინისტებს სძულთ ჭეშმარიტი ნაციონალიზმი, გულწრფელი პატრიოტიზმის საფუძველი და ე.წ. ინტერნაციონალიზმის ბაირალს ამოფარებულნი ატრიალებენ ყალბ, ე.წ. “ხალხთა მეგობრობას”.

გენიალური გასენდი წერდა: “. . . . მეცნიერება, რომელმაც ძალა მისცა ჩვენს სულს მარადიულ ბოროტებასთან დასაპირისპირებლად და გაისარჯა რომ მას (ანუ ჩვენს სულს. ზ.წ.) ამ ბოროტების შიში არ ჰქონოდა, მოგვცა ცოდნა იმისა, რომ ამ ცხოვრებაში მეგობრობა არის უძლიერესი საფუძველი საფუძველთა შორის, რომელსაც უსაფრთხოებასთან ერთად უდიდესი სიამოვნება მოაქვს” (Пьер Гассенди, соч. т.1. «Мысль», 1966, 397).

«წმინდა გონების კრიტიკის» ავტორი 1792 წელს ვინმე მარია ფონ გერბერტს წერდა რომ: “მეგობრობის იდეალი მოითხოვს სრულ გახსნილობას და ელოდება ასეთივე საპასუხო გულისხმიერებას, რომელსაც უმცირესი უნდობლობაც კი ვერ შეაკავებს” (И.Кант «Трактаты и письма», «Наука», 1980, გვ. 582).

მეგობრობა შეიძლება არსებობდეს

был отторгнут твоим мыслепринимаящим аппаратом. Да, так и есть, все имперские шовинисты ненавидят истинный национализм, основу искреннего патриотизма и прикрываясь фальшивой хоругвью т.н. интернационализма, прокручивают фальшивую, т.н. «дружбу народов».

Гениальный Гассенди писал: «... наука, которая укрепила наш дух против вечного зла и сделала так, чтобы он (т.е. наш дух. З.Ц.) этого зла не боялся, дала нам знание того, что в этой жизни дружба – сильнейший из всех оплотов, который одновременно с безопасностью доставляет величайшие удовольствия» (Пьер Гассенди, соч. т.1. «Мысль», 1966, стр. 397).

Автор «Критики чистого разума» в 1792 году писал некоей Марии Фон Герберт, что: «идеал дружбы требует стремиться полностью излиться и ждет такого же ответного сердечного излияния, не сдерживаемого каким-либо недоверием» (И.Кант «Трактаты и письма», «Наука», 1980, стр. 582).

Дружба может существовать только между личностями; это самое бескорыстное взаимоотношение может образоваться только между мужчинами, может быть и между мужчиной и женщиной; и, буду рад если вопреки моему предположению таковое, хоть где-нибудь, в истинном своём смысле, бывало, есть или будет между женщинами.

Общеизвестно, что большинство мыслителей понятие дружбы относят к добродетели, однако среди них же существуют засомневавшиеся. Например, тот-же Кант, выкрику Аристотеля «У кого есть друзья, у того нет друга!», придает более мягкий характер: «Дорогие друзья, нет в мире друга!»; Бывает и так, как писал небезызвестный Честерфильд своему сыну что: «В несчастье наших лучших друзей есть нечто такое, что нам несомненно неприятно» (И.Кант «Трактаты и письма», «Наука», 1980, стр. 104). Вот почему к этому слову, к этому понятию не надо подходить опрометчиво, поскольку разного рода империалисты, политики и политиканы, ложные интернационалисты, лукавые т.н. деятели культуры и журналисты, социалисты и глобалисты, соседи и несоседи с севера и запада, с востока и юга подсовывают малым

мხოლოდ პიროვნებებს შორის; ამასთან, ეს ყველაზე უანგარო ურთიერთობა შეიძლება აღმოცენდეს მხოლოდ მამაკაცებს შორის, შესაძლოა მამაკაცსა და ქალს შორისა; და მოხარული ვიქნები, თუ ჩემი ვარაუდის საპირისპიროდ, ასეთი რამ სადმე, თავისი ჭეშმარიტი არსით იყო, არის ან იქნება ქალებს შორის.

ცნობილია, რომ მოაზროვნეთა უმრავლესობა მეგობრობას, როგორც ცნებას სათნოებად მიიჩნევს, თუმც მათ შორის დაეჭვებულნიც არსებობენ. მაგალითად იგივე კანტი არისტიტელეს წამოდახილს “ვისაც ჰყავს მეგობრები, მას არ ჰყავს მეგობარი” უფრო რბილ ფორმას აძლევს: “ძვირფასო მეგობრებო, არ არსებობს ქვეყანაზე მეგობარი!”. ხდება ისეც, როგორც არც თუ ნაკლებად ცნობილი ჩესტერფილდი წერდა თავის შვილს: “ჩვენი საუკეთესო მეგობრების უბედობაში არსებობს ისეთი რამ, რაც ჩვენთვის არცთუ უსიამოვნო შეიძლება აღმოჩნდეს” (И.Кант «Трактаты и письма», «Наука», 1980, стр. 104). აი რატომ არის საჭირო ამ სიტყვისადმი, ამ ცნებისადმი მეტად გონივრული მიდგომა, რადგან ათასი გვარის იმპერიალისტი, პოლიტიკოსი და პოლიტიკანი, ცრუ ინტერნაციონალისტი, ფარისეველი ე.წ. კულტურის მოღვაწე და ჟურნალისტი, სოციალისტი და გლობალისტი, მეზობელი და არამეზობელი ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან ძალით ახვევენ თავს პატარა ქვენებს ამ პირფერულ “ხალხთა მეგობრობას”, იყენებენ თავიანთი ეგოისტური მიზნებისათვის, შემდეგ კი ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე შეუძლიათ მოისროლონ და ომიც კი გაუჩაღონ. წარმოიდგინე ერთი, შეიძლება, რომ ჩეჩენი და რუსი ხალხი მეგობრები იყვნენ?

დარწმუნებული, რომ ჩვენი ურთიერთობები არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ შენ დაინტერესებულიყავი და თუნდაც რაიმე შეგეტყო ჩვენი ხალხების ურთიერთობების შესახებ, მე ამ წერილში მოვივან ფაქტებს, მხოლოდ ფაქტებს.

ქართველების პირველივე ცდა და იმედი, დაემყარებინა კეთილი ურთიერთობები დიდ სახელმწიფოსთან და მის ერთმორწმუნე ხალხთან იმედგაცრუებით დამთავრდა. მშვენიერი თამარის გვერდით საქართველოს ტახტზე მოწვეული (1185 წ.) რუსი (ნოვგოროდელი) თავადი იური ბოგოლუბსკი, ან გიორგი რუსი (როგორც

странам фарисейскую «дружбу народов», и используя их в своих политических целях, могут кинуть без угрызения совести, а то и пойти войной. Подумай сам, могут ли быть друзьями чеченский и русский народы. . . .

Будучи уверен, что наши с тобой связи не оказались достаточными для того, чтобы ты заинтересовался, и хоть что-нибудь узнал об отношениях наших народов, я в этом письме приведу факты, только факты.

Первая же попытка и надежда грузин установить добрые отношения с великим государством и его народом-единоверцем, оказались тщетными. Приглашенный на грузинский престол (1185 г.) рядом с молодой и прекрасной царицей Тамари, русский (новгородский) князь Юрий Боголюбский, или Георгий Русский (как его здесь именовали) оказался алкоголиком, импотентом, не смог выполнить ни функцию супруга, ни функцию государственного деятеля и (1188 г.) был отправлен с миром (хотя в 1191 г., постарался предъявить какие-то претензии, однако настолько необоснованные, что не могли иметь продолжения).

Однако, в последующие времена грузинские цари и политики продолжали старания иметь с Россией добрые отношения, посылали в Москву послов, родственников, представителей культуры и религиозных деятелей. В 1658 году лично съездил в Москву царь Теймураз I, был принят с почестями, но в помощи отказан. В дальнейшем туда был послан его внук Ираклий Давидович, ставший при дворе Царя Алексея Михайловича тысяцким. Ближайшим другом и соратником Петра I-го, первым министром – фельдцейхмейстером артиллерии - был царевич, умерший за Россию в шведском плену, Александр Багратиони, сестра которого близ Москвы, во Всехсвятском строила церкви и занималась просветительской деятельностью, и в 1709 году Петр победу под Полтавой праздновал именно в ее имени, в течение почти трех месяцев.

В начале двадцатых годов XVIII века, царь Вахтанг VI доверившись уверениям русского посла Толстого, что великий император Петр обязательно подоспеет на

მას აქ მოიხსენიებდნენ), ალკოჰოლის ძლიერ მოყვარული და იმპოტენტი აღმოჩნდა, ვერ შეასრულა ვერც მეუღლისა და ვერც სახელმწიფო მოღვაწის ფუნქცია და (1188 წ.) მშვიდობით იქნა მიბრძანებული (მართალია 1191 წ. შეეცადა რაღაც პრეტენზიების წამოყენებას, მაგრამ იმდენად დაუსაბუთებელ პრეტენზიებისა, რომ ასეთ მცდელობას გარძელება არ ჰქონია).

შემდგომ პერიოდში ქართველი მეფეები და პოლიტიკოსები აგრძელებდნენ მცდელობებს რუსეთთან კეთილი ურთიერთობების დასამყარებლად, აგზავნიდნენ მოსკოვში ელჩებს, ნათესავებს, კულტურისა და რელიგიის წარმომადგენლებს. 1658 წელს პირადად ეწვია მოსკოვს თეიმურაზ I, მიღებულ იქნა ღირსეულად, მაგრამ დახმარებაზე უარი ეთქვა. შემდგომში მოსკოვს გაგზავნილ იქნა მისი შვილიშვილი ირაკლი დავითის-ძე, რომელიც მეფე ალექსეი მიხაილოვიჩის მეჯვარედ და მის კარზე ყველაზე დაახლოებულ პირად იქნა მიღებული. პეტრე I-ის უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი, რუსეთის ისტორიაში პირველი მინისტრი, არტილერიის ფელდცეისმეისტერი, რომელიც რუსეთის გულისთვის მოკვდა შვედების ტყვეში იყო ალექსანდრე არჩილის-ძე ბაგრატიონი, რომლის და დარეჯანი მოსკოვთან ახლოს ვსესხვიატსკოეში აშენებდა ეკლესიებს და ეწეოდა საგანმანათლებლო მოღვაწეობას, და 1709 წელს პეტრემ პოლტავასთან გამარჯვება სწორედ მის მამულში იზეიმა თითქმის სამი თვის განმავლობაში.

XVIII საუკუნის ოციანი წლების დასაწყისში, მეფე ვახტანგ VI მიენდო რა რუსეთის ელჩის ტოლსტოის რწმუნებებს, რომ დიდი იმპერატორი პეტრე აუცილებლად მოუსწრებს დასახმარებლად, არ წავიდა თურქეთთან მოლაპარაკებაზე; მოლოდინი გრძელდებოდა წლების განმავლობაში და უცვლად, 1724 წლის 12 ივნისს, რუსეთმა ისლამურ თურქეთთან ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომლითაც არსებითად აღიარა, რომ ერთმორწმუნე საქართველო ხვდებოდა თურქეთის, იმდროს მეტად აგრესიული სახელმწიფოს (როგორც ახლა უყვართ გამოთქმა) სტრატეგიული და პოლიტიკური ინტერესების სფეროში. და საბრალო, მიმდობსა და გულუბრყვილო მეფე-სწავლულს, ამის გამო მოუხდა თხოვნა არა მთელი ქვეყნის დახმარებაზე, არამედ სამშობლოდან გაქცეული ოჯახისა და თანგაყოლილი ამაღლის თავშესაფარზე, ამაღლისა, რომელშიც შედიოდა მრავალი გამოჩენილი პიროვნება და რომელთაგან

помощь, не пошел на переговоры с турками; ожидания длились годами и вдруг, 12-го июля 1724 года, Россия с исламской Турцией в Стамбуле подписала соглашение, в котором по существу признала, что единоверная Грузия попадает в сферу стратегических (как сейчас любят говорить) и политических интересов этого, агрессивного тогда, государства. И бедному, доверчивому царю ученому, поэту, пришлось просить уже не о помощи для своей страны, а о покровительстве бежавшей из родины своей семьи и сопровождавшей свиты, в которой находилось множество выдающихся личностей, впоследствии ставших известными деятелями тогдашнего российского общества и видными военачальниками. Вахушти, сын царя, был среди основателей Московского Университета (Здесь припоминается моя первая поездка в Москву весной 1960 года, в возрасте 17 лет. Мы с другом, прогуливаясь по Манежной площади, увидели группу туристов, входивших в здание ректората МГУ, и присоединившись к ним, в фойе здания увидели три бюста, в центре Михаила Ломоносова, слева - фаворита императрицы Елизаветы Петровны И. Шувалова и справа грузинского царевича Вахуштия Багратиони, однако приехав через семь лет, в 1967 году, в тот год, когда мы с тобой подружились, однажды, проходя по проспекту Маркса я ещё раз заглянул в то фойе и. Там уже стояли только два бюста- Михаила Ломоносова и фаворита императрицы И. Шувалова).

Истекала кровью изнуренная, истерзанная, разделенная маленькая христианская страна под непрекращающимися нападками и грабежами то со стороны Турции, то Ирана, то северокавказских язычников и насильственно омусульманившихся племен, то еще и других. И, спустя 45 лет (летом 1769 года), после вынужденного ухода со своих обязанностей царя Вахтанга VI, когда разделенная страна ценой невероятных усилий (двух царей: восточной Грузии - Ираклия II и западной – Соломона I) и потерь все же оставалась тем, что ещё могло называться Грузией, российская императрица Екатерина II направила примерно пятьсот солдат и офицеров под командованием весьма

ბევრი მათგანი რუსული საზოგადოების ცნობილი მოღვაწე და გამოჩენილი სამხედრო სარდალი გახდა. მოსკოვის უნივერსიტეტის დამაარსებელთა შორის იყო მეფის შვილი ვახუშტი (აქ მახსენდება ჩემი პირველი გამგზავრება მოსკოვში, 1960 წლის გაზაფხულზე, 17 წლის ასაკში. ჩემს მეგობართან ერთად მანუქის მოედანზე სეირნობისას დავინახეთ ტურისტების ჯგუფი, რომელიც მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორატის შენობაში შედიოდა, მიუვართლით მათ და შენობის ფოიეში ვნახეთ სამი ბიუსტი. შუაში მიხეილ ლომონოსოვისა, მარცხნივ – იმპერატორ ელიზაბეტას ფავორიტის ი. შუვალოვისა და მარჯვნივ ქართველი მეფის შვილის ვახუშტი ბაგრატიონისა. მაგრამ შვიდი წლის შემდეგ, 1967 წელს, იმ წელს როდესაც ჩვენ დავმეგობრდით, ერთხელ მარქსის პროსპექტზე გავლისას, ისევ შევიარე იმ ფოიეში და. იქ, მხოლოდ ორი ბიუსტი იდგა, მიხეილ ლომონოსოვისა და ი. შუვალოვისა).

იცლებოდა სისხლისგან დაძაბუნებული, გატანჯული, დაგლეჯილი პატარა ქრისტიანული ქვეყანა ხან თურქეთის, ხან ირანის, ხან ჩრდილოკავკასიელი, ძალით გამუსულმანებული თემების, ხან კიდევ სხვათა გაუთავებელი თავდასხმებისგან და ძარცვისგან. და მეფე ვახტანგის იძულებითი გაგარეულებიდან 45 წლის შემდეგ (1769 წლის ზაფხულში), როდესაც გახლეჩილი ქვეყანა წარმოუდგენილი ძალისხმევითა და დანაკარგებით მაინც რჩებოდა იმად, რასაც საქართველო შეიძლება რქმეოდა, რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე II-მ გამოაგზავნა დაახლოებით ხუთასი ჯარისკაცი და ოფიცერი ერთი მეტად დაბალკვალიფიციური, მაგრამ თვითკმაყოფილი გენერალ-გერმანელის, ვინმე ტოტლებენის მეთაურობით. ამ ჯარს არაფერი გაუკეთებია, გარდა ერთი პაწაწინა ციხესიმაგრის ადებისა, რომელსაც ოცდასამი მუსლიმანი იცავდა, საქართველოს მხარეებში წანწალისა და ოდნავ მიწვნარებული სამხრეთელი აგრესორების გაღიზიანებისა. ხოლო 1770 წლის აპრილში, სოფელ ასპინძასთან თურქულ ძალებთან შეტაკების წინ, ამ გენერალმა, ორმაგმა “ინოროდეცმა” (ინოროდეც – ვლადიმირ ულიანოვის ტერმინია), მოაბრუნა თავისი ჯარისკაცები, უსაფრთხო აღვილას განარიდა და ერეკლე II დატოვა ბევრად მრავალრიცხოვან თავდამსხმელთა პირისპირ. და ერეკლე II-მ მხოლოდ მაღალი სამხედრო ოსტატობის ხარჯზე შეძლო მოწინააღმდეგის დამარცხება და განადგურება.

1771 წლის თებერვალში, გენერალმა-

низкоквалифицированного, но чрезмерно самодовольного, генерала-немца Тотлебена. Войско это не сделало ничего, кроме взятия одной крохотной крепости с двадцатью тремя мусульманами, брадьяничества по всем районам Грузии и раздражения едва притихших южных агрессоров. А 20-го апреля 1770 года перед самой схваткой с турецким войском, вблизи селения Аспиндза, этот генерал, двойной инородец (инородец – термин Владимира Ульянова), повернул своих солдат, отвел их в безопасное место и оставил Ираклия II против во много превосходящих сил нападавших. И только благодаря высокому военному искусству, Ираклию II–му удалось разбить и уничтожить противника.

В феврале 1771 года генерал граф Тотлебен узнав, что со стороны Батуми продвигаются турецкие силы, опять сгинул с места дислокации близ порта Поты и углубился в сторону Кутайси. Русские офицеры уже стали стыдиться поступков немецкого графа и они сообщили в столицу, что генерал Тотлебен позорит русское оружие. Вскоре он был заменен генералом Сухотинным. Новый военачальник оказался отважнее предшественника, но в тоже время не менее самоуверенным болваном, не послушался советам Ираклия II, что в разгар лета неразумно вести военные операции в колхидской низменности из-за чрезмерной активности малярийных москитов, и все же подвинул войско к потийской крепости. Подавляющее большинство личного состава и сам генерал были инфицированы малярийным вирусом и тяжело больное и деморализованное войско весной 1772 года было отозвано в Россию.

Кратковременной передышкой послужило поражение Турции в войне с Россией. После Кучук-Кайнарджского мирного договора (июль 1774 г.) Турция временно угомонилась. Однако после отхода основных российских сил домой, вновь начались притеснения грузинских земель, теперь уже и со стороны вновь окрепшего Ирана.

Грузинские ученые же на протяжении столетий бескорыстно служа науке, так же служили русскому, советскому (читай русскому) прогрессу, грузинские спортсмены завоевывая медали, приносили славу России (Russia). Ты должен помнить первую победу Сборной СССР на чемпионате Европы: гол Славы Метревели и гол Виктора Понедельника с подачи Михаила Месхи, и таких, и других побед в разных видах не сосчитать, и все бескорыстно. Однако, представители других, маленьких и больших государств вовсе и не завоевывая медали, выступали за свою родину, под флагом своей страны. Сто лет звучит грузинский голос в стенах Большого Театра, Давид Бадридзе, Давид Андгуладзе, Давид Гамрекели, Зураб Анджапаридзе, Цисана Татишвили, Маквала Касрашвили, Паата Бурчуладзе, до сих пор поет Зураб Соткилава; свыше двадцати лет выступала на его сцене выдающаяся балерина Нино Ананиашвили; по сей день на сцене Санкт-Петербургского театра прима-балериной выступает Ирма Ниорадзе; прекрасные фильмы ставили грузинские режиссеры на киностудиях России, сам слышал от известного киноведа, по первому каналу, что самым поэтичным фильмом в российской киноистории считается «Летят журавли» Михаила Калатоцишвили. Как выразился один, заговоривший со мной в автобусе русский человек, не назвавший свою фамилию, старый заслуженный работник киностудии «ГрузияФильм», проработавший там (по его-же словам) свыше сорока лет: «только из уважения к Михайлу Калатоцишвили нельзя было

თავისებურად. აქ არ ისპობა ბუნება ან კოსმოსი, არამედ პირიქით,მატულობს ინტერესი სულის ცხოვრებისადმი, პიროვნების ცხოვრებისადმი, ინტერესი სუბიექტის ცხოვრებისადმი, სუბიექტისა, რომლის ქმედებები მიმართულია მთელი ბუნების შემეცნებისაკენ”. და ბოლოში ავტორი ასკვნის: “აი,რა დიდი მნიშვნელობის საკითხებს ვხვდებით ჩვენ ქართული აღორძინების ნეპლატონიკოსებთან! ამიტომ ჩვენ შეგვიძლია დავასრულოთ მხოლოდ ასე – გაუმარჯოს ქართულ აღორძინებას და გაუმარჯოს ქართულ ნეოპლატონიზმს!”. კარგია,რომ ზემოთქმულზე წერს გამოჩენილი რუსი მეცნიერი, თუმც ასეთი ადამიანების რაოდენობა ერთი ხელის თითებით შეიძლება ჩამოითვალოს (დიდი მონდომებით შესაძლოა, კიდევ ერთ-ორი თითის დამატებით), რამდენადაც რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებსა და მეცნიერულ წრეებში არ ყოფილან, და მით უმეტეს აღარ არიან ცნობილი მეცნიერები, რომლებიც ქართულ ფენომენს ჯეროვნად შეისწავლიდნენ.

ქართველი მეცნიერები კი ასწლელულობის განმავლობაში უანგაროდ ემსახურებოდნენ მეცნიერების რუსულ, საბჭოთა (ანუ იგივე რუსულ) პროგრესს, ქართველი სპორტსმენები იმარჯვებდნენ შეჯიბრებებში, იღებდნენ მედლებს, სახელს უხვეჭდნენ რუსეთს (Russia). შენ უნდა გახსოვდეს საბჭოთა ნაკრების პირველი გამარჯვება ევროპის ჩემპიონატზე: სლავა მეტრეველის გოლი და ვიქტორ პონედელნიკის გოლი მიხეილ მესხის ჩამოწოდებით, და უთვალავია ასეთი და სხვა გამარჯვებები სპორტის სხვა სახეობებში, და ეს ყოველივე უანგაროდ. მაშინ, როდესაც სხვა პატარა და დიდი სახელმწიფოების წარმომადგენლები სულაც ვერ მოიპოვებდნენ მედლებს, მაგრამ გამოდიოდნენ თავიანთი სამშობლოს სახელით, თავიანთი ქვეყნების დროშის ქვეშ. ასი წელი ჟღერს ქართული ხმა დიდი თეატრის კედლებში,დავით ბადრიძე, დავით ანდღულაძე, დავით გამრეკელი, ზურაბ ანჯაფარიძე, ცისანა ტატიშვილი, მაყვალა ქასრაშვილი, პაატა ბურჭულაძე, დღემდე მღერის ზურაბ სოტკილავა; ოც წელზე მეტ ხანს გამოდიოდა მის სცენაზე გასაოცარი ბალერინა ნინო ანანიაშვილი; დღემდე სანკტ-პეტერბურგის თეატრის სცენაზე გამოდის პრიმა-ბალერინა ირმა ნიორაძე; მშვენიერ ფილმებს დგამდნენ ქართველი რეჟისორები რუსეთის კინოსტუდიებში, თავად გავიგონე ცნობილი კინომცოდნესაგან პირველი არხის ეთერში, რომ ყველაზე პოეტურ ფილმად რუსეთის კინოს ისტორიაში მიჩნეულია მიხეილ კალატოზიშვილის “მიფრინავენ წეროები”.

нанести такое оскорбление грузинскому народу, да ещё домашне заготовить такую глупость». Удивительно, но, случись у грузин конфликт с сомалийскими пиратами, Россия встанет на сторону сомалийских пиратов.

Так вот, друг, после всего, что сказано выше, я не питаю ненависти к русским, поскольку вообще не умею ненавидеть, но меня печалит то, что не люблю их более; идя по улице, в транспорте, где бы то ни было, не всплывают в душе ни стихи русских поэтов ни мелодии русские и, знает Бог, в этом не есть моя вина!

Письмо получилось не короткое и вероятность того, что у прочитавшего его возникнет вопрос – случилось то, что случилось, но что же надо сделать, как быть дальше? – большая. Я лично много думал сильно страдая и, пришел к такому выводу: раз русский народ соглашается с тем, что его власть, производя этническую чистку грузин признает отторжение грузинских территорий, строит там военные базы, за деньги россиянина подкупает признать такое положение легкомысленных руководителей далеких стран, народы которых совершенно далеки от сути вопроса, то грузинам надо прекратить абсолютно всякие отношения с этим народом. Если честь и достоинство пока ещё являются ценностями (Апулей в своей «Апологии» говорит, что честь и совесть как одежда, чем потрёпаннее, тем безалабернее обращаются с ним и тот кто ее носит, и те кто вокруг) то никаких дипломатических, экономических, культурных, духовных связей, кроме личностных; ни одной бутылки грузинского вина или минеральной воды на российском рынке, ни одного кубометра российского газа в Грузию, никаких концертов грузинских исполнителей в России и русских в Грузии, никаких связей с русской церковью. Так, пока русский сопог топчет грузинскую землю, русский народ должен знать что теряет грузинский народ навсегда; надо попросить проживающих в России соотечественников вернуться в Грузию, или, уехать в другие страны. Однако, и к сожалению, в Грузии есть слабомыслящие люди, которые думают, что

როგორც ერთმა რუსმა კაცმა, “კინოსტუდია “ქართული ფილმის” დამსახურებულმა, მისივე სიტყვებით თითქმის ნახევარსაუკუნოვანმა, მუშაკმა მითხრა, რომელიც ავტობუსში გამოძვლაპარაკა ისე რომ თავისი სახელი და გვარი არ გაუმხელია: “მარტო მიხეილ კალატოზიშვილის პატივისცემის გამო არ შეიძლებოდა ქართველი ხალხისთვის ასეთი შეურაცხყოფის მიყენება, და თანაც საშინაო დავალებად მომზადებულიყო ასეთი სისულელე”. გასაოცარია, მაგრამ ქართველებს სომალელ პირატებთან რომ მოუხდეს კონფლიქტი, რუსეთი სომალელი პირატების მხარეს დაიჭერს.

ასე რომ, მეგობარო, ყოველივე იმის შემდეგ რაც ზემოთ ითქვა, მე არ განვიცდი ზიზღს რუსების მიმართ, რამდენადაც საერთოდ არ შემიძლია ასეთი რამ, მაგრამ ის მადარდებს, რომ ისინი აღარ მიყვარს; ქუჩაში, ტრანსპორტში, და სადაც არ უნდა ვიყო, სულში აღარ მიტივივდება არც რუსი პოეტების ლექსები, აღარც რუსული მელოდიები, და იცის ღმერთმა, რომ ამაში არ არის ჩემი ბრალი.

წერილი არ გამოვიდა მოკლე და დიდია ალბათობა იმისა, რომ მის წამკითხველს გაუჩნდეს კითხვა – მოხდა ის, რაც მოხდა, მაგრამ ახლა რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ? პირადად მე ბევრი ვიფიქრე მტანჯველი ფიქრებით და მივედი ასეთ დასკვნამდე: რაკიდა რუსი ხალხი თანხმდება იმას, რომ მისი ხელისუფლება, მის მიერვე ქართველთა ეთნიკური წმენდის შემდეგ აღიარებს ქართული ტერიტორიების მოჭრას, აშენებს იქ სამხედრო ბაზებს, რუსის ფულებით მოისყიდის შორეული ქვეყნების უნებისყოფო ხელმძღვანელებს, რომლებიც აბსოლუტურად არ არიან გარკვეულნი საქმის არსში, მაშინ ქართველებმა უნდა გაწყვიტონ აბსოლუტურად ყველანაირი ურთიერთობა ამ ხალხთან. თუ ღირსება, სინდისი და სამართალი ჯერ კიდევ წარმოადგენს ღირებულებებს (აპულიუსი თავის “აპოლოგიაში” ამბობს, რომ ღირსება და სინდისი ტანისამოსივითაა, რაც უფრო შელახულია, მით უფრო აგდებით ეპყრობა მას ის, ვისაც აცვია, და გარშემომყოფნიც), მაშინ, პირადულის გარდა, არავითარი დიპლომატიური, ეკონომიკური, კულტურული, სულიერი კავშირები ამ ხალხთან; ქართული ღვინისა და მინერალური წყლის არცერთი ბოთლი რუსულ ბაზარზე, არცერთი კუბამეტრი რუსული გაზისა საქართველოში, არავითარი კონცერტები ქართველი შემსრულებლებისა რუსეთში და რუსებისა საქართველოში, არავითარი კავშირი რუსულ ეკლესიასთან. ასე, სანამ რუსული ჩექმა

Россия сделает справедливый шаг в сторону Грузии, или откажется от уже нанесенного ущерба, даже если Грузия согласится проявить «послушный приказу разум». К сожалению, часть сегодняшней оппозиции вместо того, чтоб требовать от правительства национализировать проданное российским фирмам имущество, закрыть все пропускные пункты, не восстанавливать транспортное сообщение и принципиально требовать от мирового сообщества соблюдения Россией взятых обязательств, не лезть инкогнито добываться каких-нибудь контактов с тем, кто так неблагодарно обошелся с грузинским народом и нанес такое бесовское оскорбление, сама лезит устанавливать какие-то непонятные отношения с Путиным, который смакует глупостью таких политиканов, издевается заявляя на дне рождения одного бывшего высшего государственного и высшего чина спецслужб, в присутствии приглашённых грузинских фарисеев, что будет так, как решит, и даже объединит Грузию если захочет и, и те фарисеи и слабомыслящие оппозиционеры не догадываются, что такое уже невозможно даже при проявлении «послушного приказу разума».

А теперь я могу сказать тебе: прощай!

P.S. Недавно ко мне зашёл один мой давний приятель, профессор, литератор, преподаватель русской литературы. Мы поговорили и, я ему дал прочитать это письмо. Он внимательно прочёл, молча просидел сполчаса, с грустным лицом произнес: «к сожалению, все так», и ушёл.

თელავს ქართულ მიწა-წყალს, რუსმა ხალხმა უნდა იცოდეს, რომ კარგავს ქართველ ხალხს სამუდამოდ; უნდა ეთხოვოს რუსეთში მცხოვრებ ქართველ თანამემამულეებს დაბრუნდნენ სამშობლოში, ან გადასახლდნენ სხვა ქვეყნებში. მაგრამ, და სამწუხაროდ, საქართველოში არიან სუსტადმოაზროვნე ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ რუსეთი როდისმე სამართლიან ნაბიჯს გადადგამს საქართველოსკენ, ან უარს იტყვის უკვე მიყენებულ ზარალზე, იმ შემთხვევაშიც კი თუ საქართველო გამოამუღავნებს “ბრძანების დამჯერ გონებას”. სამწუხაროდ დღევანდელი პოლიტიკოსების ნაკრები, ნაცვლად იმისა, რომ რუსულ ფორმებზე გაყიდული ქონების ნაციონალიზაციას ახდენდეს, კეტავდეს ყველა გასასვლელს, წვეკტდეს სატრანსპორტო მიმოსვლას და მსოფლიო თანამეგობრობას მოთხოვნებს უყენებდეს, რათა რუსეთმა შეასრულოს აღებული ვალდებულებები, სახელმწიფომ, რომელიც ასე უმადურად, უსამართლოდ მოექცა ქართველ ხალხს და ასეთი უსინდისო შეურაცხყოფა მიაყენა, თავად ესწრაფვიან ლამის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენისაკენ, კონტაქტის დამყარებას ცდილობენ პუტინთან, რომელიც ნებივრობს ასეთი პოლიტიკოსების გულუბრყვილობით, დაგვცინის და ისიც კი უთქვამს ერთ-ერთი ყოფილი სახელმწიფო და სპეცსამსახურების მაღალი ჩინის დაბადების დღეზე იქ მიწვეული ქართველი ფარისევლების თანდასწრებით, რომ იქნება ისე, როგორც გადაწყვეტს და თუ მოინდომებს, გააერთიანებს კიდევ საქართველოს, და ის ფარისევლები და ბევრი დღევანდელი პოლიტიკოსი ვერც კი ხვდებიან, რომ ასეთი რამ გამორიცხულია საქართველომ “ბრძანების დამჯერი გონებაც” რომ გამოამუღავნოს.

ახლა კი მე გეტვი: მშვიდობით!

P.S. რანდენიმე დღის წინ, ჩემთან შემოიარა ერთმა ჩემმა ძველმა მეგობარმა, პროფესორმა, ლიტერატორმა, რუსული ლიტერატურის მასწავლებელმა. ვილაპარაკეთ და წასაკითხად მივეცი ეს წერილი. მან ყურადღებით წაიკითხა, მდუმარედ იჯდა ერთხანს, მოწყენილი სახით თქვა: «სამწუხაროდ ყველაფერი ასეა», და წავიდა.



ალიკო ცინცაძე გლობალიზაცია და ეროვნულობა

ამ ათიოდე წლის წინათ საქართველოში დაიწერა ნაშრომი: „ნაციონალიზმი და გლობალიზაცია“ (ავტორი ზ.დავითაშვილი; იგი სოროსის ფონდმა დააფინანსა), რომელმაც განსაზღვრა კიდევ უკანასკნელ წლებში ჩვენში მიმდინარე პროცესები და მის უარყოფით შედეგებს დღემდე იმკის ქართული საზოგადოებრიობა. ახლა, როცა ქვეყანა თავიდან იწყებს ბოლო დროს საერთოდ მივიწყებული და შინაგანად დეფორმირებული ეროვნული ცნობიერების აღორძინებაზე ზრუნვას, ამ საკითხებთან მიბრუნება და მისი გააზრება აქტუალური ხდება. როცა ამ პრობლემას გლობალიზაციის სიბრტყეში განვიხილავთ, გასაგებია, რომ იმ სფეროს ვეხებით, სადაც მტრის ხატის ძებნა და ემოციური ფონის შექმნა არაა რთული, მაგრამ ალბათ, დადგა დრო ამ საკითხების განხილვა აკადემიურ ჭრილში გადავიტანოთ. მითუმეტეს პრობლემის აქტუალობა ეჭვს არ იწვევს.

როცა ოკეანე დელავს გამოცდილი კაპიტანი გემს ღუზიდან ხსნის, რომ ტალღებს აჰყვებს და შეამციროს მისი დარტყმის ძალა. ბრძენი სახელმწიფო მოღვაწე ამ მომენტშიც უნდა ითვალისწინებდეს დიდი პოლიტიკის წყაღქვეშა დინებებს და ისე წარმართავდეს საჭეს; თუ კი მიზანი იმ ნაპირზე მიდგომაა, რასაც ჩვენი ეროვნულ-ტრადიციული ღირებულებების, ჩვენი თვითიდენტობის მატარებელი სახელმწიფო ჰქვია. ამით მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ გლობალური პროცესების სირთულე და არაერთმნიშვნელოვნება ბევრ საფიქრალს უჩენს ჩვენი ტიპის, ეროვნულ-ტრადიციულ ქვეყანას მის ხელისუფლებას. გლობალური იდეოლოგია, ადამიანთა მოღვაწეობის

კონკრეტულ სფეროში ხალხთა ფართო მასების გაერთიანების იდეოლოგიურ წანამძღვრებს ქმნის. მან სხვადასხვა შეფერილობითა და სახელით (ალბათ, ერთი და იგივე მიზნებით) კაცობრიობის ისტორიაში უკვე მერამდენედ იჩინა თავი. დღევანდელი „გლობალიზაცია“ მისი უმაღლესი საფეხურია. იგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც პროცესი მიმართული ერთიან, ზეიდეოლოგიურ საფუძველზე, ადამიანთა მრავალმხრივი მოღვაწეობის ძირითად მაჩვენებელთა რეგულირება, ინტეგრაციისკენ.

მას ობიექტური მიზეზებიც აქვს:

კაცობრიობამ უნდა შეძლოს საკუთარი მოთხოვნილებისა და მის ხელთ არსებული რესურსების ისე ბალანსირება, რომ ბუნებას დარჩეს რესურსების კვლავ აღწარმოების შესაძლებლობა, ამასთან გამოირიცხოს ეკოლოგიური პრობლემების წარმოქმნის საფრთხე. სწორედ „გლობალანსის“ მიღწევის აუცილებლობა აჩენს გლობალური თანამშრომლობის აუცილებლობას.

თანამშრომლობის პოზიტიური და აუცილებელი სფეროები იკვეთება: ეკონომიკაში, შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, ეკოლოგიაში და ა.შ..

ობიექტური ფაქტორის გაუთვალისწინებლობისას მოსალოდნელი საფრთხის მასშტაბის წარმოსადგენად ერთ მაგალითს მოვიტანთ: დედამიწის წიაღიდან ყოველწლიურად 300 მილიარდი ტონა ნედლეული ამოაქვთ, და მისი ერთი ნაწილი ატმოსფეროში იფანტება, რაც აჭუჭყიანებს მას და ქმნის სითბური ეფექტის მსგავს არაერთ პრობლემას; ეკოსფეროს დაზიანების პირველი უარყოფითი შედეგები სახეზეა. ეკოლოგიური საფრთხე თავისი

მასშტაბით თერმობირთვული იარაღის გამოყენების ექვივალენტური ხდება.

საერთოდ, გლობალიზაცია არის გზა, დედამიწის საერთო სახლად განხილვის განცდისკენ, რომლის გარეშე მისი ხვალისდელი დღე უფრო და უფრო გაურკვეველია. გლობალიზაციის ეს ბოლო აღზევება მეოცე საუკუნის 70-ან წლებში რომის კლუბიდან იღებს სათავეს. სადაც ნედლეულის ამოწურვის რეალური კონტურები გამოიკვეთა. ამავე დროს აზიაში ჩვენ ვაკვირდებით მოსახლეობის გიგანტურ ზრდას, რომლის დიაპაზონი არღვევს ყოველგვარ ბალანსს. ე.წ. მალთუსის თეორიის გამოცდილებიდან გამომდინარე, ასეთი საფრთხის მასშტაბები, ალბათ, მაინც მეტისმეტად გადაჭარბებულია, მაგრამ ისიც ცხადია, რომ თანამშრომლობას ალტერნატივა არა აქვს.

თუმცა არსებობს სუბიექტური ფაქტორები, რომელთა გათვალისწინებით პროცესის ახლანდელ მიზნებთან დაკავშირებითაც კითხვები ჩნდება, თან არაერთი. მაგალითად: კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის (რომელიც გლობალისტური პროცესი იყო) უკან, რეალურად იმპერიული მიზნები იდგა (რამდენად გამორიცხულია ახლა მსგავსი ფარული მიზნის არსებობა?); დღევანდელობაში დედამიწის მოსახლეობის შემცირებისკენ მისწრაფების (ე.წ. ოქროს მილიარდი) საწყის პირობად ერთიან, ძირს და გენეტიკას მოწყვეტილ მასად კაცობრიობის წარმოდგენა ხდება (რა ობიექტური პრინციპები უდევს საფუძვლად ამ შემცირებას?) და ა.შ..

იქნებ შემთხვევით გაჩნდა დასავლეთში ერის ასეთი განმარტება: „ერი ის ხალხია, რომელსაც სახელმწიფო აქვს“ (?) (კარლ დოიჩი, აშშ, სოციოლოგი) და დასამალი არაა, რომ გლობალიზაციის ერთი ფრთა უპირისპირდება ეროვნულობას. „ეროვნულობა ეს სახელია“... „დროსაზოგადოებამ უარი თქვა ისეთ პრიმიტიულ ცნებაზე, როგორც სამშობლოს სიყვარულია“ (ჯორჯ სოროსი, „ღია საზოგადოება“). „ამ მომენტიდან პატრიოტიზმი გაგებულ იქნება, არა როგორც სამშობლოსადმი

სიყვარული, არამედ, როგორც მარადიული და უნივერსალური პრინციპების ერთგულება (ჯეიმს ბრაისი, 1996). დიდ პოლიტიკაში ამის საპირისპირო შეხედულებებიც არსებობს: „გონიერი და სტაბილური საერთაშორისო წესრიგი ერებისა და ეროვნული სახელმწიფოების პატივისცემაზე შეიძლება აიგოს... ბრძენი სახელმწიფო მოღვაწე ხოტბას ასხამს ეროვნულ სტატუსს და ეყრდნობა მას.“ „ეროვნულობა, ეროვნული საიამაყე და ეროვნული ინსტიტუტები, მათთვის დამახასიათებელი ნაკლოვანებების მიუხედავად, ქმნიან მოქმედი დემოკრატიის საუკეთესო საფუძველს“ (მარგარეტ ტუთჩერი). „ნაციონალიზმი ხელს უწყობს დემოკრატიას ნაციონალიზმი ხელს უწყობს კულტურულ მრავალფეროვნებას და ეროვნული ტრადიციების შენარჩუნებას“ (ჯეიმს რურკე, აშშ, სოციოლოგი).

ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში თქვა რუსთაველმა:

„ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა გვაქვს უთვალავი ფერითა.“ არა მხოლოდ სილამაზეს, სამყაროს არსებობასაც კი მისი მრავალფეროვნება განსაზღვრავს. მეცნიერებამ უკვე თეორიულადაც დაამტკიცა, რომ სიცოცხლის არსებობის აუცილებელი პირობა სამყაროს მრავალფეროვნებაა (ფიზიკურადაც და სულიერადაც). ეროვნულობა საკაცობრიო დონეზე მრავალფეროვნების სათავეა.

ქართველთა წინაპართა დამოკიდებულება ეროვნული საკითხისადმი მკაფიო საუკუნეში მერჩულეს სიტყვებში შეიძლება ამოვიკითხოთ. იგი წერს: „ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა უამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების.“ „აქ შეიძლება დავინახოთ: ერთობა ენისა, ხალხისა, ტერიტორიისა, რელიგიისა და ფასეულობათა სისტემისა“ (ა. სილაგაძე, „ქართული სახელმწიფოებრიობის კონცეფციის ისტორიიდან“, 2005). მეცხრამეტე საუკუნეში საკითხებისადმი მიდგომა კიდევ უფრო ცხადი გახდა და მან ფორმულის სახე

მიიღო: „მამული, ენა, სარწმუნოება“ (ივ. გომართელი), შემდეგ იგი იღია ჭავჭავაძემ აიტაცა და თანამედროვეთა დროშაზე დააწერა. დღევანდელი გადასახედიდან, მამული მხოლოდ ტერიტორია აღარაა, თუ გადავალთ სივრცულ წარმოდგენაზე, მის ქვეშ შეგვიძლია დავინახოთ: საგანმანათლებლო სივრცეეკონომიკური სივრცე, ენერგეტიკული, საინფორმაციო და ა.შ.. თუ მათგან მატერიალურთან დაკავშირებულ სივრცეებში დროებითი დანაკარგები დასაშვებია, ისე რომ „საკონტროლო პაკეტი“ სახელმწიფოს ხელში იქნება (იმ იმედით, რომ საჭიროებისას დავიბრუნებთ), სულიერებასთან დაკავშირებულ სივრცეებში დანაკარგებს აუნაზღაურებელი ზიანის მოტანა შეუძლია, რადგან სწორედ ის აფორმირებს ეროვნულ ცნობიერებას. ქვეყანა, რომელმაც დაკარგა ტერიტორია, ჯერ კიდევ ინარჩუნებს შანსს დაიბრუნოს იგი; მაგრამ თუ დაკარგავს ეროვნულ ცნობიერებას, მისი დაბრუნება ვეღარ მოხერხდება. სწორედ ასე უნდა გავიგოთ დღეს მე-19 საუკუნის, მარად უკვდავი ეს ფორმულა.

ერი ისტორიულად, გენეტიკურად, მენტალობით ერთგვაროვანი, ერთიანი ცნობიერებით შეკრული ადამიანთა სიმრავლეა. ერის დროში უკვდავებას მისი ეროვნული ცნობიერების (თვითშეგნების) მდგრადობა განაპირობებს.

სწორედ ამიტომ, ეროვნული სახელმწიფოებრიობის მოშლის მოსურნეთა მთავარი დარცმის მიმართულება ეროვნული ცნობიერების მაფორმირებელ სახელმწიფოებრივი ინსტრუმენტებისკენაა მიმართული.

როგორც თეორია გვასწავლის ერის მდგრადობა „მითი-სიმბოლოს“ შექმნითა და მის გარშემო გაერთიანებით მიიღწევა. ასეთი სიმბოლო მართლმადიდებლურ ეკლესიებს აქვთ: „მესიანისტური იდეა ერის თვითგანმტკიცებას, თვითრწმენას, ძლიერებას უწყობს ხელს. ამა თუ იმ სიტუაციაში, იგი ოპტიმიზმის საფუძველია და ებრძვის ეროვნულ სასოწარკვეთილებას...“ (ა.ბაქრაძე, „ისევ

„ქებადს“ გამო“, „მნათობი“, 1983, №1). ასე მაგალითად, სომხური მესიანისტური იდეა ეფუძნება წარდენის ამბავს; რადგან ნოეს კიდობანი არარატის მთაზე გაჩერდა, ე.ი. სომხეთი კაცობრიობის რეგენერაციის აკვანია. რუსული იდეა, პეტრე დიდის დროინდელია და მესიის მოსკოვიდან მოვლინებას ეფუძნება. ქართულ ქრისტიანულ ეკლესიას ღვთიურ სიწმინდეთა გაცილებით მრავალპლანიანი და სრული სურათი აქვს: „საქართველო ღვთისმშობლის წილხვდომილია, იგი ქრისტეს კვართის მფლობელია, ქართული ქრისტეს ენაა...“ (ა. ბაქრაძე) ამგვარი მესიანისტური იდეა დღემდე ქმედითა და მას შეუძლია „დაძინებული“ თვითგადარჩენის ინსტიქტის, ეროვნული ცნობიერების გამოღვიძების იმპულსის როლი შეასრულოს (სწორედ ამ მიზნით დაიწერა: ზ. გამსახურდიას ნაშრომი: „საქართველოს სულიერი მისსია“, 1991; იგი ჩვენი წარსულის მონაპოვრების ახლებურად წარმოჩენაზე დგას და სწორედ ამით ესმიანება მომავალს). **მართალია საქართველო მართლმადიდებლური ქვეყანაა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ქართველ მაჰმადიანთა და კათოლიკეთა რაოდენობას, და იმას, რომ ერის შემკვრელი იდეა ყველასათვის საერთო უნდა იყოს, სარწმუნოებრივი ფაქტორის განსაკუთრებული ხაზგასმა არასასურველია. საკითხის გადაწყვეტის სქემა ასეთია:**

წარსულში ოდნავ უფრო შორს უნდა გავიხედოთ. არავითარი მითი სიმბოლოს ხელოვნურად შექმნა არ გეჭირდება, რადგან წინარესაქართველოს ნამდვილად აქვს ისტორია, რომლითაც მან განსაზღვრა დასავლური ცივილიზაციის და ქრისტიანობის პირველისტორია. ჩვენი ისტორია, ერის შემკვრელ მით-სიმბოლოდ უნდა ვაქციოთ. და რადგან იგი ქრისტიანობის პირველისტორიას ისედაც უკავშირდება, ხელოვნური უპირატესობის მინიჭება მართლმადიდებლობაზე საჭირო აღარ იქნება, ის ისედაც ხდება დომინანტური.

სწორედ ამიტომ განსაკუთრებული ამოცანები იდგა და დგას ქართველთ-მცოდნეობისა და საქართველოსმცოდნეობის სპეციალისტთა, პირველ რიგში ქართველ ისტორიოგრაფთა და ენათმეცნიერთა წინაშე.

აღბათ, სწორედ ამის გამო საბჭოთა ცენზურა კრძალავდა ბიბლიურ ხალხებთან ნათესაობის კვლევას; და ჩვენი წინარექრისტიანული პერიოდის ისტორია გაყალბებულია (ამიტომ ვერ უძლებს კრიტიკას საქართველოს ისტორიის წინაქრისტიანული პერიოდის მრავალტომეულები). ბოლო პერიოდში მეცნიერული შრომები ამის ნათელ სურათს ქმნიან. საბჭოთა პერიოდში შექმნილი თეორიები (და კომუნისტური ნომენკლატურის პერიოდში წინ წამოწეული, თავიანთი მოძველებული თეორიების ტყვეობაში მყოფი მათი ავტორები), სამწუხაროდ, შორს დგანან რეალობიდან და მით უფრო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან. იქნებ ვიკითხოთ: ვის და რას ემსახურება საქართველოს ეროვნული სამეცნიერო აკადემია, რომელსაც ქვეყნისთვის ამ უმნიშვნელოვანეს ეტაპზე პოზიციაც კი არ გამოუხატავს; როცა საპატრიარქოს ღამის ყველა გამოსვლა საერო საკითხებს ეხებოდა (იხილეთ, პატრიარქის ეპისტოლეები).

საბჭოეთში მიმდინარე მოვლენებთან „საოცარი“ დამთხვევით, სრულიად ალოგიკურად შეწყდა მეოცე საუკუნის ოციან წლებში მთელ მსოფლიოში იბერიულ ენაზე, როგორც უძველესი ცივილიზაციის ენაზე საუბარი; ამ დროს არცერთმა იმ მეცნიერმა, ვინც ეს თეორია უარყო, ქართული არ იცოდა. არცთუ იშვიათად ვხდებით მეცნიერებაში დიდი პოლიტიკის გავლენით გამოწვეული შედეგების მოწმე.

თითქოსდა ზედაპირზე დევს და ცხადია, რომ საქართველო უნდა აინტერესებდეს კაცობრიობას, არა მხოლოდ როგორც ბიბლიური და წინარექრისტიანული ცივილიზაციის ერთ-ერთი ძირითადი შემოქმედი, არამედ, როგორც დასავლური და აღმოსავლური კულტურების მასინთეზებელი; განსაკუთრებული ტრადი-

ციულ-ღირებულებითი კომპლექსის მატარებელი ხალხი, რომლისგანაც ბევრი შეიძლება დღესაც კი გადაიღოს მსოფლიომ. მოვიტანო პატარა მაგალითს, გლობალიზაცია მეოცე საუკუნეში მიდის „გენდერულ თანასწორობის“ იდეამდე, როცა „ლეკვი ლომისა სწორია...“ ჩვენში ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეიდანაა ცნობილი და მაშინაც არსებული რეალობის ასახვა იყო. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ თვითონ ჩვენ ახალი არ უნდა მივიღოთ და ვისწავლოთ; თუნდაც ისევ იმ გენდერულ თანასწორობაში. არა მხოლოდ ფოკლორია ჩვენი თავისთავადი, არამედ ადამიანური ურთიერთობის, ბუნებასთან დამოკიდებულების ქართულ მოდელებში ბევრია საინტერესო და გასაზიარებელი მსოფლიოსთვის.

ეროვნული მეცნიერება სახელმწიფოსა და ერის სამსახურში უნდა იდგეს. ისევე როგორც, საქართველოს სახელმწიფო განათლების სისტემამ პირველ რიგში პიროვნების სახელმწიფოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბება უნდა დაისახოს მიზნად, ხოლო მისმა ძირითადმა, ქართულენოვანმა ნაწილმა, დამატებით და უპირველესად – პიროვნების ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბება.

ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბება, ინდივიდის სახელმწიფოებრივი აზროვნება, პიროვნების შესაძლებლობათა სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად წარმართვა საზოგადოებრივი აზრის (მასმედიის, კულტურის და ა.შ.), ოჯახისა და განათლების სისტემის საშუალებით ხდება. ეს უკანასკნელი, როგორც სახელმწიფოსგან ორგანიზებული, დაფინანსებული, მართვადი და კონტროლირებადი სისტემა ამ მიმართებით მისი (სახელმწიფოს) ყველაზე მძლავრმოქმედი იარაღია. მეცნიერება, როგორც ზედნაშენი, ხელს უწყობს განათლების სისტემას ამ უმნიშვნელოვანესი და ეროვნული ამოცანის გადაწყვეტაში, რადგან მის თეორიულ საფუძვლებს ამზადებს.

სწორედ ამიტომ, ბოლო პერიოდის საქართველოში მთავარი პერიპეტები

უმთავრესად განათლების სისტემის და მეცნიერების გარშემო განვითარდა. საბედნიეროდ, ცნობიერება და მით უმეტეს ეროვნული, ინერციული თვისების მქონეა, ამიტომაც ერთი ხელის მოსმით მისი შეცვლა ან ამოშანთვა შეუძლებელია. ამის გამო „რეფორმატორებმა“ მიზანს, ამ ეტაპზე, სრულად ვერ მიაღწიეს. სწორედ ამიტომ ქართულ საზოგადოებრიობას, ინტელიგენციას, ქართველ ერს ჯერ კიდევ აქვს შანსი დაიცვას თავისი ეროვნული თვითმყოფადობა და ამ საკითხებზე მსჯელობასაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავს აზრი... კომუნისტური მართველობის ურთულეს პერიოდში შენარჩუნებული ეროვნული ცნობიერება, ჩვენდა სამწუხაროდ, თავისუფალ საქართველოში მოექცა დარტყმის ქვეშ და მის გადარჩენაზე გვიხდება საუბარი. საკითხის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ეჭვს არ იწვევს.

შემცირდა სასკოლო პროგრამებში ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებისკენ მიმართული მასალის მოცულობა, ნაკლებად გხვდება მასალა ზნეობრივი, ტრადიციული ღირებულებების მაგალითებით. თუ ამას ე.წ. „პატრიოტულ ბანაკებს“ დაემატებოდა დავინახავთ, რომ ეს მიზანმიმართული პროცესის ნაწილი იყო.

ეროვნულ-ტრადიციული ტიპის სახელმწიფოს მშენებლობის მთავარი მოძრაობელი ეროვნული ენერჯიაა. თავის მხრივ, ეროვნული ენერჯიის ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში ჩაყენებისთვის საზოგადოების ეროვნული ცნობიერების გაღვივებაა აუცილებელი. ეს კი პირველ რიგში აღმზრდელობითი სისტემის ამოცანა უნდა იყოს.

მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის (კარგი გაგებით) და განათლებაში ბოლონის პროცესები, ბუნებრივია გულისხმობს განსხვავებულ საგანმანათლებლო სისტემათა ერთიან სიბრტყეზე გადატანას და საერთო გზების ძიებას. უფრო მეტიც, პერსპექტივაში ერთიან გარეგნულ ფორმებამდე ან სტრუქტურებამდე დასვლასაც, მაგრამ არავითარ შემთხვევაში მათი ეროვნული

ინტერესებიდან ან თავისებურებებიდან გადახვევას. ე.ი. ამ თვალთახედვით საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესი ხსენებულ საერთაშორისო პროცესებთან წინააღმდეგობაში არაა და არგუმენტი, რომ ეს გარე ძალების დაკვეთაა (განათლების სამინისტრო ხშირად აპელირებდა ბოლონის პროცესის მოთხოვნებით), უსაფუძვლოა. **გლობალისტური სამყაროს მოთხოვნები სახელმწიფომ გარე პარამეტრებში უნდა დააკმაყოფილოს, მაგრამ შიდა პროცესები ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოთხოვნების შესაბამისად უნდა წარიმართოს (ასეთი მიდგომის კარგი მოდელია იაპონია).**

დაფინანსების მხოლოდ გრანტული სისტემა, როგორც განათლებაში, ისე მეცნიერებაში არათანმიმდევრულობის, სპონტანურობის საფუძველი გახდა. უარი ვთქვით საბჭოური პერიოდიდან გადმოყოლილ და აპრობირებულ ორგანიზაციის, დაფინანსების, მენეჯმენტის სისტემებზე და „რეფორმატორთა“ ზეწოლით მივიღეთ განვითარებადი ქვეყნების შესაბამისი მოდელი. პირველი მოძველებული და უარსაყოფი იყო, მეორე – შეუსაბამო და მიუღებელია. განათლების თვისობრივ მხარეში ახალი და თანამედროვე მხოლოდ დიდი განსჯისა და ეროვნულ ძირზე მყნობის, ეროვნულ ნიადაგზე გადმოტანის შემდეგ უნდა მივიღოთ, განსაკუთრებით მოზარდის აღზრდისას, სანამ ცნობიერება ჩამოყალიბებული და მდგრადი არაა.

ისევ ერთი პატარა მაგალითი: შეიძლება არასწორია დედაენა ისევ მეცხრამეტე საუკუნის დროინდელ საყოფაცხოვრებო ნივთებზე ესაუბრებოდეს პატარას, მაგრამ იაკობ გოგებაშვილისეული ეხოთერული მიგნება „აი ია“, როცა პირველი ორი ასოს სწავლის შემდეგ მთელი წინადადება მიიღება, თანაც როგორი (!); რომლითაც იღება არა მხოლოდ გაზაფხულის, არამედ საერთოდ ბუნების კარი; უნდა შევინარჩუნოთ. ამ ფრაზის ღირებულება გაცილებით მეტია და საკრალური (მაგრამ ეს სხვა საუბრის თემაა). ეს სამყაროსადმი, ბუნებისადმი ჩვენი გახსნილი მიმართებაა.

უფრო მეტიც, იმავე ასოებით შეიძლება კიდევ ერთი წინადადება შედგეს: „აი აია“ (ძველი დედაქალაქი) და ეს ჩვენი ისტორიის კარიბჭე იქნება. წარმოიდგინეთ, როგორი საძირკველი იდება პირველკლასელის ცნობიერებაში. ასეთი მაგალითები ბევრია.

ახალი ქართულ ძირზე უნდა ხარობდეს. ერთი მხრივ, ეროვნულ-ტრადიციული ღირებულებები და მეორე მხრივ, მსოფლიო საზოგადოებრიობის მონაპოვრები, დემოკრატიული ღირებულებები, ადამიანის უფლებები. ცდილობენ ისე წარმოადგინონ, თითქოს მათ შორის გადაულახავი წინააღმდეგობაა და თანაარსებობა შეუძლებელია.

ქართველი ერის ტოლერანტული ბუნება და მსოფლმხედველობრივი გახსნილობა ცხადად წარმოაჩენს, რომ აქ გადაულახავი წინააღმდეგობა არ არსებობს...

თუმცა არის საკითხები, იგივე ძირზე მყნობის თეორიიდან, როცა სამყნობს არ იღებს ძირი, მყნობა არ ხერხდება.

მაგალითად მოვიტან სულიერ-ზნეობრივი (სექსუალური, სარწმუნოებრივი და ა.შ.) უმცირესობების საკითხს. ეს საკითხები ხშირად ხდება საზოგადოების ყურადღების საგანი და ალბათ დადგა დრო ჭეშმარიტებას პირდაპირ შევხედოთ. თუ ეროვნულ-ტრადიციულ ღირებულებათა მატარებელ იმ რამდენიმე სახელმწიფოს შორის ვრჩებით, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ზოგადსაკაცობრიო საგანძურში, მაშინ ამ საკითხის გადაწყვეტა ისევე ეროვნულ-ტრადიციული ღირებულებების გვერდის ავლით ვერ მოხდება. ა მ საკითხის გადაწყვეტის ფორმულაც ისევე ხალხურ სიბრძნეში დევს. შეგახსენებთ ხალხურ ლექსს „შემომეყარა ყიფჩაღი“.

„შემომეყარა ყიფჩაღი... პური მთხოვა და ვაჭმიე, ვურჩევდი თავთუხისასა, ხორცი მთხოვა და ვაჭმიე, ვურჩევდი ხოხობისასა, ღვინო მთხოვა და ვასმიე, ვურჩევდი ბადაგისასა...“

როცა მატერიალურზეა საუბარი, ქართველი კაცი უშურველად თმობს ყოველივეს... მაგრამ: „ცოლი მთხოვა და ვერ მივეც...“

როცა ზნეობრივ დათმობაზე დგება საქმე, ქართველი აქ წითელ ხაზს ავლებს, ეს ეს მისთვის ეროვნული ფესვის შენარჩუნება-დაკარგვის რანგში აყვანილი საკითხია. და ცივილურ დონეზე გადაწყვეტის ერთადერთი გზაა დარჩება:

ამ შემთხვევაში ამ უმცირესობათა გამოსატვა პიროვნულ ეგოს, „მეს“, მის სუბიექტურ სამყაროს არ უნდა გაცდეს. ამას იტანს ქართული ტოლერანტული ბუნება, მაგრამ ვის ინტერესებშია ფაქტების საჯარო აფიშირება, აღლუმები და გეი-პარადები? და ისინი განა უმცირესობებზე ფიქრობენ?!

ასეთი კითხვების გაჩენა ტრადიციულ-ღირებულებით საზოგადოებაში და მისი ღობირებაა ზიანებს თვითონ გლობალისტთა ინტერესებსაც. საზოგადოებამ სიმართლეს თვალი უნდა გაუსწოროს და ამ დამოკიდებულებას, ეროვნულ-ტრადიციულ სახელმწიფოთა ამგვარ პოზიციას, ამ ეტაპზე შეაჩვიოს მსოფლიო თანამეგობრობა. მესამე ათასწლეული, რომლის დასაწყისშიც ვიმყოფებით, კარდინალური ჩარევის გარეშე, ამ უმნიშვნელოვანეს ზოგადსაკაცობრიო საკითხში ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს.

ცნობილი ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე ჰენრი კისინჯერი თვლის, რომ იაპონიისა და ევროპის რამდენიმე განვითარებული ქვეყნის გარდა ეროვნული სახელმწიფოები დღეს აღარ არსებობენ და მათ გამო მსოფლიოს განვითარების სტრატეგიის შეცვლა მიზანშეუწონელია.

საქართველო სწორედ იმ რამდენიმე სახელმწიფოს შორის უნდა დარჩეს, რომელსაც მსოფლიო ისე გაუფრთხილდება, როგორც მის უუძველეს ფესვს, ზოგადსაკაცობრიო ძირის მქონე ზღაპრულ ნაკრძალს.

ეს საკითხი ჩვენი არსებობის დვრიტაა და სწორედ იგი უნდა იქცეს სახელმწიფოს ზრუნვის ძირითად საგნად.

დიდება საღვთისმშობლის წამებულ რადინებს





ზვიად გამსახურია ძე ქარიშხლისა

მერაბ კოსტავას, როგორც მამულიშვილს და ეროვნულ მოღვაწეს, ქართველი ხალხის წინაშე წარდგინება არ სჭირდება. მას იცნობენ აგრეთვე, როგორც ნიჭიერ მუსიკათმცოდნეს და თეატრალურ კრიტიკოსს, მაგრამ მისი ნაცნობ-მეგობრების ვიწრო წრის კიდევან უცნობია მისი პოეზია, მისი ლექსის გზნება და მადლი

არ უყვარდა მერაბს თავისი ლექსების პოპულარიზაცია. მიტინგებზეც იშვიათად თუ წაუკითხავს საკუთარი ლექსები. „შიმშილობა“ წაიკითხა ერთხელ ნოემბრის დღეებში, მოშიმშილეთა გასამხნეველად და „შავი ჯოჯოხეთის კუპრი“, გამოქვეყნებაზე კი ფიქრიც არ სურდა.

ჩვენ, თანაკბილანი, სიყრმიდანვე ვმეგობრობდით. ჯერ პირველ ვაჟთა საშუალო

სკოლაში ვსწავლობდით ერთ კლასში, შემდეგ ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალურ მუსიკალურ სასწავლებელში. მერაბი ჩინებული პიანისტი იყო, მშვენივრად ასრულებდა გრიგს, ბეთჰოვენს და შუბერტს. ბეთჰოვენის და ვაგნერის გმირული მუსიკა იყო იმუამად ჩვენი სტიქია. მერაბში თითქოს ორი სული იბრძოდა. ფაუსტის მსგავსად, მუსიკის და პოეზიისა. ბოლოს პოეზიის სულმა იმძლავრა, მერაბი მუსიკას შეეშვა და პოეზიას მისცა თავი, თუმც მისი ლექსი არ გაჰყრია მუსიკას. მუსიკის ტალღათა მძლავრი პულსირება საცნაურია მის სტრიქონებში.

ამასთან ერის წყლული წყლულად გვაჩნდა და არც პოლიტიკაში ვიყავით უმოქმედონი. მამაჩემი იმთავითვე შთაგვაგონებდა ორივეს ეროვნულ იდეებს, გვათვითცნობიერებდა, თვალს გვიხელდა სინამდვილეზე. დამოუკიდებელი საქართველოს ოცნებით, რაც ბრწყინვალედ აისახა მერაბის შესანიშნავ ესეში კონ-

სტანტინე გამსახურდიას შესახებ („გამოსათხოვარი“. „ოქროს საწმისი“ 1977, № 4). იმჟამინდელი ჩვენი განწყობილებები კი აირეკლა ლექსში, რომელიც ვუძღვენი მეგობარს 15 წლის ასაკში:

ჩვენ ძლიერ ხშირად გვიფიქრია ძმაო
ამაზე,

როდის აღსდგება სამშობლო ჩვენი,
და დაბრუნდება კვლავ სილამაზე
თავისუფლების და აღმაფრენის.

როდის დადგება ის დღე დიადი
როს ბორკილს შევხსნით ერს დამ-
ცირებულს,

და დაუბრძავებს თვალს განთიადი,
ჩრდილეთის წითელ ჯალათთა
კრებულს!..

და საქართველო დიდჭირნახული
გამოფხიზლდება ყველა იოგით
ჩვენ ღვთისმშობელი გეწყალობს ხახ-
ულის

და გვიცავს მარად თეთრი გიორგი.

ღვთის რწმენა თავიდანვე გექონდა, მა-
გრამ განსაკუთრებით ინტენსიურად და-
ვადექით რელიგიური და თეოლოგიური
შემეცნების გზას 60-იან წლებში. საიდუმ-
ლო ღვთისმეტყველებამ და მისტიკამ გაგ-
ვიტაცა. ამ პერიოდში მერაბის ლექსები
მისტიური სიღრმით და რელიგიური აღმა-
ფრენით გამოირჩევიან. სწორედ იმ ხანებ-
ში მიძღვნა მან ასეთი ლექსი:

მეგობარ ზვიადს

„შენი სამშობლო არის სულეთი
სხვა სრა-სასახლე, ძმაო, ნუ გინდა.

დე, ხალხის თვალში დარჩი სულელი,
მამის წინაშე იყავი წმინდა.

დაე, გვარავდეს ვარსკვლავთ კრებული
და მიქაელის ცეცხლის მახვილი,

დაე, ღირსად გეცნონ, იქმნა ვნებული,
წმინდა ზვარაკის ტკბილი სასმელით.

არ მიიკარო მწიკული ზადის

შენი ტანია თვით ეკლესია,

სცან დაღადისი, გზა განიმზადე,

დედამიწაზე დადის მესსია!“

იმავე პერიოდში მიძღვნა ლექსი „პაემ-
ანი“, სადაც საოცრად იწინასწარმეტყვე-
ლა ის, რომ იგი ჩემზე ადრე დასტოვებდა

ამ წუთისოფელს და მე, მის აკლდამასთან,
თაღხით მოსილი, დაველოდებოდი მეგო-
ბრის აჩრდილს. აკი ამიხდა ყოველივე.

მე ვიყავი მისი ყოველი ნაწარმოებ-
ის პირველი მკითხველი, ისევე როგორც
იგი იყო ჩემი პირველი მკითხველი და
შემფასებელი წლების მანძილზე. ბო-
ლოს მაიძულა (ამ სიტყვის პირდაპირი
გაგებით), ჩემი კრებულის მიტანა „მერ-
ანში“ 1973 წელს, რაც დამთავრდა მთავ-
ლიტის მიერ ამ წიგნის აკრძალვით და
ანაწყობის განადგურებით. (ხელისუფლე-
ბა ჩვენი დაპატიმრებისათვის ემზადებო-
და და რა დროს ლექსები იყო). თავისი
ლექსები კი ვერაფრით მივატანინე ვერც
ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში, ვერც
გამომცემლობებში.

„ბიჭო, შემიგროვე შენი ლექსები, შენ
არაფერში შეგაწუხებ, მე გადავაბეჭდინებ
და წიგნსაც მე შეგიდგენ, ახლა მაინც
სხვა დროა და გამოსცემენ-მეთქი“ - რამ-
დენჯერ ვუთხარი.

„სად მცალია ან შეგროვებისათვის“-
ნიადაგ ასეთი იყო მისი პასუხი.

ახლა ვნანობ, კიდევ მეტი დაუინებით
რად არ მოვთხოვე. თვალთ ენახა, გაეხ-
არა ერთხელ მაინც თავის ცხოვრებაში

ღიას, გაუხარები იყო მისი ყოფა, ისევე
როგორც ყოველი ჩვენგანისა წლების მან-
ძილზე. ბოლო ხანებში ერთადერთი რამ
გვახარებდა: აზვირთებული ახალგაზრ-
დობა, ეროვნული დროშების ფრიალი,
ლალი მიტინგები და მსვლელობები, რაც
ესოდენ ჩაგვიმწარდა 9 აპრილს! მაგრამ
26 მაისი იმავე წლისა ხომ აღდგომა იყო
ნამდვილი თუმცა ამაზე სიტყვას აღარ
გავაგრძელებ, ვინაიდან ეს ცალკე თემაა.

ლექსი მისი საქართველოს გოლია-
თი ციხეების დუღაბით ნაგებს ჰგავს, ენა
ძარღვიანი, ძველ ქართულს ნაზიარევი,
პოეტური ნეოლოგიზმები თამამი, რითმა-
თა სამყარო უჩვეულო, რიტმი ძლიერი და
დაძაბული, როგორც მისი სახის კუნთები.

ო, ამ მრისხანე გამოხედვის ქვეშ რა
ჩვილი გული იმალებოდა, რა თანაგრძნო-
ბა მოყვასისადმი, ყოველი დევნილისა და

ჩაგრულისადმი!

ლექსის აბჯრით არის თითქოს შეჭურვილი, ლექსის შუბით და ლახვრით ეომება მტერს! ნახეთ მისი „დიდგორი“, „ღირს მამა დავითს“, „დოსტოევსკი“, „გალაკტიონი“ (რა ძეგლები დაუდგა თავის საყვარელ მეფეებს, წმინდანებს, პოეტებს)!

როგორც ვთქვი ურთიერთის პირველი მკითხველები ვიყავით. სუკ-ის ციხეში ერთწლიან პატიმრობის შემდეგ შეგვახვედრეს გამომძიებლის კაბინეტში 1978 წლის მარტში, დაპირისპირების ფორმალური პროცედურის ჩასატარებლად (ვინაიდან არაფერი გვქონდა დასაპირისპირებელი, ერთმანეთზე არავითარი ჩვენებები არ მიგვიცია და არც სხვებზე). ჩვენი „დაპირისპირება“ გამოიხატა იმაში, რომ ამბის გამოკითხვის შემდეგ ერთმანეთს ვუკითხავდით საკანში დაწერილ ლექსებს, ასე რომ „დაპირისპირება“ პოეზიის სადამოდ გადაიქცა და ამ უჩვეულო სადამოს აუდიტორიას წარმოადგენდნენ ჩვენი გამომძიებლები! ასეთი რამ ნამდვილად არა გვქონიაო პრაქტიკაში, ღიმორევით ამბობდნენ ისინი, დაპირისპირებისას თანამოსაქმე პატიმრები ერთმანეთს ლანძღავდნენ, საცემრად და ზოგჯერ მოსაკლავად იწვევენ, ესენი კი ჯერ როგორ შეხვდნენ ერთმანეთს და ახლა კი ლექსებს კითხულობენო.

ციხეში დაწერა „ღირს მამა დავითს“, „დოსტოევსკი“ და სხვა ლექსები. პერმისკენ მიმავალ ეტაპში კი, 1978 წლის 12 აგვისტოს დაწერა ჩემდამი მიძღვნილი ლექსი, „ძმას ქრისტესმიერს“, რომელიც შემდგომ ლაგერიდან გამომიგზავნა, მაგრამ ჩემამდე ვერ მოაღწია, დედანი ამ ლექსისა გადმომცა 1980 წელს, ციმბირში, სოფელ კვიტოკში, სადაც თავისუფალ გადასახლებაში იმყოფებოდა და სადაც მე და ირაკლიმ, მისმა ვაჟმა ვინახულეთ. ეს ლექსი მოცემული კრებულის თავშია და მსურს ორიოდ სიტყვით დავახასიათო, აქ არის თითქოს ჩვენი ბრძოლის ისტორია, ჩვენი ბიოგრაფია, პოეტური სიტყვით გადმოცემული და რაოდენ ლაკონურად!

აი, სად ასრულდა რუსთაველის ნათქვამი: გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმისო!!! რამდენი დასტია მან ამ ლექსში, რა გრძნობა, რა განცდები, რა – ტრაგედია! „ნამეტანი გადააჭარბე მეთქი ჩემი როლის შეფასებისას“ – ესლა ვუთხარი.

შუბლი შეიჭმუნა, როგორც სჩვევოდა და არაფერი მითხრა.

მცირე ხნის პაუზის შემდგომ მეუბნება:

„გავიგე, ვილაც პროვოკატორები გარწმუნებენ თბილისში, თითქოს მე შენს ე. წ. მონანიებას ვგმობ და სისუსტედ გითვლი. ხომ გითხარი, არ წამოვეგო-მეთქი ეგეთებზე, წერილი მაინც არ დამეწერა საკანში შენი თანდასწრებით! წინასწარ შეთანხმებულნიც რომ არ ვყოფილიყავით შენს უკანდახვევაზე, განა არ მესმის რომ სხვა გზა არ იყო, უცხოეთში შენი გაძევებით ხომ დაიღუპებოდა ჩვენი მოძრაობა! აბა, დაუკვირდი, ამ ლექსის დამწერი განა შეიძლება, რომ სხვაგვარად ვფიქრობდე?!“

მე სახტად დავრჩი. განა არ მსმენოდა ამგვარი რამ, მაგრამ როგორ ვუსაყვედურებდი ჩემს ტანჯულ ძმას, ისიც ისეთ სიტუაციაში, მაგრამ გულთმხილავი თავად მიმიხვდა და წყლულზე მალამოსავით წამაცხო ეს ლექსი, რომელიც, ალბათ, შედეგურია მისი პოეზიისა.

თანაც დასძინა: „გახსოვდეს, რომ გამომძიებამ მაჩვენა ორივე ფირი შენზე, სუკ-ის მიერ დამონტაჟებული, რომელსაც ტელევიზიით უჩვენებდნენ და სწორედ ამის შემდეგ დავწერე ეს ლექსი მაგათი გულის გასახეთქად!“ ასეთი იყო მისი პოზიცია, რაც „გლასნოსტში“ გამოქვეყნებული წერილიდანაც ჩანს.

როდესაც 1981 წელს პირველად დაუმატეს წლები ციმბირში, „სასამართლოზე“ განაცხადა: „თქვენ ისე მექცევით, როგორც რუსეთი ექცევა საქართველოს“ და განაცხადა უვადო შიმშილობა, ვინაიდან ახლობლებთან შეხვედრის უფლებაც წაგვარეს.

მისმა ერთმა ციმბირელმა მეგობარმა შემატყობინა მისი ჯანმრთელობის კატასტროფული მდგომარეობა. სასწრ-

აფოდ ვაფრინე ტელეფონოგრამა ჟორჟ მარშესთან, ფრანს პრესის მეშვეობით, მარშე მიტერანს დაუკავშირდა, მიტერანი ჯერაც ცოცხალ ანდროპოვს, ახმაურდა პრესსა, აყვირდნენ რადიოსადგურები და მისცეს მერაბს ახლობლებთან შეხვედრის უფლება.

ირაკლის ტრაგიკული თვითმკვლელობის შემდეგ კვლავ მომივიდა ციმბირიდან ცნობა, მერაბი განწირულიაო! კვლავ დავეტრიალდი, ვეცი დასავლეთის საინფორმაციო სააგენტოებს, ავტეხე ხმაური. იმხანად ამოხეთქა ჩემი გულიდან პასუხმა მის ლექსზე, რომელსაც ახლა ვაქვეყნებ:

ერზე მჭკუნვარე ძმათა კრებული
ერის საფიცარ რაინდს გიწოდებს,
უკვდავ საქმისთვის ჯვარზე ვნებული
სასუფეველში შეხვალ, იცოდე!
ქრისტემ მოგმადლა ცის გასაღები
და სერაფიმთა ჰაეროვნება,
არ გწამს მონღოლის ნატრაბახევი
და არც მარდოხეს ყალბი ცხოვნება.
გვეტანებოდნენ ძაღლნი და ღორნი,
შემუსურა სურდათ ელვარე ჭაღის,
მაგრამ ხომ დავრჩით, მაინც ჩვენ ორნი,
მერთალი რაინდნი მწუხარე სახის!
კვლავაც დავუდგეთ დარაჯად საფლავს,
ყველა ცოცხალთა მიზანს და მიზეზს,
ამგვარ წამებას ხომ შევბაც ახლავს,
ხვალეც იმედის თვალებით გვიძხვრს.
ცხოველმყოფელი საფლავი იგი
გვიწამებია ცხოვრების წყაროდ,
დაგვცქერის თვალი არსთაგამრიგის,
ის აგვარიდებს ბედის შავ ტაროს.
და ოცნებებიც ცას მისწვდნენ ჩვენნი,
ცა გარდაგვესნა მარადჟამული,
ხელთუქმნელ ხატის დიდებით მშვენი
ღვთის წილხვდომილი ჩვენი მამული.
დგ. ელვარებდეს ივერთა ცაზე
მზე შუალამის, ბარძიმი წმინდა,
გაწყალობდეს, ვინაც გვიკურთხა ვაზი
და ღვთისმშობელი ვინაც დაწინდა.
ვაშენოთ ჩვენი ტაძარი ქვაზე,
ბნელში მსხდომთ კვლავაც ავუნთოთ

კვარი

და მიგვიძვოდეს ეკლიან გზაზე
წმინდა გიორგი და ნინოს ჯვარი.

თავისი ცხოვრებისეული კრედო კი მერაბ კოსტავამ შემდეგ სტრიქონებში ჩააქსოვა:
„წილხვედრ სიკვდილს თუ ვუმზერდე
ავად,

მაშინ ნამუსის ქუდი გავთელო,
ჩემი სამშობლო ზეცაა თავად,
შემდეგ ეს მიწა და საქართველო!“
და მისი პოეზიაც ხომ ზეცის, მიწის და საქართველოს მარადიული დიდებაა.

1990 წელი, I, ნათლისღება

მერაბ კოსტავა ძმას ქრისტესმიერს (ზვიად გამსახურდიას)

როს მიაკითხავ წმიდა ალაგებს,
თითქოს იერი ეცვლებათ ტაძრებს,
წმიდა მამათა ძვალშესალაგებს
მღვდელმთავართა და მეფეთა საძველეს.
გეკითხებიან მოსულხარ სადით,
ხატება შენი ველარ გვიცვნია,
წარსულის სუნთქვა ესდენ სიცხადით
საუკუნეა არ განგვიცდია.
ხარ მწირი თამარ დედოფალისა,
საღვთო სინედლის გულში აღმზვრელი,
თუ ნახევარძმა პარსიფალისა,
დიდგორს მოსული ვინმე ტაძრელი,
სამსხვერპლო სისხლით აღვსილი წმიდა
გრაალის მცველი ღვთისგან ცხებული,
თუ საიდუმლოდ ათონის მთიდან
თორნიკესავით დაბრუნებული.
ვინ განგვიახლე ნათლობის მადლი,
კურთხევის ძალა შორს გამიზნული,
როს მოგვეძალა დიდვაჭრის ადლით
ღუშმანი ჩვენში შემოხიზნული.
ოდეს ტაძართა შედრკა მწირველი
და მიეფარა ღრუბელს უფალი
შენ აღიმართე ვითა პირველი
დაშრეტილ რწმენის ჭირისუფალი.
თვით ზეციერმა შეგარტყა ძალი,
გიპყრა მახვილი რვალთა მღეწავი

და აგიტაცა როგორც ბოძალი,
 დუშმანის ძვლებში დასახვეწარი.
 გჩვეოდა მტერთან არ დარიდება,
 შეწყვილებული სიმტკიცით კლდესთან
 და ეძიებდი ჭეშმარიტებას,
 ვითა ტარიელ დაკარგულ ნესტანს.
 და წინაპართა ტანჯვით ვნებულმა
 ერშიც ზრახვანი აღძარ ვნებისა,
 როს განაახლე მინავლებული
 ხმა ეროვნული თვითშეგნებისა.
 ოსტატის სიბრძნით გამოარჩიე
 აზრთა განწყობას უცვალე ფერი,
 ხელწერა შენი გულს დაამჩნიე,
 ახალ ხარისხზე ასწიე ერი.
 შენგან ნატყორცნი გავარდა სიტყვა,
 ვითარცა მეხი ცათა მკვეთელი,
 ჯიუტი თმენის ზღუდე მოსეტყვა
 ზღვა საგუბარის დასცა კედელი.
 შემოიმტკიცე ფიცვერცხლით ძმანი,
 ცეცხლს რომ უნთებდნენ გულში
 ასულებს,
 შლეგებს მოვგავდით მოყმენი ცხრანი,
 ვეფხვთან სარკენლად ველად გასულებს,
 არ დაგვითრგუნავს სხვათა უფლება,
 ყველამ გაიგოს ყველამ უწყოდეს,
 რადგან ჩვენც შეგვტრფით თავისუფლებას,
 ჩვენადვე თავი ხამს გვეყუდნოდეს.
 მაგრამ ნესტანი, იგი ნესტანი
 ისევ ქაჯთა ჰყავთ გამომწყვედელი,
 კვლავაც ზვაობენ მტერთა დასტანი,
 უტიფრობს შხამი მათგან ნთხეული,
 ცნობამიხდილი წყევლი ცრუ სოფელს,
 როს გულისწორის სახელს აბოდებ,
 ვიცი, რა, ვიცი იმის ხელმყოფელს
 უშრეტი ცეცხლით დაანაფოტებ.
 როს ამოშრება წყევლის სათავე,
 ქაჯეთს მიხტომა ნახონ ჯიქური,
 მაშინ იხილონ დუშმანის თავი
 უწმინდურ სისხლით გადათხიფული.
 მისთვისაც გაგოტქვამ ზეცა და მყარი
 და ქარიშხალი ზღვებზე მქუხარი,
 კვლავ გაიელვებ სიმართლის ფართით,
 რწმენის სამკლავით და საფუხარით,
 გადაიჭრები გზნებით მყოფადში,
 დაემკვიდრები ხალხში მითივით,
 ზეადმართული ჩვენს ეპოქაში,

მიქელანჯელოს კუმტ დავითივით.
 დაუცხრომელო სულიერ ცდაში,
 დაუსაბამო სიტყვის მხმობელო,
 უკიდევანო ასტრალურ ზღვაში,
 დემონთა ხროვის დამამხობელო,
 ხომ ხედავ როგორ გართულდა ომი,
 ვაჰ, თუ ძალები შემომეღია,
 თუმცა მარადში ვარ თანამდგომი,
 ავთანდილობა ერთობ ძნელია.
 ბოროტისათვის მუქაფის მეგებელს,
 საქმენი ქველნი არ დამიგმია,
 მაგრამ სვებედის საწყისთა მძებნელს,
 ერთი ამბავი ვერ გამიგია:
 სხვებზე უმეტეს თუ გაისარჯე
 როს ჩამოგეტრა ხმა ედემისა,
 მოყვასისაგან რად განისაჯე,
 ღირსო უკვდავთა დიადემისა.
 ალბათ გამოცდა ენება უფალს,
 როს გიმზადებდა ხვედრს არ ასაცდენს,
 რადგან განგებას რომელი უყვარს
 მასვე მოუვლენს სასტიკ განსაცდელს.
 რას დაგაკლებდა ბედი ტიალი,
 ეკალ-ბარდებში სიკეთის მთესველს,
 ჭორის ღვართქაფმა გადაგიარა
 და როს აგივსეს ძმართ ფიალა
 არ აიცდინე სასმელი ესე.
 რადგან იცოდი როგორ მავნებლობს,
 როცა მაცდური გვიდგას საჭესთან,
 რომ სიამაყე, აქ რომ მბრძანებლობს,
 მათხოვარია იმ სოფლის ბჭესთან,
 რომ წაუხდება მცდელობა უმაღ,
 გატიალდება როგორც სამყარი,
 როს აღმოჩნდება, რომ ამგვარ სტუმარს
 ზეცაში არ აქვს თავშესაფარი,
 რომ ვერ იხილავს სანუკვარ შედეგს
 ჭეშმარიტებას ვინც არ იმშვიდლებს,
 შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ
 ვინაც ვერ ჰპოვა სულის სიმშვიდე,
 ძმის აღსარება რომელმაც გასოტქვა,
 ვინც ვერ დაიცხრო ღელვა გულისა,
 ზიარებამდე ვინაც ვერ წარსოტქვა
 საგალობელი სინანულისა.

12 აგვისტო, 1978 წ. დიდგორობა

ღირსების სასამართლო

სამწუნაროდ საქართველოში ძალიან მომრავლდა დასაბუთებული თუ დაუსაბუთებელი ურთიერთბრალდებები. გაძნელდა სიმართლის დადგენა. მითუმეტეს როცა ქვეყანაში არ არსებობს სასამართლო რომელსაც ენდობა ხალხი. არადა ეგებ დამნაშავეზე მეტ ცოდვას ზოგჯერ მბრალდებელი ჩადის.

რადგანაც ჩვენ ხელი არ მიგვიწვდება სასამართლო ხელისუფლებაზე გთავაზობთ შევქმნათ ღირსების სასამართლო. ავარჩიოთ სამი ღირსეული პიროვნება პატიოსანი, გონიერი, პრინციპული და მათ წინაშე გამტკიცოთ ჩვენი სიმართლე. ეს სასამართლო ვერ დასჯის ვერავის, მაგრამ ამხელს და ამის შემდეგ ცილისწამებას მაინც გადავრჩებით. თანაც დამნაშავე თუ არ მოინანიებს ცნობილი მაინც გახდება საზოგადოებისთვის!

გვანტერესებს თქვენი აზრი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. შეიძლება მოგვაწოდოთ კანდიდატურებიც მოსამართლის პოსტზე!



